ნოდარ ასათიანი

საქართველო–შარვანის პოლიტიკური ურთიერთობა XII საუკუნეში

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 125, 1968
ТРУДЫ ТБИЛИССКОГО ГОСУДАРСТВЕННОГО УНИВЕРСИТЕТА. т. 125. 1968

ნ. ასათიანი

საქართველო-შარვანის პოლიტიკური ურთიერთობა XII საუკუნეში

(წერილი I. XII საუკუნის პირველი ნახევარი)

XII საუკუნე უმნიშვნელოვანესი პერიოდია როგორც საქართველოს, ისე კავკასიის სხვა ხალხების ისტორიაში. ფეოდალურმა საქართველომ თავისი ძლიერების ზენიტს მიაღწია. იგი შეიქმნა ხელმძღვანელ ძალად თურქ დამპყრობთაგან კავკასიის ხალხთა განთავისუფლების საქმეში. და რადგანაც ამ ძნელ ბრძოლაში საბოლოო წარმატების მიღწევა მოითხოვდა საქართველოსა და მის მეზობელ კულტურულ ხალხთა ძალების შეკავშირებას, ამ კავშირის სათავეში საქართველო დგება.

კავკასიის ხალხთა ამ კავშირის მნიშვნელობა მარტო საგარეო მტრის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლით არ იფარგლება. XII საუკუნეში განვითარების განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობების გამო, ფეოდალურმა საქართველომ შეძლო თავისი შემოქმედებითი ძალების მაქსიმალურად განვითარება და მეზობელ მოძმე ხალხებს წინ წაუძღვა დიდი კულტურული სამყაროს წარმოქმნისა და ახალი, უფრო მაღალი საზოგადოებრივი ურთიერთობის ნიადაგის შემზადებისათვის მოძრაობაში (ნ. ბერძენიშვილი). კავკასიის ხალხების შეკავშირებით პროგრესული საქმე კეთდებოდა. ეკონომიური და პოლიტიკური კავშირ-ურთიერთობის განმტკიცება ხელს უწყობდა საზოგადოების სოციალური დაწინაურებისა და კულტურული წინსვლის საქმეს. ამ ეპოქისათვის ნიშანდობლივი მოვლენაა არა მარტო ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური მოძრაობა, არამედ შოთა რუსთველისა და ნიზამის შემოქმედებაც, ხაყანისა და ფალაკის, ამ მაჰმადიანპანეგირიკი პოეტების ქრისტიანული სიმპათიები, საქართველოს სამეფო კარიმიერ სარწმუნოებრივი შემწყნარებლობის პოლიტიკის გამომჟღავნება და სხვა.

საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა მძიმე და აუტანელი იყო კავკასიის მაღალგანვითარებული ფეოდალური ქვეყნებისათვის თურქ-სელჩუკთა მომთაბარე ტომების ბატონობა. კავკასიის ხალხები დაუცხრომლად იბრძოდნენ ამ ბატონობის უღლის გადასაგდებად. XII ს. 20-იანი წლებისათვის დავით აღმაშენებელმა საბოლოოდ განდევნა თურქი დამპყრობლები საქართველოდან და შემდგომი ხანის საქართველოს საგარეო პოლიტიკა ძირითადად წარიმართა იქითკენ, რომ სელჩუკიანთათვის ფეხი საბოლოოდ ამოეკვეთათ ამიერკავკასიის (სომხეთის, შირვან-რანის და სხვა) ტერიტორიიდანაც. თურქ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში ამიერკავკასიის ხალხები საქართველოს მხარეზე იდგნენ და ეს იყო ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი ამ ბრძოლაში საბოლოო წარმატების მოპოვებისათვის.

ასწლოვანი ბრძოლა კავკასიის ხალხთა გამარჯვებით დამთავრდა. ამიერკავკასიაში თურქ-სელჩუკთა ბატონობა დაემხო, სომხეთისა და აზერბაიჯანის ტერიტორიის დიდი ნაწილიდან ისინი საბოლოოდ განიდევნენ და ამით აღიკვეთა ის უარყოფითი გავლენა, რასაც ამ უკულტურო მომთაბარე ტომთა განუკითხავი თარეში და ბატონობა ახდენდა კავკასიის კულტურული ქვეყნების ნორმალურ სოციალურ-ეკონომიურ და კულტურულ განვითარებაზე.

თურქთა ბატონობისაგან განთავისუფლებული კავკასიის ხალხები საქართველოს გარშემო გაერთიანებულნი იყვნენ ფეოდალური ქვეყნებისათვის შესაფერისი ურთიერთობის სხვადასხვა ფორმით. ეს ურთიერთდამოკიდებულება თავისი შინაარსით ატარებდა ბატონობა-დაქვემდებარების ხასიათს, თუმცა გარეგნულად იგი წარმოჩენილი იყო სხვადასხვა ფორმით, რომელიც ფეოდალური ოფიციალური ისტორიოგრაფიის მიერ შეკაზმული იყო „უანგარო" მამა-შვილური თუ სხვა სახის მეგობრულ-ნათესაური ურთიერთობის ამსახველი ტერმინების სამოსლით. ასეთი ურთიერთობა, რომელიც ჩვეულებრივია ფეოდალური საზოგადოებისათვის, ხელს არ უშლის დაქვემდებარებული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიურ თუ კულტურულ განვითარებას, პირიქით, როდესაც არსებობს ჩამორჩენილი საზოგადოების მიერ დაპყრობის საფრთხე (ასეთი საფრთხე კი XII საუკუნის მთელ მანძილზე არ გამქრალა), და როდესაც ასეთი შეკავშირება ეხმაურება ამ ქვეყნების ეკონომიური და კულტურული განვითარების ინტერესებს, იგი შეიძლება მხოლოდ დადებითად შეფასდეს. ამის საუკეთესო დადასტურებას შარვანის მაგალითი წარმოადგენს.

ცნობილია, რომ XII საუკუნეში შარვანმა დიდ წარმატებებს მიაღწია როგორც სოციალურ-ეკონომიური განვითარების, ისე კულტურული დაწინაურების თვალსაზრისით. სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა-ხელოსნობა, საქალაქო ცხოვრება აქ მანამდე არნახულ სიმაღლეზე ავიდა. აშენდა შესანიშნავი არქიტექტურული ნაგებობანი, შარვან-შაჰის კართან შეიქმნა ბრწყინვალე ლიტერატურული სკოლა, რომლის წარმომადგენლებიც (აბუ-ლ-ალა, იზზ ად-დინ შირვანი, ფალაკი, ხაყანი და სხვ.) მთელს მსოფლიოში ცნობილი პოეტები არიან[1]. შარვან-შაჰებს დიდი წარმატებები ჰქონდათ ქვეყნის საგარეო უშიშროებისა და თავიანთი ხელისუფლების განმტკიცების საქმეშიც. ვერც ერაყელმა სულტანმა, ვერც ილდეღუზიანთა ათაბაგმა და ვერც სხვა დამპყრობლებმა ვერ შეძლეს აქ შარვანშაჰთა ხელისუფლების გაუქმება და ქვეყნის თავისი ბატონობის ქვეშ მოქცევა (თუმცა საამისო არაერთ ცდას ჰქონდა ადგილი).

მაშინდელ წინა აზიაში შექმნილ მეტად რთულ საგარეო-პოლიტიკურ სიტუაციაში ამ შედარებით პატარა ქვეყნის[2] ასეთი წარმატებები, რა თქმა უნდა,

[1] აღნიშნული პოეტები თავიანთ თხზულებებს წერდნენ სპარსულ ენაზე, მაგრამ ეს მაინც არ ნიშნავს იმას, რომ შარვანშაჰთა კარზე გაბატონებული იყო სპარსული ენა. ამასთან დაკავშირებით ე. ე. ბერტელსი შენიშნავდა: „Вполне вероятно, что в домашней обстановке многие ширваншахи говорили на грузинском языке" (Е. Э. Бертельс, Избранные труды; Низами и Фузули; М., 1962, გვ. 35).

[2] ამ პერიოდის საქართველოსა და შარვანის ეკონომიური შესაძლებლობის შედარებისათვის მოვიტანთ შემდეგ ფაქტს: XIII ს-ში, როდესაც შარვანიცა და საქართველოც მონღოლებმა დაიპყრეს, საქართველოს სახელმწიფო შემოსავალი შეადგენდა 120 თუმანს (თუმანი — 10.000 დინარი) ანუ 900.000 მან., ხოლო შარვანის მხოლოდ — 11 თუმანს. იხ. В. В. Бартольд, Соч., т. II, ч. 1, М., 1963, გვ. 780.

გაუგებარი იქნება, თუ არ გავითვალისწინებთ მის საქართველოსთან კავშირს. ამ კავშირის პოლიტიკური შინაარსის შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში უკვე კარგა ხანია შემუშავდა სათანადო შეხედულება, კერძოდ, რომ XII საუკუნის 20-იანი წლებიდან ვიდრე XIII ს. 20-იან წლებამდე შარვანშაჰები საქართველოს ყმადნაფიცებად ითვლებოდნენ და საქართველოს სამეფო კარი, როგორც უზენაესი პატრონი, მოვალე იყო დაეცვა თავისი ქვეშევრდომი ქვეყანა საგარეო მტრის მიერ ხელყოფისაგან, და ამ მოვალეობას იგი სათანადოდ ასრულებდა კიდეც. ოფიციალურად შარვანი ითვლებოდა საქართველოს ყმა (ვასალურ) ქვეყნად და ეს ურთიერთობა ორივე მხარეს გარკვეული პირობების დაცვას ავალებდა. მოტანილი დებულება იმდენად ცნობილია და ერთხმად მიღებული ქართულ ისტორიოგრაფიაში, რომ სათანადო ლიტერატურის დასახელება ზედმეტადაც მიგვაჩნია. ჩვენ აქ მხოლოდ ზოგიერთ არაქართველ მკვლევართა შეხედულებებს მოვიტანთ.

უკანასკნელ ხანებამდე მკვლევართა უმრავლესობა, ვინც კი XII ს. შარვანისა და საქართველოს ისტორიის წყაროებს სათანადოდ იცნობდა და აინტერესებდა ამ ორი ქვეყნის ურთიერთობის საკითხი, ეჭვმიუტანლად მიუთითებდა, რომ XII ს. 20-იანი წლებიდან ვიდრე XIII ს. 20-იან წლებამდე შარვანი მოქცეული იყო საქართველოს პოლიტიკური გავლენის ქვეშ. აღმოსავლური წყაროების ავტორიტეტული მკვლევარი, როგორიც იყო აკად. ვ. ბარტოლდი შემდეგნაირად ახასიათებდა აღნიშნულ პერიოდში საქართველო-შარვანის პოლიტიკური ურთიერთობის ხასიათს:

«Ширваншахи фактически были подчинены им (грузинским царям. ნ. ა.)... сами грузинские цари тоже называли себя ширваншахами. Грузины и ширваншахи вместе оттеснили врагов...» და სხვა[1]. სტატიაში შირვანშაჰების შესახებ, რომელიც დაიბეჭდა „ისლამის ენციკლოპედიაში", ვკითხულობთ: «Правление Менучехра II и его преемников было периодом расцвета династии. Менучехр II велел именовать себя не только ширваншахом, но и «великим хаканом»... На самом же деле Ширван находился тогда в полной зависимости от грузинских царей, которые сами приняли титул «ширваншах». Между Кесранидами и грузинским царским домом неоднократно заключались брачные союзы. Сын и преемник Менучехра II, Ахситан, пожалуй, должен был быть обязан своей победой над русским флотом под Баку, а также отвоеванием Ширвана и Дербенда своему могущественному родственнику, союзнику и верховному повелителю — царю Георгию III»[2].

ე. პახომოვი, რომელსაც დიდი დამსახურება მიუძღვის საბჭოთა აზერბაიჯანის, კერძოდ კი შარვანის ისტორიის კვლევის საქმეში, არაერთგზის აღნიშნავდა ხაზგასმით, რომ XII ს-ში შარვანი საქართველოს პოლიტიკური გავლენის ქვეშაა მოქცეული: «Еще в начале XII в. при царе Давиде II Строителе, грузины многократно вторгаются в Ширван и подчиняют его своему влиянию, усиливающемуся еще браками между Кесранидами и Багра-

[1] В. В. Бартольд, Место прикаспийских областей в истории мусульманского мира. Соч., т. II, ч. 1, М., 1963, გვ. 692.

[2] В. В. Бартольд, Ширваншах (статья в «Энциклопедии ислама»). Соч., т. II, ч. 1, გვ. 877.

тидами. Связь эта прерывается лишь в начале XIII века, с приходом монголов»[1].

მართალია, მას მიაჩნია, რომ დროდადრო შარვანში საქართველოს პოლიტიკური გავლენა იცვლებოდა სულტნისადმი მორჩილებით, მაგრამ იგი მაინც ხაზგასმით აღნიშნავს, რომ განხილულ პერიოდში შარვანი უმთავრესად საქართველოს პოლიტიკური გავლენის ქვეშაა მოქცეული[2].

ამავე აზრს იზიარებს ინგლისელი ორიენტალისტი ვ. მინორსკი: «В начале XII века Ширван привлек к себе внимание западных соседей — грузин, царство которых переживало период подъема и экспансии. Грузины не раз вторгались в Ширван... В течение ста лет (вплоть до 1223 г.) Ширван испытывал грузинское влияние и грузинские цари прибавили шарванша к числу своих титулов»[3]...

მოტანილ ამონაწერებში მხოლოდ ზოგად მსჯელობას აქვს ადგილი, არ არის განსაზღვრული კონკრეტულად, თუ რას ნიშნავდა **„грузинское влияние"** ან **„политическое подчинение"**.

მოსალოდნელი იყო, რომ აზერბაიჯანელი ისტორიკოსები, რომლებიც ამ პერიოდის ისტორიას იკვლევენ, შეეცდებოდნენ განესაზღვრათ შარვან-საქართველოს დამოკიდებულების პოლიტიკური ფორმა და ხორცი შეესხათ ამ ზოგადი დებულებებისათვის. მაგრამ მათ შრომებში სულ სხვაგვარ ვითარებას ვხვდებით. მსჯელობა აქ ან კიდევ უფრო ზოგადი და არაფრის მთქმელია, ან ყოველგვარი საბუთიანობის გარეშე საწინააღმდეგო აზრია გატარებული.

1963 წელს მოსკოვის აღმოსავლური ლიტერატურის გამომცემლობამ გამოსცა აზერბაიჯანის მეცნ. აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის მიერ მომზადებული რუსული თარგმანი ვ. ი. მინორსკის შრომისა **«История Ширвана и Дербенда X—XI веков»**, რომელსაც დართული აქვს გამოცემის პასუხისმგებელი რედაქტორის ა. ა. ალი-ზადეს წინასიტყვაობა (От ответственного редактора). ვ. ი. მინორსკის შრომა მიძღვნილია ძირითადად X—XI სს. შარვანისა და დარუბანდის ისტორიისადმი და, უნდა ითქვას, რომ აქ დიდძალი ახალი მასალაა მოტანილი ამ საუკუნეების აზერბაიჯანისა და კავკასიის სხვა ქვეყნების ისტორიის შესახებ. ვ. მინორსკის მიერ მეცნიერებაში შემოტანილი ეს უაღრესად საინტერესო მასალა ახლებურად აყენებს არაერთ საკითხს ამ პერიოდის კავკასიის ხალხების ისტორიიდან. მოსალოდნელი იყო, რომ წინასიტყვაობაში რამდენადმე მაინც სრულად იქნებოდა დახასიათებული ამ ახლად აღმოჩენილი მასალის დიდი მნიშვნელობა, მაგრამ აქ უმთავრესად ადგილი აქვს დათმობილი XII საუკუნეში შარვან-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობის შესახებ მსჯელობას. ვ. მინორსკის შრომაში მხოლოდ ერთი აბზაცითაა გადმოცემული ზემოთ მოტანილი დებულება საქართველოსადმი შარვანის დამოკიდებულების შესახებ. წინასიტყვაობის 8 გვერდიდან კი ამ დებულების კრიტიკაზე მოდის თითქმის 5 გვერდი (გვ. 8-12). ამდენად, თავი რომ დავანებოთ ა. ა. ალი-ზადეს მსჯელობის შეფასებას, აღნიშნული წიგნის წინასიტყვაობაში ასეთი მსჯელობის გამლ- უადგილო ჩანს.

[1] Е. А. Пахомов, Краткий курс истории Азербайджана, Баку, 1923, გვ. 15—16.

[2] Е. А. Пахомов, Очерк истории ширваншахов-кесранидов, по нумизматическим, этнографическим и др. источникам; მისივე, Титул ширваншаха в Грузии; ორივე ეს შრომა დართული აქვს დამატების სახით ზემოთ დასახელებულ წიგნს—Краткий курс истории Азербайджана; Е. Пахомов, О дербендском княжестве XII—XIII в., Баку, 1930.

[3] В. Ф. Минорский, История Ширвана и Дербенда, М., 1963, გვ. 180

ა. ა. ალი-ზადეს რატომღაც მიაჩნია, რომ «Вывод о грузинском протекторате или влиянии был сделан на базе анализа лишь грузинских хроник, без сопоставления их с другими источниками, в частности с арабоязычными, персоязычными и армянскими. На наш взгляд, сведения, приводимые грузинскими средневековыми историками, имеют односторонний характер. Мнение относительно того, что Ширван «в течение ста лет испытывал грузинское влияние» не подтверждается другими первоисточниками, в частности арабскими и персидскими»[1].

შემდეგ, იმოწმებს რა X საუკუნის (sic!) ავტორს იბნ ჰაუკალს, აღნიშნავს, რომ შარვანშაჰი ყველაზე მძლავრი ფეოდალური მფლობელი იყო კავკასიაში, რომ შარვანშაჰს ეს ავტორი ასახელებს აფხაზთა მეფეზე ადრე; შემდეგ მოაქვს მას'უდის (ესეც X ს. ავტორია!) მითითება, რომ შარვანშაჰი შარვანს გარდა არანსა და მუღანსაც განაგებდა, და ასკვნის, რომ აქ არსად არ არის რაიმე ცნობა შარვანის მეზობელი ქვეყნებისადმი დამოკიდებული მდგომარეობის შესახებ. მაგრამ განა ვინმე ამტკიცებს, რომ X ან თუნდაც XI საუკუნეში შარვან-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობა ისეთივე იყო როგორც XII საუკუნეში? აღნიშნული ფაქტები და მსჯელობა მის ზემოთ მოტანილ კატეგორიულ განცხადებას საფუძველს ვერ შეუქმნის. შემდეგ ახასიათებს შარვანის განვითარებულ სოციალურ-ეკონომიურ და კულტურულ მდგომარეობას XII საუკუნეში. მოაქვს აკად. ბ. დორნის მიერ 1841 წელს გამოთქმული მოსაზრება ამ პერიოდის შარვანის კულტურული დაწინაურების შესახებ. ზოგადად მსჯელობს კავკასიის ხალხთა სელჩუკებთან დამოკიდებულებისა და ბრძოლების შესახებ და ბოლოს იმეორებს ზემოთ მოტანილ თავის დასკვნას: «Что же касается вопроса о так называемом «грузинском влиянии» на Ширван или о «прямом подчинении» Ширвана Грузии, о чем было сказано выше, то это мнение, как уже говорилось, основывается на сообщениях грузинской хроники, оценка которой была дана нами выше.

Основываясь на имеющихся в нашем распоряжении письменных источниках, нумизматических и эпиграфических данных, можно с уверенностью сказать, что в X—XIII вв. «грузинское влияние» на Ширван (или «прямое подчинение» Ширвана Грузии) не существовало»[2].

ყოველგვარი დასაბუთების გარეშე ასეთი მსჯელობის გამოთქმა უმართებულოდ მიგვაჩნია. ავტორს, როგორც ჩანს, მხოლოდ ზოგადი წარმოდგენა აქვს ამ პერიოდის ქართულ ნარატიულ წყაროებზე (რომელსაც იგი ერთი ხელის მოსმით «грузинская хроника»-ს უწოდებს). საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა მაღალი ღირსებებით ხასიათდება XII ს. და XIII ს-ის დასაწყისის ქართველ ისტორიკოსთა ნაწარმოებები („ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი", „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი", ბასილი ეზოსმოძღვრის „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი", ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანის თხზულება და სხვ.). შარვანთან ურთიერთობის შესახებ ფაქტების გადმოცემისას ძველ ქართველ ისტორიკოსთა მხრივ სინამდვილის რაიმე სერიოზული დამახინჯება არც არის მოსალოდნელი, რადგან ისინი თვითონ ამბების მონაწილე-

[1] ვ. მინორსკი, დასახ. შრომა, От ответственного редактора, გვ. 8—9.

[2] იქვე, გვ. 11—12.

ნი და თანამედროვენი იყვნენ, აღწერდნენ მათ დროს არსებულ პოლიტიკურ მდგომარეობას და, რაც მთავარია, თავიანთ თხზულებებს წერდნენ უმთავრესად ისეთი მკითხველებისათვის, რომელთაც აღნიშნული ამბები ჯერ კიდევ არ გაქრობოდათ მეხსიერებიდან[1]. ჩვენ აქ ამ თხზულებების განხილვა და მათი ღირსებების დაცვა ზედმეტად მიგვაჩნია. ა. ა. ალი-ზადე არ ითვალისწინებს აგრეთვე, რომ საქართველო-შირვანის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ ცნობებს ამ „ქართული ქრონიკის“ გარდა სხვა ქართული წყაროებიც იძლევა (მაგ. „ხელმწიფის კარის გარიგება“, დოკუმენტური მასალა და სხვა). არ არის სწორი ავტორის განცხადებაც, თითქოს არაბულ-სპარსული წყაროები არაფერს ამბობენ საქართველოსადმი შირვანის დამოკიდებულების შესახებ. ამ მონაცემებს ჩვენ დაწვრილებით ქვემოთ განვიხილავთ.

ასეთივე პოზიციაზე დგანან სხვა აზერბაიჯანელი ისტორიკოსებიც, მაგალითად, მ. შარიფლი[2], ჯ. იბრაჰიმოვი[3], რ. ჰუსეინოვი[4] და სხვ. ავტორთა კოლექტივის მიერ დაწერილ „აზერბაიჯანის ისტორიაში“ საქართველო-შირვანის პოლიტიკური ურთიერთდამოკიდებულების შესახებ მეტად ზოგადი მსჯელობაა და ფაქტიურად გვერდი აქვს ავლილი ამ საკითხს[5].

საქართველოს სსრ მეც. აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილ კრებულში — „საქართველო რუსთაველის ხანაში“ — დაიბეჭდა აზერბაიჯანელი მეცნიერის ზ. მ. ბუნიატოვის წერილი **«Грузия и Ширван в первой половине XII века (Страничка из истории эпохи Шота Руставели)»**, რომელშიც ავტორი აქცევს საქართველო-შირვანის პოლიტიკური ურთიერთობისათვის მეტად საინტერესო ძეგლს, XII ს. შირვანელი პოეტის, ფალაკის ოდას დემეტრე პირველის სიკვდილზე. აღნიშნული ოდის სპარსულ ტექსტსა და რუსულ თარგმანს წამძღვარებული აქვს შესავალი სახით დავით აღმაშენებლისა და დემეტრე I ხანაში საქართველო-შირვანის პოლიტიკური ურთიერთობის განვითარების მიმოხილვა. აღსანიშნავია, რომ ამ სპეციალურ წერილშიც არაფერია ნათქვამი განხილულ პერიოდში საქართველო-შირვანის ურთიერთობის პოლიტიკური შინაარსის შესახებ. არაფერია ნათქვამი, თუ რა დამოკიდებულება არსებობდა საქართველოსა და შირვანს შორის. ავტორს

[1] ქართული საისტორიო წყაროების, კერძოდ კი, ქართველ ისტორიკოსის თხზულების [illegible] მაღალი შეფასება აქვს ი. პეტრუშევსკის წერილში „**Совместная борьба народов Закавказья против иноземных захватчиков в XI—XII вв.**“ (Известия Азерб. ФАН ССР, № 10, 1942).

[2] М. Х. Шәрифли, Азәрбајҹан IX—XII әсрләрдә (Азербайджан в XI—XIII вв., на азербайджан. языке). Труды Института истории АН Азерб. ССР, т. XII, Баку, 1957.

[3] Ҹәфәр Ибраһимов, Азәрбајҹанын Ширваншаһлар дөвләти тарихинә даир (1027—1382), (აზერბაიჯანის შირვანშაჰთა სახელმწიფოს ისტორიისათვის 1027—1382, აზერბ. ენაზე). Ученые записки Азерб. гос. университета им. С. М. Кирова, № 4, 1961.

[4] რ. ა. ჰუსეინოვმა ამ საკითხზე წაიკითხა მოხსენება ლენინგრადში აკად. ნ. მარის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიაზე. [illegible] ეს მან პირადად გვაცნობა.

[5] История Азербайджана (в трех томах), под редакцией И. А. Гусейнова, А. С. Сумбат-Заде, А. Н. Гулиева, Е. А. Токаржевского, т. I, Баку, 1958.

მოკლედ ფაქტები მოაქვს ბაგრატიონებისა და ქესრანიდებს შორის დამოკიდებულ [illegible] კავშირისა და იმ ბრძოლების შესახებ, რომლებსაც აწარმოებდა საქართველო შირვანიდან თურქ-სელჩუკთა განდევნისათვის. როგორც ჩანს, ავტორიც იმ აზრისაა, რომ შირვანი XII საუკუნეში საქართველოსაგან სრულიად დამოუკიდებელი იყო და თუ მათ შორის რაიმე კავშირი იყო, ეს მხოლოდ ქართველ ბაგრატიონთა და შირვანელ ქესრანიდების ნათესაობას ემყარებოდა.

განხილულ პერიოდში საქართველო-შირვანის პოლიტიკური ურთიერთობის [illegible] შესახებ [illegible] საკითხის [illegible] უფრო დეტალური განხილვა [illegible] — საკითხის [illegible] რომ ქართული წყაროების [illegible] [illegible] მონაცემებს შორის არ [illegible] XII ს. შირვანის პოლიტიკური ისტორიის [illegible] ჯერ კიდევ შორს არის [illegible] საჭიროა XII ს. შირვანის პოლიტიკური ისტორიის [illegible] საკითხების განხილვა.

* * *

XII საუკუნის შირვანის პოლიტიკური ისტორიის შესახებ წყაროები მეტისმეტად მწირია. ჩვენამდე არ მოუღწევია არც ერთი ადგილობრივი ქრონიკის ან ნარატიულ-ისტორიული ძეგლის[1]. ამ პერიოდის სპარსულ-არაბულენოვანი [illegible] XII ს. საისტორიო თხზულებანიც შედარებით მცირე ცნობებს შეიცავს[2]. (XV—XVII სს.) შირვანის შესახებ გვხვდება ცნობები უფრო გვიანდელ ისტორიულ-ლიტერატურულ ნაწარმოებებში, მაგრამ, როგორც [illegible] ეს თხზულებანიც არ [illegible] წყაროებს, [illegible] მათი ცნობები მეტად ზოგადი და, როგორც [illegible] [illegible][3]. ჯერ კიდევ 1841 წელს აკად. ბ. დორნმა [illegible] ეს გვიანდელი ლიტერატურული მონაცემები და მათზე [illegible] XII—XV საუკუნეების შირვანის ისტორიის[4] [illegible] მიერ მიღებული შედეგები [illegible] წყაროების [illegible] [illegible] შირვანშაჰ [illegible] II და [illegible] I [illegible].

[1] «Политическая история и хронология государства ширваншахов, вследствие утраты местных хроник, — одна из наиболее темных и запутанных страниц истории стран Закавказья. Годы правления отдельных ширваншахов точно не установлены. Вызывает споры даже время утверждения династии Кесранидов, пришедшей на смену Мазьядидам (по-видимому 1027—1382)». Очерки истории СССР, период феодализма (IX—XV вв.), ч. I, М., 1958, გვ. 653. [illegible]

[2] А. А. Ализаде, Некоторые сведения о Ширване (до начала XIII в.). Известия АН Азерб. ССР, вып. IV, № 12, 1947, Баку, გვ. 74.

[3] [illegible]

[4] Е. А. Пахомов, Краткий курс истории Азербайджана, გვ. 25—26.

[5] **B. Dorn, Versuch einer Geschichte der Schirwanschahe, Mém. de l'Acad. des sc. de St.-Pbg., VI sér., Sc. polit., hist., philol., t. IV, livr. 6, 1841, გვ. 523—602.**

პიროვნებად არის გამოყვანილი და გამოცხადებულია არარსებული ქესრანის შვილად[1]. სინამდვილეს მეტად არის დაშორებული მის მიერ შედგენილი შარვანშაჰების ქრონოლოგიური ნუსხაც. სხვა მონაცემების სათანადო შეუსწავლელობის გამო შარვანშაჰთა დორნისეული ნუსხა უცვლელად შეიტანა აკად. ვ. ბარტოლდმა თავის დამატებებში სტენლი ლენ-პულის წიგნისადმი[2].

გაცილებით უფრო დიდი მნიშვნელობისაა უშუალოდ შარვანიდან მომდინარე სხვა რიგის წყაროები. ესაა, პირველ რიგში, XII საუკუნის შარვანელ-აზერბაიჯანელ პოეტთა ცნობები და შარვანიდან მომდინარე ნუმიზმატიკურ-ეპიგრაფიკული მასალა.

როგორც აღნიშნული იყო, XII საუკუნის შარვანშაჰთა კარზე შეიქმნა მთელი სკოლა პანეგირისტი პოეტებისა, რომლებიც თავიანთ ლექსებში ქებას ასხამდნენ შარვანშაჰებს და მათი სახლის წევრებს. ამ შესხმა-ოდებში დაცულია არაერთი დიდი მნიშვნელობის ცნობა ამ შარვანშაჰთა მოღვაწეობიდან და საერთოდ შარვანის პოლიტიკური ისტორიიდან. ისინი ჩვენი საკითხისათვის მეტად ძვირფას ცნობებს იძლევიან.

პოეტთა „მეფედ" იწოდებოდა ნიზამ ად-დინ აბულ-ალა, რომელიც მოღვაწეობდა ძირითადად შარვანშაჰ მანუჩეჰრ II მეფობის პერიოდში. მისი ნაწარმოებების ცალკეულ ადგილებში შეინიშნება ქრისტიანული სარწმუნოებისადმი ერთგვარი პატივისცემა, რის შესახებაც ე. ბერტელსი შენიშნავს, რომ **«Оно (подчеркнутое уважение к христианству) становится понятным, если учесть родственные связи Ширваншахов с грузинскими царями»**[3].

---

[1] ამ გვიანდელი წყაროების მიხედვით, XII—XIV საუკუნეების შარვანშაჰები გამოცხადებული არიან ქესრანიდების დინასტიის წარმომადგენლებად. XVII ს. ისტორიკოსი ჰაჯი-ქალფა, გადმოგვცემს რა XIII ს. ავტორის, ბეიდავის ცნობებს, გვამცნობს, რომ ეს დინასტია მომდინარეობს ბაჰრამ ჩუბინიდან, რომელიც სასანიდი შაჰის ორმუზდ IV (579—590) სარდალი იყო და მცირე ხნით ეკავა ირანის შაჰების ტახტიც. XVI ს. ისტორიკოსი ხონდემირი შარვანშაჰებს მიიჩნევს ჯამასპის (ირანის შაჰად იყო 497—499 წწ.) შთამომავლად, ხოლო გაფარი (XVI ს. ავტორი) პირველ ქესრანიდად აცხადებს აბულ-მუზაფერ მანუჩეჰრს, რომელიც, მისი აზრით, იყო შვილი ქესრანისა და მოტანილი აქვს მთელი გენეალოგიური სია, რომლითაც თითქოს ეს ქესრანი უკავშირდებოდა ირანის სასანიდ შაჰს ორმიზდ IV. აქეთი საჭვეთ და განსხვავებული ცნობების მიხედვით, უკანასკნელ ხანებამდე მიღებული იყო, რომ XI — XIV საუკუნეების შარვანშაჰები მართლაც სპარსული წარმოშობის ქესრანიდულ გვარს ეკუთვნოდნენ და რომ ამ ახალმა დინასტიამ ადრე არსებული მეზ'ედიდების დინასტია შეცვალა 1027 წელს (იხ. **А. А. Али-заде, Некоторые сведения о Ширване (до начала XIII в.), Известия АН Азерб. ССР (отд. общ. наук), вып. IV, № 12, 1947, Баку**, გვ. **14—17; А. Х. Шарифли, Азербайджан в IX—XII вв.**, გვ. 70; **Ч. Ибраһимов, Азәрбајҹанын ширваншаһлар дөвләти тарихинә даир**, გვ. 27; **История Азербайджана, I**, გვ. 128, 141). მაგრამ როგორც ამას ახლად გამოქვეყნებული წყარო (XI საუკუნის შარვანის შესახებ) გვიჩვენებს, ეს თითქოს ყველაზე უფრო სანდო ცნობა, რაც შეიძლებოდა ადრეული [illegible] გვიანდელი ავტორების მონაცემებიდან, სინამდვილეს არ შეეფერება, რომ არაბული დინასტიის შეცვლას აქ ადგილი არ ჰქონია და რომ შარვანშაჰთა ირანის სახელი გვარიდან ჩამომავლობის თეორია გვიანდელ შეხედულებს წარმოადგენს (იხ. **В. Ф. Минорский, История Ширвана и Дербенда**, გვ. 176). ამდენად, ამ გვიანდელი თხზულებებით სარგებლობა მეტად სიფრთხილით და მკვლევართაგან დიდ სიფრთხილეს მოითხოვს.

[2] Стенли Лэн-Пуль, Мусульманские династии, перевел с английского с примечаниями и дополнениями В. Бартольд, СПб. 1899, გვ. 295.

[3] Е. Э. Бертельс, Литературная жизнь Азербайджана в XII в. წიგნში: «Низами и Фузули», იხ. Избранные труды, М., 1962, გვ. 40.

მაგრამ ამ ფაქტისათვის არასაკმარისი მნიშვნელობა პოლიტიკური მიმართებაც [illegible] ჰქონდა.

აბულ-ალას უმცროსი თანამედროვეები და მოწაფეები იყვნენ ფალაქი და ხაყანი. ფალაქის (აბუ-ნ-ნიზამ მუჰამად ფალაქი შირვანი) [illegible] შესანიშნავი გამოკვლევა ჰადი-ჰასანისა[1]. [illegible] მკვლევართა დახასიათებით. შესანიშნავი გამოკვლევა [illegible] ლიც თბილისის წიგნსაცავებში არ აღმოჩნდა და სამწუხაროდ ვერც სხვა [illegible] შევძელით მისი მიღება. ამ გამოკვლევის ცნობებს ჩვენ მხოლოდ [illegible] ტელსისა და ვ. მინორსკის შრომებში მოტანილი მასალების მიხედვით.

ხაყანის (აფზალ ად-დინ ბადილ იბნ-ალი) შემოქმედება ყოველმხრივ [illegible] მრავალრიცხოვანი ცნობების შემცველია ჩვენთვის საინტერესო საკითხზე [illegible] რე სხვა პოეტებისა. ხაყანის შემოქმედება ამ მხრივ [illegible] ლურ შესწავლას. ჯერ კიდევ 1857 წელს ნ. ხანიკოვმა [illegible] ფაქტი დაადგინა შარვანის ისტორიიდან ხაყანის ლექსების მიხედვით[2]. [illegible] შესწავლილ იქნა სხვა ავტორების მიერაც[3]. განსაკუთრებით საინტერესოა ი. მარის გამოკვლევა, სადაც ჩანს, რომ ხაყანის ტექსტების [illegible] წავლით და დადგენით ახალი ისტორიული მასალა ჩნდება[4]. ხაყანი მოღვაწეობდა როგორც მანუჩეჰრ II, ისე ახსითან I მეფობის დროსაც (გარდ. 1199 წ.). ამდენად მისი ცნობები შარვანის ისტორიის საკმაოდ ვრცელ პერიოდს წვდება.

გენიალური აზერბაიჯანელი პოეტის, ნიზამი განჯელის შემოქმედება [illegible] სათანადოდ ასახავს XII ს. საქართველოს პოლიტიკურ სიძლიერეს და [illegible] რიც შარვანის დამოკიდებულებას საქართველოსადმი. ამ საკითხებზე [illegible] ბით ქვემოთ შევჩერდებით.

ნუმიზმატიკური მასალა, როგორც წყარო XII ს. შარვანის ისტორიისათვის, დეტალურად აქვს განხილული თავის შრომაში [illegible] ე. პახომოვს. ამ მხრივ საინტერესოა მისი შრომა: **«Очерк истории ширваншахов кесранидов по нумизматическим, этнографическим и др. источникам»**, რომელიც დაწვრილებით აქვს [illegible] ჯანის ისტორიის შესახებ[5]. უფრო ადრე შარვანის ნუმიზმატიკური მასალა [illegible] ნიხილა ა. მარკოვმა[6].

---

[1] Hadi Hasan, Falaki-i-Shirwani: his times, life and works. London, 1929.

[2] Lettre de m. Khanykov à m. Dorn, „Mélanges asiatiques", t. III, St.-Pbg.

[3] [illegible] 1874 წ. [illegible] იხ. К. Г. Залеман, Четверостишия Хакани, СПб. 1875; [illegible] იხ. ე. ბერტელსის [illegible] გვ. 32—33.

[4] Ю. Н. Марр, К вопросу о позднейших толкованиях Хакани, [illegible] Низами—Руставели», М.—Л., 1935.

[5] Е. А. Пахомов, Краткий курс истории Азербайджана с древн[illegible] по истории ширваншахов XI—XIV вв., Баку, 1923; [illegible] „Татуа ширваншаха в Грузии" (გვ. 47—48); [illegible] Ширваншах Шахиншах (Известия Азербайджанского археологического комитета, Баку, 1925, გვ. 69—70); Арабские и Каспийско-иранские феодалы Азербайджана в 12—14 вв.), Сборник памяти Н. Я. Марра, М., 1938, გვ. [illegible]

[6] А. К. Марков, Инвентарный каталог Эрмитажа, СПб. 1896 г.

XII ს. შარვანის ეპიგრაფიკული ძეგლების დიდი ნაწილი გამოქვეყნებულია ა. ა. ალეკსერ-ზადეს მიერ შრომაში **„Надписи архитектурных памятников Азербайджана эпохи Низами"**[1].

ამ განხილულ წყაროთაგან განსხვავებით ყველაზე უფრო ვრცელ და ძვირფას ცნობებს XII ს. შარვანის პოლიტიკური ისტორიის შესახებ ზემოთ აღნიშნული ქართული საისტორიო თხზულებანი იძლევიან. ეს გასაგებიცაა. XII საუკუნეში საქართველო პოლიტიკური აღმავლობის გზაზე იყო დამდგარი. ამ საუკუნის ბოლოსათვის იგი ითვლებოდა უძლიერეს სახელმწიფოდ არა მარტო ამიერკავკასიაში, არამედ მთელს წინა აზიაში. ქართველ პოლიტიკოსთა თვალში შარვანის საკითხი ერთერთი მთავარი საკითხი იყო. გასაგებია, ქართულ საისტორიო თხზულებებში შარვანის პოლიტიკური მდგომარეობა სათანადოდ აისახებოდა. უდავოდ არასწორია პროფ. ა. ა. ალი-ზადე, რომელიც ქართული წყაროების მონაცემებს ყოველგვარი დასაბუთების გარეშე უგულვებელყოფს. ზერელე განცხადებით ქართული წყაროების დახასიათება, როგორც მხოლოდ „ცალმხრივი" ცნობების შემცველისა, არამეცნიერულია. და განა პროფ. ალი-ზადესათვის ცნობილი არ არის, რომ ცალმხრივობისაგან დაცული არ არიან არც მაჰმადიანური, სპარსულ-არაბული წყაროები? საჭიროა არა უარყოფა ერთი რიგის წყაროების მონაცემებისა, არამედ მათი კრიტიკული განხილვა და შეჯერება. ასეთი მეთოდით კი ჩვენ უსათუოდ აღნიშნული განცხადებისაგან განსხვავებულ დასკვნებს მივიღებთ. ქვემოთ უფრო ვრცლად შევჩერდებით, აქ კი მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ არ არსებობს სხვა (არაქართული) წყარო, რაიმე მონაცემი, რომელიც ქართულ საისტორიო თხზულებებში თუ დოკუმენტებში დაცულ ცნობებს შარვანის შესახებ უარყოფდეს. ხოლო რაც შეეხება ამ წყაროების მნიშვნელობას — შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ ქართული წყაროების მონაცემების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა საერთოდ XII საუკუნის შარვანის ისტორიის შესწავლა.

* * *

ვიდრე უშუალოდ XII საუკუნის საქართველო-შარვანის ურთიერთობას განვიხილავდეთ, საჭიროა წარმოვადგინოთ ის ცნობებიც, რაც გაგვაჩნია XI საუკუნის ბოლო წლების შარვანის პოლიტიკური მდგომარეობისა და საქართველო-შარვანის ურთიერთობის შესახებ.

უკანასკნელ დრომდე მიღებული იყო, რომ დაახ. 1074 წლიდან შარვანშაჰის ტახტი ეკავა ფარიბურზ I, რომელიც შარვანშაჰად უნდა ყოფილიყო თითქოს 1117 წლამდე[2]. ამ შარვანშაჰის მოღვაწეობიდან ძალიან ცოტა რამ იყო ცნობილი, მაგრამ ახლად აღმოჩენილმა წყაროებმა მდიდარი მასალები მოგვცეს მისი მმართველობის პერიოდის შესახებ. 1941 წ. „Journal asiatique"-ში ვ. მინორსკიმ და კლ. კაენმა გამოაქვეყნეს შარვანშაჰ ფარიბურზის კარზე მყოფი მდივნის მას'უდ ბენ ნამდარის მიერ შედგენილი დოკუმენტებისა და ჩანაწერების მეტად საინტერესო კრებული[1]. ამ კრებულის არაბული ხელნაწერი აღმოჩნდა პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში. ამის შემდეგ მალე იმავე ვ. მინორსკის მიერ შესწავლილ და გამოცემულ იქნა აჰმედ იბნ ლუთფულაჰის (მუნაჯიმ-ბაშის) თხზულების (ჯამის ად-დუვალ) არაბულ ხელნაწერებში დაცული XI ს. არაბი ავტორის ქრონიკის ფრაგმენტები, რომლებიც კავკასიის მაჰმადიანური ქვეყნების (არანი, შარვანი, დარუბანდი და სხვ.) ისტორიას წარმოადგენდა[2]. ვ. მინორსკიმ თავის გამოცემებს ვრცელი კომენტარები დაურთო[3].

როგორც ირკვევა, ფარიბურზი შარვანშაჰადაა არა 1074 წლიდან, როგორც ეს მიღებული იყო აზერბაიჯანელი ისტორიკოსების შრომებში, არამედ 1063 წლის 20 თებერვლიდან[4]. ამრიგად, მისი მოღვაწეობა ემთხვევა საქართველოში ბაგრატ IV მეფობის უკანასკნელ წლებს. ჩვენ შევეხებით მხოლოდ ალფ-არსლანის საქართველოში მეორე შემოსევასთან დაკავშირებულ ზოგიერთ ფაქტს, რომელიც გარკვეულად წარმოგვიდგენს საქართველო-შარვანის ურთიერთობის შინაარსს ამ პერიოდში.

1066 წ. თურქ-სელჩუკები იწყებენ შარვანში ინტენსიურ შემოჭრას. ფარიბურზ შარვანშაჰი ყოველგვარი საშუალებით ცდილობს, რომ თურქების დამარბეველი თარეში ააცილოს თავის ქვეყანას. მან ბევრი ფული დახარჯა, რათა თურქები მისი ქვეყნიდან გასვლაზე დაეთანხმებინა, მაგრამ იმავე წლის 22 ნოემბერს თურქთა ახალი ჯარი კარა-თეგინის (قرا تكين) მეთაურობით ხელახლა შემოიჭრა შარვანში. კარა-თეგინმა ალყა შემოარტყა იაზიდიას, შარვანის დედაქალაქს, სასტიკად მოარბია მიდამოები, დახოცა აურაცხელი ხალხი, გაიტაცა საქონელი და ტყვედ წაასხა ბავშვები და ქალები, შარვანი გაძარცვა. როგორც აღნიშნულია

[1] Архитектура Азербайджана. Эпоха Низами; Москва — Баку, 1947, გვ. 369—397.

[2] История Азербайджана, т. I, გვ. 139; მ. შარიფლი, დასახ. შრომა, გვ. 67; ჯ. იბრაჰიმოვი, დასახ. შრომა, გვ. 22; ა. ა. ალი-ზადეს წიგნი „Некоторые сведения о Ширване (до XIII в.)," გვ. 17—18; ე. პახომოვის Краткий курс истории Азербайджана, გვ. 22—30 და სხვ.

[1] V. Minorsky et Claud Cahen. Le recueil transcaucasien de Mas'ūd b. Nāmdār, „Journal asiatique", 1949, გვ. 93—142.

[2] V. Minorsky, Studies in Caucasian history, London, 1953. არაბული ტექსტის რუსული თარგმანი შესრულებული ა. მამედოვის მიერ, გამოქვეყნდა აზერბაიჯანის ისტორიის ინსტიტუტის შრომებში, იხ. Труды Института истории АН Азерб. ССР, т. XII, Баку, 1957, გვ. 208—222; V. Minorsky, A history of Sharvan and Darband, Heffer, Cambridge, 1958; ამ წიგნის რუსული გამოცემის (В. Ф. Минорский, История Ширвана и Дербенда, М., 1963) შესახებ ზემოთ აღვნიშნავდით. მართალია, უკვე 1860 წლიდან იყო ცნობილი აჰმედ იბნ ლუთფულაჰის (გარდ. 1702 წ.) თხზულება თურქული თარგმანის სახით, მაგრამ მასში „თარიხ ალ-ბაბ ვა შირვან" (XI ს. უცნობი არაბი ავტორის ქრონიკა) მეტად შემოკლებული სახით იყო მოტანილი; როგორც ვ. მინორსკი მიუთითებს, ამ თავებს არაბულ დედანში უჭირავთ 25 გვერდი (775 სტრიქონი), თურქულ თარგმანში კი დატოვებული იყო მხოლოდ 185 სტრიქონი. ვ. მინორსკიმ არსებული ხელნაწერების მიხედვით შეისწავლა ამ არაბული ქრონიკის ფრაგმენტები, მოტანილი აჰმედ იბნ ლუთფულაჰის არაბულ ტექსტში და ზემოთ აღნიშნულ გამოცემებში გამოაქვეყნა კრიტიკულად დადგენილი არაბული ტექსტები თარგმანითურთ.

[3] როგორც ვ. მინორსკი შენიშნავს, „თარიხ ალ-ბაბ ვა შირვან" დაწერილი უნდა იყოს 1075 წლისათვის. მისი ავტორი მოღვაწეობდა ალბათ შარვანშაჰ ფარიბურზის მეფობის დროს, რადგანაც დაწვრილებით აღწერს ამ შარვანშაჰის ცხოვრებას და მოღვაწეობას. მის შრომებში შენიშნულია ქრისტიანი ქართველებისადმი სიძულვილი. იხ. В. Минорский. История Ширвана и Дербенда, გვ. 17.

[4] იხ. „თარიხ ალ-ბაბ ვა შირვან", § 18, წიგნში—В. Ф. Минорский. История Ширвана и Дербенда, Москва, 1963 г. (ქვემოთ მითითებული იქნება: „თარიხ ალ-ბაბ ვა შირვან"), შრომები, გვ. 125

არაბულ ქრონიკაში, „უდაბურ ველად“[1], კარა-თეგინი აქედან გაემართა ბაქოსაკენ, სადაც გააგრძელა ძარცვა-რბევა და მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტა. შემდეგ იგი გაემართა შაბარანისაკენ (ეს უკვე 1067 წელია), დაიბანაკა ამ ქალაქთან და მიუსია მარბიელი ჯარი ახლო-მახლო სოფლებს. ახალი დამხმარე ძალის მოსვლის შემდეგ კარა-თეგინმა ხელახლა შემოარტყა იაზიდიას ალყა; რამდენიმე ხნის შემდეგ აქედანაც აიყარენ თურქები, დიდი ნადავლით გაემართნენ სამხრეთისაკენ და გაეცალნენ შარვანს. იმავე 1067 წ. თებერვალში შარვანშაჰთან მოვიდა ყაზვინის თურქი მფლობელის ელ-ბასანის მოციქული და მოსთხოვა ყოველწლიური ხარკი 30.000 დინარის რაოდენობით. თურქთა ხელახალი შემოსევის შიშით შარვანშაჰი იძულებული გახდა დათანხმებულიყო.

ამ ამბების გადმოცემას უშუალოდ მოსდევს ქრონიკის ცნობა საქართველოს მეფის მიერ შარვანში მოწყობილი ლაშქრობის შესახებ: ჰიჯრით 459 წლის მეორე ჯუმადას თვეში (1067 წლის აპრილში) „ჯ. რხ. სრი“ (სახელი დამახინჯებული ფორმით არის დაცული ხელნაწერებში — A ხელნაწერში جرحرى, B-ში جرحرى) გიორგის ძე (بن كركي) აშკარად გამოვიდა შარვანშაჰის წინააღმდეგ. იგი თავისი ჯარით წამოვიდა მაქიზე და ხელთ იგდო ციხე დასქარათ ალ-ჰუსაინი (قلعة دسكرة الحسين). მან ამ ციხეში შეიყვანა ჯარი თავის ვაჟიშვილთან და ძმასთან ერთად, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ციხე გადასცა მაქის მმართველს, აღსართან გაგიკის ძეს. შარვანშაჰმა ფარიბურზმა შეკრიბა ჯარი და გაემართა ამ ციხის დასაბრუნებლად, მაგრამ მას წარმატება არ ჰქონია: იაზიდიაში გაწბილებული დაბრუნდა[2].

როგორც სამართლიანად შენიშნავს ვ. მინორსკი, შარვანშაჰის წინააღმდეგ გამოსული პიროვნება უნდა იყოს საქართველოს მეფე ბაგრატ IV გიორგის ძე, რომლის სახელიც „თარიხ ალ-ბაბ ვა შირვანის“ ხელნაწერებში ან დამახინჯებული სახითაა დაცული, ან იგი შარვანში ცნობილი იყო ჩვენთვის გაურკვეველი ზედწოდებით[3].

ბაგრატის მიერ აღნიშნული მაქის ციხის დაკავება და შარვანშაჰის წინააღმდეგ გამოსვლა მაშინ მოხდა, როცა ამ უკანასკნელმა თურქებთან ბრძოლა შეწყვიტა და თავი მათ მორჩილად გამოაცხადა. შარვანშაჰის თურქებისადმი დამორჩილების შემდეგ გაძლიერდა აღმოსავლეთის მხრიდან საქართველოში თურქ-სელჩუკთა შემოსევის საფრთხე. როგორც ჩანს, ბაგრატ IV ამის გამო ცდილობს აღმოსავლეთით თავისი პოზიციების გამაგრებას და შეიძლება ფარიბურზის წინააღმდეგ იმის გამო გამოდის, რომ შარვანშაჰი თავის მხარეზე გადაიყვანოს[4].

[1] თარიხ ალ-ბაბ ვა შირვან, § 20.

[2] იქვე, § 21.

[3] В. Минорский, История Ширвана и Дербенда, გვ. 95.

[4] ადრე შარვანშაჰსა და საქართველოს მეფეს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობა იყო დამყარებული. მაგალითად, 1066 წ. საქართველოს ჯარი ეხმარება ფარიბურზს მისი დედაქალაქის აჯანყებული მცხოვრებლების წინააღმდეგ (თარიხ ალ-ბაბ ვა შირვან, § 19); შემდეგაც თურქების წინააღმდეგ ბრძოლისას არაბული ქრონიკის ავტორი ახსენებს შარვანელთა არამუსლიმან მოკავშირეებს (იქვე, § 20); გამორიცხული არაა, რომ ამათშიც ქრისტიანი ქართველები იგულისხმებოდეს.

აზერბაიჯანში ბაგრატ IV მოქმედება მარტო აღნიშნული ციხის აღებით არ შემოიფარგლებოდა. ამის შესახებ საინტერესო ცნობებია დაცული სადრ ად-დინ ალ-ჰუსაინის საისტორიო თხზულებაში „أخبار الدولة السلجوقية“ (აჰბარ ად-დაულათ ის-სელჯუკია), რომელიც ჩვენს ისტორიოგრაფიაში უკანასკნელ ხანებამდე არ არის სათანადოდ გამოყენებული[1]. ამ ავტორთან ვკითხულობთ, რომ ჰიჯრით 460 წელს (ჩვ. წ. 1067 წ.) აფხაზთა მეფე ბაგრატი ბარდაას შეესია და დაარბია: و فی سنة ستين و أربع مائة أغار ملك ابخاز و اسمه بقراط على البرذعة

„აფხაზთა“ მეფის ჯარში შედიოდნენ „მაქის“ (კახეთის) და „აფრანჯების“ (sic.) მცხოვრებლებიც. ალფ-არსლანის მეორე შემოსევა საქართველოში ქართველთა მიერ აზერბაიჯანის ამ დალაშქვრის შემდეგ მოხდა[2].

„მატიანე ქართლისაჲ“ მიხედვით ჩვენ მეტად ზოგადი წარმოდგენა გვაქვს 1067 წლის ამბებზე. კერძოდ, ქართველი მემატიანის მიხედვით მხოლოდ ვიცით, რომ სულტანი ალფ-არსლანი საქართველოში პირველი ლაშქრობიდან სამი წლის შემდეგ რანის მხრიდან „უგრძნეულად“ შემოვიდა ჰერეთად. ჰერეთის დიდებულები ამ დროს ბაგრატ მეფის მხარეზე იდგნენ, ხოლო კახეთის მეფე აღსართან გაგიკის ძე „მას ჟამსა იყო (დარჩენილი) მცირედითა საქონლითა“. ამ დროს ბაგრატ მეფე იყო „განლაშქრებული აღებად კახეთისა“, ხოლო მისი ლაშქრის ნაწილი „წინა გაგზავნილი იყო ვეჟინისა ერისთავსა თანა წარიქცევლად“. ეს ლაშქარი მშვიდობით დაბრუნდა უკან და მეფეს ეამბო სულტნის შემოსვლა და „დაყრა ციხეთა“. ბაგრატ მეფემ სასწრაფოდ დატოვა კახეთი და ქართლს დაბრუნდა[3]. ზემოთ მოტანილი მონაცემები ავსებენ ქართველი მემატიანის თხრობას და ერთგვარად ახლებურადაც წარმოგვიდგენენ ვითარებას. მაგალითად, საინტერესოდ დგება ბაგრატ IV და კახთა მეფე აღსართანის ურთიერთობის საკითხი. როგორც ჩანს, თურქების შემოსევის უშუალო წინაპერიოდში ბაგრატს შეუცვლია თავისი აგრესიული (მტრული) დამოკიდებულება კახთა მეფისადმი და კახეთიდან წასვლის წინ მისთვის მაქის ზემოთ აღნიშნული ციხეც (დასქარათ ალ-ჰუსაინი) გადაუცია. ფარიბურზ შარვანშაჰის ლაშქრობა ამ ციხის უკან დასაბრუნებლად წარუმატებლად დამთავრდა. ასევე ჩვენთვის ახალია ცნობა 1067 წ. ბარდავზე ქართველთა ლაშქრობის შესახებ, ბაგრატ IV ლაშქარში „აფრანჯთა“ (ფრანგთა, ევროპელთა) მონაწილეობის შესახებ და სხვა. ეს მონაცემები სპეციალურ შესწავლას მოითხოვს.

[1] სადრ ად-დინ ალ-ჰუსაინი მოღვაწეობდა ხორეზმშაჰ თეკეშის (1172—1200) კარზე. იგი თავისი თხზულების ზოგიერთ ნაწილში ემყარება [illegible] წლების ამბებს გადმოგვცემს. [illegible] В. В. Бартольд, Сочинения, I, М., 1963, გვ. 74—75; შდრ. [illegible] „Akhbar 'ud-dawlat is-saljuqiyya by Sadr-uddin Abu'l Hasan Ali ibn 'Ali al-Husaini, edited by Muhammad Iqbal, Lahore, 1933 ([illegible] „ალ-ჰუსაინი“). აღნიშნული წყაროს ქართული თარგმანის [illegible] ნ. შენგელია.

[2] ალ-ჰუსაინი, ٤٣.

[3] ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 306; შდრ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 1948, გვ. 152—153.

1067 წ. ბოლოს სელჩუკთა სულტანი ალფ-არსლანი უკვე არანშია. ფარიბურზ შარვანშაჰი მასთან გამოცხადდა მისართმევლებით და თავისი სამსახური შესთავაზა[1]. 1068 წ. ნოემბრის თვეში მას ეახლა კახთა მეფე აღსართანიც, რომელმაც „მიუძღუანა ძღვენი დიდი, დაუტევა სჯული, დაიცჳთა წინა, აღუთქუა ხარაჯა" (ქ ც ზა, I, გვ. 309). საქართველოსაკენ წამოსულ სულტანს სომეხთა მეფე კვირიკესა, ტფილელ ამირასა და აღსართანთან ერთად ფარიბურზიც თან ახლავს[2]. აღსანიშნავია, რომ შარვანშაჰმა თურქების დახმარებით დათრგუნა კუნის რაიონის მოსახლეობის აჯანყება. ვ. მინორსკის ვარაუდით, ადგილი „კუნის" (قوني) სახელწოდებით უნდა ყოფილიყო ქ. ყაბალას რაიონში[3]. აქაური მოსახლეობა, რომელიც ძირითადად ქრისტიანული იყო, შარვანშაჰს არ ემორჩილება; ამის წინ მათ მოკლეს ყაბალას კართან ფარიბურზის ბიძაშვილი ლაშქარისთანი. ამ გამოსვლისათვის შარვანშაჰმა სასტიკად დაარბია „კუნის" მოსახლეობა, დახოცა ბევრი მცხოვრები, გადასწვა სოფლები და გაირეკა საქონელი[4].

ვ. მინორსკის დაკვირვებით, შარვანშაჰი ფარიბურზი დიდი დიპლომატიური ნიჭით დაჯილდოებული პიროვნება უნდა ყოფილიყო[5]. მეტად რთულ პოლიტიკურ სიტუაციაში, რომელიც იმ დროს შეიქმნა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში, მან შეძლო არა მხოლოდ თავისი ხელისუფლების გადარჩენა, არამედ თურქებთან მოპოვებული თავისი გავლენა გამოიყენა პირადი მოწინააღმდეგეების დასათრგუნავადაც. მართალია, თურქებთან კარგი ურთიერთობის შენარჩუნება ძალიან ძნელი იყო და ფარიბურზიც იძულებული იყო ალფ-არსლანის სასარგებლოდ ეკისრა ყოველწლიური გამოსაღები, ხოლო თავისი შვილი აფრიდუნი, რომელიც დარუბანდს განაგებდა შარვანშაჰის სახელით, იქიდან უკან გამოეწვია, მაგრამ ალფ-არსლანის სიკვდილის შემდეგ მან მაინც შეძლო დარუბანდის კვლავ დამორჩილება და იქ აფრიდუნის დაბრუნება[6].

„თარიხ ალ-ბაბ ვა შირვანში" მოტანილია შემდეგი საყურადღებო ცნობა: 1072 წ. ფარიბურზი შეუკავშირდა არანის მმართველ ფადლ ბენ შავურს და მათ ორივემ ალყა შემოარტყეს მალუღის ციხეს (قلعة ملوغ). ამ ციხის ზუსტი ადგილმდებარეობა დღეისათვის დაუდგენელია[7]. იგი დაახლოებით მდებარეობდა დღევანდელი ნუხის რაიონში, მაშინდელი შაქისა და ყაბალის საზღვართან. ქრონიკის ცნობით, ჰიჯრით 445 წ. (ჩვ. წ. 1053 წ.) შარვანშაჰ სალარმა აიღო ეს ციხე, საფუძვლიანად გაამაგრა იგი, შიგ ჩააყენა გარნიზონი და მოამარაგა სურსათითა და იარაღით. ამ ციხის მახლობლად მან გააშენა ქალაქი, სადაც ჩაასახლა

[1] თარიხ ალ-ბაბ ვა შირვან, § 22.

[2] იქვე; სწორედ ამ ფაქტს, ე. ი. საქართველოს წინააღმდეგ ალფ-არსლანის 1068 წ. ლაშქრობაში ფარიბურზ შარვანშაჰის მონაწილეობას უნდა გულისხმობდეს მას'უდ ბენ ნამდარიც, როდესაც იგი ფარიბურზისადმი მიძღვნილ პოემაში აღნიშნავს, რომ ეს შარვანშაჰმა დაიმორჩილა „აფხაზეთი". არ უნდა იყოს სწორი ვ. მინორსკი, როდესაც აღნიშნავს, რომ მას'უდი ამ ცნობაში თითქოს გულისხმობს XI ს. 90-იანი წლების ჩვენთვის უცნობ ამბავს. იხ. В. Минорский, История Ширвана..., გვ. 96.

[3] იქვე, გვ. 116.

[4] თარიხ ალ-ბაბ ვა შირვან, § 22.

[5] В. Ф. Минорский, История Ширвана и Дербенда, გვ. [illegible]—97.

[6] თარიხ ალ-ბაბ ვა შირვან, § 23.

[7] В. Ф. Минорский, История Ширвана..., გვ. 117.

ხალხი და ააგო საკრებულო მეჩეთი[1]. ჰიჯრით 464 წ. დასაწყისში (ამ წლის 1 მუხარამი მოდიოდა ჩვ. წ. 1071 წლის 29 სექტემბერზე) აღსართან კახთა მეფის მოადგილემ (ერისთავმა?) წაართვა შარვანშაჰს ეს ციხე და თვითონ დაეპატრონა. 1072 წლის ივნისში (ჰიჯ. 464 წ. რამადანის თვეში) ფარიბურზმა და მისმა მოკავშირემ ფადლ ბენ შავურმა აიღეს „მალუღის" ციხე და რადგანაც იქ გამაგრებას ვერ ახერხებდნენ და შიშობდნენ, რომ ამ ციხეს ხელახლა დაკარგავდნენ, იგი მთლიანად დაანგრიეს და, როგორც გადმოგვცემს ქრონიკა, „იქ მცხოვრები ქრისტიანები (ურწმუნონი — الكفرة) ამოხოცეს" (§ 26).

ფარიბურზ შარვანშაჰი მოღვაწეობდა დაახ. 1094—1103/4 წწ.-მდე (ჰიჯრით 487—498 წწ.-მდე)[2]. 1075 წლის შემდგომი ხანის შესახებ ცნობები შედარებით ნაკლები გაგვაჩნია. ვიცით მხოლოდ, რომ მან ბოლომდე შეინარჩუნა თავისი ხელისუფლება. მოღწეულია ფარიბურზ შარვანშაჰის რამდენიმე მონეტა, რომლებზედაც აღნიშნულია სულტან მალიქ-შაჰის (1072—1092 წწ.) და ხალიფა ელ-მუსთაზჰირ-ბილლაჰის (1094—1118 წწ.) სახელები. ამ ტიპის მონეტებზე ფარიბურზის სახელი მეფის წოდებულობის გარეშე (მხოლოდ فريبرز) არის მოთავსებული. არის მეორე ტიპის მონეტა, სადაც სულტანი აღარ არის მოთავსებული, მხოლოდ აღნიშნულია ხალიფა ელ-მუსთაზჰირ-ბილლაჰის (المستظهر بالله) სახელი, ხოლო ფარიბურზს უკვე მეფე (الملك) ეწოდება. ამასთან დაკავშირებით ე. პახომოვი შენიშნავდა, «Пропуск имени Сюзерена может указывать на какие-нибудь особые, неизвестные нам, политические события, тем более что после Мелик-шаха сельджукская империя быстро распадается и служит ареной борьбы за престол и власть»[3]. არსებობს სხვა მონაცემებიც, რომლებითაც მტკიცდება, რომ ფარიბურზისა და სელჩუკიან სულტანთა ურთიერთობა ცვალებადი ხასიათის იყო. ალ-ბუნდარი, რომელიც [illegible] შემოკლებულად გადმოგვცემს არაბი ისტორიკოსის, იმად ად-დინის ცნობებს, მოგვითხრობს, რომ როდესაც მელიქ-შაჰმა არანზე გაიარა, შარვანის მფლობელი ფარიბურზი, რომელიც აქამდე „განდგომილი ყოფილა" (ან „[illegible] და წინააღმდეგობას") გამოცხადდა მასთან და იკისრა ყოველწლიურად გადაეხადა ხარკი 70 000 დინარის რაოდენობით. ეს თანხა შემდეგ შემცირებული ყოფილა 40.000 დინარამდე[4]. ასეთივე ცნობა აქვს სადრ-ად-დინ ალ-ჰუსაინისაც. [illegible] იგი გადმოგვცემს, რომ არანის ქვეყნებში მელიქ-შაჰის [illegible] გაუგზავნია კაცი შარვანშაჰთან. შარვანშაჰი დამორჩილდა და [illegible] ყოველწლიური ხარკი 70 000 დინარის რაოდენობით[5]. ეს ამბავი [illegible]

[1] თარიხ ალ-ბაბ ვა შირვან, § 18.

[2] Hadi-Hasan, Falaki-i-Shirwani. his times, life and works, გვ. 5, [illegible]; А. А. Али-заде, Некоторые сведения о Ширване (до XIII в.), Изв. АН Азерб. ССР, вып. IV, № 12, 1947, გვ. 12.

[3] Е. Пахомов, Очерк истории ширваншахов-кесранидов. [illegible] — Краткий курс истории Азербайджана, Баку, 1923, გვ. 29.

[4] Histoire de Seldjoucides de l'Irâq par al-Bondârî, texte arabe publiée par M. Th. Houtsma, Leyde, 1889, გვ. 143.

[5] "ووقع له عبور على بلاد ارّان فسيّر الى شروانشاه صاحب بلادشروان فطع و قرّر على نفسه سبعين ألف دينار كلّ سنة يحملها." [illegible], გვ. ٢٣٠.

უნდა მომხდარიყო 1078—1079 წწ.[1] არის არაპირდაპირი ცნობაც, რომლითაც მტკიცდება, რომ ფარიბურზ შარვანშაჰი ჩასულა ისპაჰანში მელიქ-შაჰთან[2]. აღნიშნული ამბები და თარიღიც უახლოვდება საქართველოში „თურქობის" დამყარებისა და საქართველოს მეფე გიორგი II ისპაჰანში მალიქ-შაჰთან მორჩილების გამოსაცხადებლად ჩასვლის თარიღს, რასაც ადგილი ჰქონდა დაახ. 1080 წ.

შარვანშაჰის ხარკის რაოდენობის შესახებ განსხვავებული ცნობა აქვს XIII ს-ის ისტორიკოსს ნესევის. მისი მტკიცებით, შარვანშაჰთა ხარკის რაოდენობა 100.000 დინარს უდრიდა[3]. ხარკის რაოდენობის შესახებ ასეთი სხვადასხვა ცნობების არსებობა იმის შედეგი უნდა იყოს, რომ იცვლებოდა შარვანის პოლიტიკური დამოკიდებულება სელჩუკთა სულტნებთან[4].

ამრიგად, მალიქ-შაჰის დროიდან (1072—1092 წწ.) შარვანიცა და საქართველოც სულტნის მოხარკე ქვეყნებია. გიორგი II ცდილობდა, როგორც ამას მისი მეზობელი ხელისუფალნი აკეთებდნენ, თურქთა ძალა გამოეყენებინა თავისი პოლიტიკური მიზნებისათვის (კახეთის შემოერთებისათვის), მაგრამ ეს საქმეც ბოლომდე ვერ მიიყვანა და შედეგად მხოლოდ ის მიიღო, რომ კახეთის მნიშვნელოვანი ნაწილი საშინლად მოოხრდა (როგორც დავითის ისტორიკოსი შენიშნავს—„სუჯეთი და იორის პირი კუხეთი მოოჴრდა მუნ დღეინდლად დღემდე"[5]), ხოლო კახეთის მეფე აღსართანი თვითონ დაემორჩილა უშუალოდ სულტანს.

განხილულ პერიოდში საქართველო-შარვანის ურთიერთობის შესწავლისას გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოებანი. საქართველო ჯერ კიდევ მთლიანად გაერთიანებული არ არის. შარვანსა და „აფხაზთა და ქართველთა" მეფის სამფლობელოს შორის ჯერ კიდევ არსებობს კახეთ-ჰერეთის ქართული სამეფო და აგრეთვე ზოგიერთი წვრილი ნახევრად დამოუკიდებელი ფეოდალური ერთეული. შარვანის სახელმწიფო საზღვარი დასავლეთით მთავრდებოდა მდ. გეოგჩაის აუზში. აქედან იწყებოდა სამთავრო ყაბალა, რომლის დამორჩილებასაც ასე გულდაგულ ცდილობდნენ შარვანშაჰები. როგორც დავინახეთ, 1068 წ. ფარიბურზ შარვანშაჰმა თურქებიც კი გამოიყენა, რომ აქაური მოსახლეობის ურჩობა დაეთრგუნა. შემდეგ იწყებოდა შაქის[6] ტერიტორია, რომლის აღმოსავ-

[1] ვ. მინორსკი მიუთითებს მაჰქრიმან ხალილ იანანჩის შრომაზე „Selçuklular devri", 1944, № 1, გვ. 111, სადაც ეს თარიღია დადგენილი.

[2] В. Ф. Минорский, История Ширвана и Дербенда, გვ. 56.

[3] Histoire du Sultan Djalal-ed-din Menkobirti prince du Kharezm par Mohamed en Nesavi, texte arabe, par O. Hamdes, Paris, 1891, შდრ. M. Defrémery, Fragments de géographes et d'historiens arabes et persans inédits, Journal asiatique, t. XIV, Paris, 1849, გვ. [illegible]

[4] А. А. Ализаде, Некоторые сведения о Ширване, გვ. 18.

[5] ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 322.

[6] ქართული წყაროების მიხედვით, შაქი ანუ შაკიხი ჰერეთის აღმოსავლეთი ნაწილია. არაბული წყაროების მიხედვით კი, შაქი ემიჯნება [illegible] ჰერეთი და კახეთი ერთიან სახელმწიფოდ გაერთიანდა, მთელი ამ სახელმწიფოს [illegible] ეწოდებოდა „შაქის" [illegible] წი და შაქის მმართველი (الصاحب شكّي), [illegible] § 21 და § 26) [illegible] თან—„შაქის მეფე [illegible] (ملك شكّي اخرتان), [illegible] გვ. ٤٤.

ლეთი რაიონები დღევანდელი მდ. ავრიჩაის აუზს მოიცავდა. კახთა მეფე კვირიკე დიდის მიერ ჰერეთის შემოერთების შემდეგ ამ აღმოსავლეთი ნაწილის (ნუხპატი, გიში) ფეოდალი მფლობელები დამოუკიდებლობის შენარჩუნებისაკენ მიისწრაფოდნენ. საინტერესო დეტალია დაცული „ახბარ უდ-დავლათ ას-სელჯუკიაში". მისი ავტორის, სადრ უდ-დინ ალ-ჰუსაინის მოთხრობით, როდესაც ალფ-არსლანი შაქში (ჰერეთში) შემოვიდა, აქ მას ადგილობრივი ორი ციხის პატრონი დახვდა, რომელსაც ოდითგანვე დიდი მტრობა ჰქონდა „შაქის მელიქ-თან" (ანუ კახეთის მეფე აღსართანთან). ეს ფეოდალი მიეგება ალფ-არსლანს, მიიღო მაჰმადიანობა და თავისი ციხეები მას გადასცა. ამის შემდეგ სულტანს თვით კახეთის მეფე აღსართანიც ეახლა მორჩილებით.

შაქის აღმოსავლეთი სასაზღვრო რაიონი საცილობლად იყო გამხდარი კახეთის მეფესა და შარვანშაჰებს შორის. ამ ბრძოლაში გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებით ერევა „აფხაზთა და ქართველთა" მეფე ბაგრატ IV, რომელმაც, როგორც ზემოთ დავინახეთ, 1067 წ. აპრილში დაიკავა ციხე „დასქართა ალ-ჰუსაინი" და შემდეგ ეს ციხე გადასცა კახეთის მეფე აღსართანს. ფარიბურზ შარვანშაჰის ლაშქრობა ამ ციხის დასაბრუნებლად უშედეგოდ დამთავრდა. ბუნებრივია, ამის შემდეგ მას მონაწილეობა მიეღო ალფ-არსლანთან ერთად საქართველოს წინააღმდეგ მოწყობილ ლაშქრობაში (1068).

კახეთისა და „აფხაზთა და ქართველთა" მეფის ურთიერთობა ამ დროს მეტად ცვალებადია. საქართველოს გაერთიანებისათვის მებრძოლი სამეფო კარი იძულებულია ხან ძალით იმოქმედოს, ხან კი მას მოკავშირედ გაუხდეს.

საქართველოს პოლიტიკოსისათვის შარვანის საკითხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს თურქობასთან ბრძოლის პერიოდში. ასევე არანაკლები მნიშვნელობის იყო არანის საკითხიც, სადაც თურქებმა შარვანზე ადრე მოიკიდეს ფეხი. აქაური მმართველი შედადიდები, კერძოდ კი აბულ-ასვარ შავურ იბნ ფადლი და ფადლ-იბნ შავური თურქების გამოყენებას ცდილობდნენ თავიანთი პოლიტიკური მიზნებისათვის. ამიტომაა, რომ ბაგრატ IV ყურადღება უმთავრესად ამ ქვეყნისაკენ არის მიმართული (გავიხსენოთ ბაგრატის ლაშქრობანი განჯასა და ბარდავზე დაქირავებული ჯარის თუ მოკავშირეების დახმარებით და სხვა). არაბი ავტორის მტკიცებით, 1068 წლის ლაშქრობა საქართველოზე სულტანმა ალფ-არსლანმა საქართველოს მეფის მიერ აზერბაიჯანში მოწყობილი ლაშქრობის საბაბით დაიწყო.

თურქების მიერ დაძლეულ გიორგი II უფრო ნაკლებად შეეძლო აქტიური პოლიტიკა ეწარმოებინა რან-შარვანის მიმართ. 1089 წლიდან საქართველოს სამეფო ტახტს იკავებს მისი ვაჟი დავით IV აღმაშენებელი, რომლის მოღვაწეობაშიც ჩვენთვის საინტერესო საკითხი ახალ შინაარსს იძენს.

* * *

XI ს. მიწურულისა და XII საუკუნის შარვანის შესახებ ისეთი მდიდარი ცნობების შემცველი წყარო, როგორიცაა „თარიხ ალ-ბაბ ვა შირვანი", ჯერჯერობით არ არის აღმოჩენილი. ამ პერიოდის შარვანის პოლიტიკური ისტორიის შესახებ ყველაზე ვრცელი ცნობები ქართულ წყაროებშია დაცული და ასევე დროის. ამ პერიოდის შარვანის პოლიტიკური ისტორიის განხილვა შეუძლებელია, თუ საქართველოს ისტორიის ფაქტები არ იქნება გათვალისწინებული.

თურქების წინააღმდეგ შეტევაზე გადასული დავით აღმაშენებელი მხარდაჭერას პოულობს ქართული ფეოდალური საზოგადოების ფართო ფენებში. საქართველოს ისეთ ნაწილებშიც, რომლებიც ჯერ კიდევ არ იყვნენ ერთიანი საქართველოს ფარგლებში გაერთიანებულნი და სადაც ადგილობრივი ფეოდალებიც ადრე განცალკევებისაკენ მიისწრაფოდნენ, თურქობის საფრთხის ვითარებაში საქართველოსთან გაერთიანებას ემხრობოდნენ. რა თქმა უნდა, ყველა ფეოდალი ერთი აზრისა და მიზნის არ იყო. ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი ნაწილი დიდგვარიანი ფეოდალებისა თურქებთან კავშირს არჩევდა საქართველოს მეფის ხელქვეით ყოფნას, მაგრამ ესენი ამჯერად უმცირესობას წარმოადგენდნენ და მათ აშკარა დამარცხება მოელოდათ. დავითის მეფობის დასაწყისში კახეთის მეფეა კვირიკე, მემატიანის დახასიათებით „კაცი... ჭეშმარიტი ქრისტიანე“[1]. თურქებთან მისი ურთიერთობის შესახებ არაფერი ვიცით, მაგრამ აღნიშნული დახასიათებიდან ჩანს, რომ იგი განსხვავდებოდა თავისი უშუალო წინაპრისაგან — აღსართან გაგიკის ძისაგან, რომელიც „წარვიდა მალიქ-შას წინაშე, დაუტევა ქრისტიანობა და შეეძინა სარკინოზთა სჯულსა, და ამით ღონითა აიღო სულტანისაგან კახეთი“[2]. „თურქობა“ კახეთის ფეოდალთა ძირითადი მასისათვის ისევე მიუღებელი იყო, როგორც საქართველოს სხვა ნაწილების ფეოდალთათვის. რა თქმა უნდა, აქაც ზოგიერთი დიდგვარიანი „თურქობიდან“ გამორჩენას ცდილობდა და „ამით ღონით“ სურდა მოეპოვებინა ერთგვარი უპირატესობა მტკიცე ცენტრალისტური ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში. ისინი, არცთუ მცირე რაოდენობით, მტრის მხარეზე გადავიდნენ, მაგრამ ძირითადი ნაწილი კახეთ-ჰერეთის ფეოდალებისა სწორად ითვალისწინებდა ქვეყანაში თურქთა საბოლოო გაბატონების საფრთხეს[3] და ამიტომ საქართველოსთან გაერთიანებას ესწრაფვოდა. თურქობის საფრთხე კი კახეთისათვის განსაკუთრებით სერიოზული იყო: კახეთისაგან უშუალოდ სამხრეთით მდებარე ქვეყანაში — არანში თურქები მტკიცედ იყვნენ გაბატონებულნი, ხოლო აღმოსავლეთელმა მეზობელმა შარვანშაჰებმა, კახეთის მეფეთა ძველმა პოლიტიკურმა მეტოქეებმა, თურქებთან მოახერხეს საერთო ენის გამონახვა და მათი დახმარებით სცადეს კახეთ-ჰერეთის ხარჯზე თავიანთი ტერიტორიის გაფართოება.

კახეთ-ჰერეთის ფეოდალთა ძირითადი ნაწილის დამოკიდებულება, ერთი მხრივ, თავიანთ (კახეთ-ჰერეთის) მეფეებთან და, მეორე მხრივ, „ყოველი საქართველოს“ გაერთიანებისათვის მებრძოლ საქართველოს სამეფო ხელისუფლებასთან ცვალებადი ხასიათის იყო. ერთ შემთხვევაში, თუ მხარს უჭერენ თავიანთ მეფის „ჭეშმარიტ ქრისტიანობას“, ისინი უკვე გადაჭრით ეწინააღმდეგებიან „ურჯულო“ და თურქების მხარეზე გადასულ თავიანთ პატრონს და ქართული მიწების გაერთიანებისათვის მებრძოლ საქართველოს მეფის მხარეზე დგებიან. დავით აღმაშენებელს კვირიკე კახთა მეფის დროს ძალით უხდება ზედაზნის ციხის დაკავება („მოსცა ჟამი ღმერთმან მეფესა დავითს და წარუღო კვირიკეს ციხე ზედაზენი. ქორონიკონი იყო სამას ოცდასამი“). კახეთ-ჰერეთის ფეო-

[1] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 326.

[2] იქვე, გვ. 322.

[3] თურქთა ბატონობის („თურქობის“) შედეგები შესანიშნავად არის დახასიათებული დავითის ისტორიკოსთან. იხ. ქართლის ცხოვრება, I, გვ. 322—325.

დალთა პოზიცია იცვლება კახეთის სამეფო ტახტზე ახალი მეფის, კვირიკეს ძმისწულის — აღსართანის ასვლის შემდეგ. „და შემდგომად წელიწადისა ერთისა (1104 წ.) მიიცვალა მეფე კვირიკე, და დასუეს კახთა მეფედ ძმისწული კვირიკესი აღსართან, რომელსა არა ჰქონდეს ნიშნი მეფობისანი, რამეთუ იყო ცუნდრუკი რამე, უსჯულო და უმეტესად უსამართლო, და ყოვლად წინაუკმო მამის ძმისა მისისა“[1]. ამ დახასიათებიდან ჩანს, რომ აღსართანი თავისი ბიძის პოლიტიკის საწინააღმდეგოდ („წინაუკმოდ“) მოქმედებდა. თურქებთან მის დამოკიდებულებაზე მიგვითითებს ის ფაქტი, რომ იგი ბიძამისივით „ჭეშმარიტი ქრისტიანე“ (ე. ი. თურქობის მოწინააღმდეგე) კი არ იყო, არამედ „ურჯულო და უმეცრად უსამართლო“. ამიტომ, ჰერ-კახთა ფეოდალების მხარდაჭერით „ესე აღსართან... შეიპყრეს ჰერთა დიდებულთა, არიშიანმან და ბარამ, და დისწულმან მათმან ქავთარ ბარამისძემან, და მოსცეს მეფესა“[2]. დავითმა დაიკავა კახეთის სამეფოს ტერიტორია („აღიხუნა მეფემან ჰერეთი და კახეთი“). ამ ამბავს დაუყოვნებლივ გამოეხმაურნენ თურქები.

კახეთი მითვლილი ჰქონდა განძის მფლობელს. განძა კი ამ დროს მალიქ-შაჰის ერთ-ერთი ვაჟის — მუჰამედის (ღიას-ად-დინ აბუ-შუჯას) საუფლისწულო მამულს წარმოადგენდა და მას უშუალოდ განაგებდა ათაბაგი (ამ ათაბაგის სახელი ცნობილი არ არის[3]). 1105 წელს მუჰამედ მალიქ-შაჰის ძე სულტანად შეიქმნა. როგორც ჩანს, სწორედ მისი ჯარები ათაბაგის მეთაურობით შემოიჭრნენ კახეთში საქართველოს მეფის გასადევნად. კახეთის აზნაურთა ნაწილი თურქებს მიემხრო, მაგრამ დავითმა მომხდურნი და მათ მხარეზე დამდგარი კახელები სასტიკად დაამარცხა („და ერწუხს ქმნნა წყობანი დიდნი და ქმაგასმენილი იგი დიდი ძლევა, რომელ მცირედითა ლაშქრითა და განწირულითა ერითა დაჰკოცნა სულტანისა იგი ურიცხუნი სპანი, ათაბაგი განძისა და უმრავლესი კახთა და ქვეყანისა ერი, მტერთავე თანა გარემოდგომილი ჩუენდა“[4]).

ამ გამარჯვების შემდეგ დავითმა „თვითმპყრობელობით დაიპყრა ჰერეთი და კახეთი, და ნებიერად აღიხუნა ციხენი და სიმაგრენი მათნი, მზეებრ მოჰფინა წყალობა ყოველთა ზედა მკვიდრთა ქუეყნისათა“[5]. დავითი თურქთა წინააღმდეგ შეტევაზე გადადის. ერთ-ერთ არაბულ წყაროში მოიპოვება ცნობა, რომ 1109—1110 წწ.-ში დავითმა გაილაშქრა სულტან მუჰამედის წინააღმდეგ და თვით ქ. განძაც კი დაიკავა[6]. ქართულ წყაროებში ამის შესახებ არაფერია აღნიშნული, მაგრამ დავითის ისტორიკოსი სწორედ ამ პერიოდისათვის დავითის წარმატებებს ზოგადი ფრაზით ახასიათებს: „ღმერთი ესრეთ განაგებდა საქმეთა დავითისთა, და წარუმართებდა ყოველთა გზათა მისთა, და მოსცემდა ძა-

[1] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 326.

[2] იქვე, გვ. 328.

[3] М. М. Альтман. Исторический очерк города Гянджи, ч. I, Баку, 1949, გვ. 31.

[4] [illegible] ტ. I, 1955.

[5] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 329.

[6] Ibn-al-Qalanisi, „Hist. of Damascus“, ed. by H. Amedroz, Beyrut-Leiden, 1908, გვ. 168.

„მითი-ყამად ძლევათა საკჳრველთა"[1]. თუ მართალია არაბული წყაროს აღნიშნული ცნობა დავითის მიერ 1109—1110 წწ. განძის აღების შესახებ, ეს ალბათ ამ „ყამითი-ყამათ ძლევათა" შორის არის ნაგულისხმევი. ცნობა ამ საკითხის ირგვლივ აქვს ალ-ფარიკსაც, თუმცა იგი სხვა თარიღს უჩვენებს (რაზედაც ქვემოთ ვჩერდებით). საფუძველი არ გვაქვს უარვყოთ არაბული წყაროების ცნობა დავითის მიერ განძის აღების შესახებ, ხოლო ქართულ წყაროებში მისი მოუხსენებლობა იმით უნდა აიხსნას, რომ საქართველოს მეფეს იმჟამად არ უცდია ამ ქალაქის შენარჩუნება. ისეთი წინდახედული და შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსისათვის, როგორიც დავით მეფე იყო, ნათელი უნდა ყოფილიყო, რომ განძის საბოლოო დაუფლებისათვის ჯერ კიდევ პირობები არ იყო შექმნილი და საქართველოს ამის ძალები იმჟამად არც გააჩნდა. ჯერ კიდევ გასათავისუფლებელი იყო უშუალოდ ქართული მიწები: „ქალაქი ტფილისი, რუსთავი, სომხითი ყოველი, სამშვილდე, აგარანი", რომელნიც „ჰქონდეს თურქთა". ამის გარდა, არანში თურქები მტკიცედ იყვნენ ფეხმოკიდებულნი, ხოლო ქ. განძა სულტნის ერთერთ რეზიდენციად ითვლებოდა. არანში თურქთა წინააღმდეგ გადამწყვეტი შეტევის დაწყებამდე და განძის საბოლოო დაუფლებამდე საჭირო იყო ჯერ სხვა მიმართულებით ზურგის მომაგრება და ძალების მოკრება.

ამიერკავკასიიდან თურქების საბოლოო გასადევნად და მათი ხელახალი შემოსევის საფრთხის აღსაკვეთად, აუცილებელი იყო როგორც საქართველოს გაერთიანების დამთავრება, ისე კავკასიის ხალხთა ძალების შეკავშირებაც. დავით აღმაშენებლის საგარეო პოლიტიკა სწორედ ასეთ გეზს იღებს[2].

კახეთ-ჰერეთის შემოერთების შემდეგ საქართველო უშუალოდ გაუმეზობლდა შარვანს და ამის შემდეგ შარვანშაჰებთან ურთიერთობას საქართველოს მეფე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს. დავითის ისტორიკოსი, გადმოგვცემს რა 1116 წ. ტაოში თურქთა დამარცხებას, აღნიშნავს: „მასვე წელსა ასული თჳსი კატა გაგზავნა საბერძნეთს სძლად ბერძენთა მეფისად. რამეთუ პირველ ამისსა პირმშო ასული თჳსი თამარი გაეგზავნა დედოფლად შარვანისა. რათა ვითარცა ორნი მნათობნი — ერთი აღმოსავლეთს, ხოლო მეორე დასავლეთს — ცისკროვან ყოფდენ სფეროსა. მამისაგან მიმღებელნი მზეებრთა შარავანდედთანი"[3]. როგორც აკად. ნ. ბერძენიშვილი შენიშნავს, ამ ნაბიჯით „ქართველთა მეფე შარვან შაჰთან შეთანხმებას და სელჩუკიან თურქთა წინააღმდეგ ბრძოლაში მის გადმობირებას ცდილობდა"[4]. ეს ქორწინება უნდა მომხდარიყო 1105—1106 წლებში.

დავითის თანამედროვე შარვანშაჰების შესახებ ჩვენ ძალიან ცოტა რამ ვიცით. როგორც ზემოთ მივუთითეთ, ფარიბურზის შარავანშაჰობა 1094—1103/4 წლამდე უნდა გაგრძელებულიყო. მუნეჯიმ-ბაში ფარიბურზის შემდეგ შარვანშაჰად აფრიდუნ ბენ ფარიბურზს ასახელებს. ეს ის აფრიდუნია, რომელიც აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწედ ჩანს მისი მამის, ფარიბურზის მეფობის დროსვე. იგი ერთხელ იყო დარუბანდის მმართველად დაყენებული და, ქართველი მემა-

[1] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 329.

[2] ნ. ბერძენიშვილი, აღმოსავლეთ კახეთის წარსულიდან (მოკლე პოლიტიკური ისტორია), მიმომხილველი, III, 1953, გვ. 69.

[3] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 334.

[4] ნ. ბერძენიშვილი, დასახ. წერილი, გვ. 69.

ტიანის ცნობით, სწორედ დარუბანდელებთან ბრძოლაში დაიღუპა 1120 წ. მაგრამ აქ სხვა ხასიათის წინააღმდეგობა იჩენს თავს. 1094—1118 წლების რომელიღაც მონაკვეთში შარვანშაჰად ჩანს მისი ძმა მანუჩეჰრ ფარიბურზის ძე. ე. პახომოვს ერმიტაჟის კოლექციიდან აღწერილი აქვს ერთი დაბალი ხარისხის ვერცხლის მონეტა ზედწარწერით: الملك منوجهر بن فريبرز „მეფე (მალიქი) მანუჩეჰრ ფერიბურზის ძე". მონეტის მეორე გვერდზე წარწერილია სარწმუნოებრივ სიმბოლოსთან ერთად ხალიფა ელ-მუსთაზჰირ ბილლაჰის المستظهر بالله და სელჩუკთა სულტან მუჰამედის (السلطان محمد) სახელებიც. ელ-მუსთაზჰირ ბილლაჰ ხალიფად იყო 1094—1118 წლებში[1]. ე. პახომოვი შენიშნავს: «Судя по времени чеканки и по отчеству Менучехра, едва ли могут быть сомнения в том, что он является сыном и преемником Ферибурза, от которого получил престол по наследству».[2]

ე. პახომოვი მიუთითებს აგრეთვე წვრილ სპილენძის მონეტებს, რომლებზედაც აღბეჭდილია ერთ მხარეზე სახელი منوجهر ტიტულის გარეშე, ხოლო მეორეზე ნახსენებია მელიქ-შაჰი (ملك شاه ალბათ II)[3]. მელიქ-შაჰ II სულტანი ბარქიარუქის შვილი იყო და მისი სიკვდილის შემდეგ (1104 წ.) იგი მცირე ხნით იკავებს სელჩუკთა სასულტნო ტახტს. 1105 წ. სულტანია უკვე მისი ბიძა მუჰამედი. თუ სწორია ე. პახომოვის ვარაუდი, რომ ეს წვრილი სპილენძის მონეტები მანუჩეჰრისა და მელიქ-შაჰის სახელებით შარვანშაჰ მანუჩეჰრ I [illegible]ნის, მაშინ გამოდის, რომ მანუჩეჰრ I შირვანშაჰია 1104 წელსაც. შარვანშაჰ ფარიბურზის გარდაცვალების სავარაუდო თარიღად, როგორც მივუთითეთ, განსაზღვრულია დაახ. 1094—1104 წლები[4]; ამრიგად, ფარიბურზის უშუალო მემკვიდრედ მისი ძე მანუჩეჰრ I ჩანს. მუნეჯიმ ბაშის მიერ ფარიბურზის უშუალო მემკვიდრედ აფრიდუნის დასახელება[5] ალბათ იმით აიხსნება, რომ როგორც ვ. მინორსკიც მიუთითებს[6], 1075 წლის შემდეგდროინდელ ამბებზე ამ გვიანდელ ისტორიკოსს მეტად ზოგადი წარმოდგენა აქვს. მაშასადამე, გამოდის, რომ აფრიდუნმა ტახტი თავისი ძმის, მანუჩეჰრ I შემდეგ დაიკავა. აფრიდუნის შირვანშაჰობის წლები სპეციალურ ლიტერატურაში არ არის განსაზღვრული. ე. პახომოვი მხოლოდ მიუთითებს, რომ ეს უნდა მომხდარიყო ჰიჯრით 497—511 წლებს შორის.

ქართული წყაროების ზოგიერთი არაპირდაპირი ცნობებით შეიძლება განისაზღვროს აფრიდუნის შარვანშაჰობის წლები. როგორც ზემოთ მივუთითეთ, დავითის ისტორიკოსი 1116 წლის ამბებთან დაკავშირებით გადმოგვცემს, რომ „პირველ ამისსა" (ე. ი. 1116 წლის წინა ხანებში) დავითს „პირმშო ასული თჳსი თამარი გაეგზავნა დედოფლად შარვანისა". როგორც ცნობილია, თამარი

[1] С. Лэн-Пуль, Мусульманские династии, გვ. 9.

[2] Е. Пахомов, Очерк истории ширваншахов-кесранидов. Краткий очерк истории Азербайджана, გვ. 30.

[3] იქვე.

[4] Hadi-Hasan, Falaki-i-Shirwani, გვ. 5; А. А. Али-заде, Некоторые свед. о Ширване, გვ. 12.

[5] თარიხ ალ-ბაბ, გამოცემ. § 29.

[6] В. Ф. Минорский, История Ширвана и Дербенда, გვ. 56, 176—1[illegible].

შარვანში დააქორწინეს აფრიდუნის ვაჟზე — მანუჩეჰრ მეორეზე[1]. ამ ქორწინებასთან დაკავშირებით ისტორიკოსი აცხადებს, რომ დავითმა იმიტომ გაათხოვა თამარი შარვანში, რათა იგი ყოფილიყო მნათობი, რომელიც „ცისკროვანს ჰყოფს“ აღმოსავლეთ სფეროს „მამისაგან მომლებელი მზეებრთა შარავანდედთა“[2]. ისტორიკოსის ასეთი კატეგორიული განცხადება („გაეგზავნა დედოფლად შარვანისა“, თამარი „ცისკროვან ყოფდა“ აღმოსავლეთ სფეროს და სხვა) გვაფიქრებინებს, რომ თამარის საქმრო ქორწინების დროს უკვე უნდა ყოფილიყო შარვანშაჰობის უეჭველი მემკვიდრე (შარვანშაჰად იგი შეიქმნა უფრო გვიან—1130 წ.). ამ დროს შარვანშაჰად რომ ისევ მანუჩეჰრ I ყოფილიყო, ისტორიკოსი ვერ იტყოდა, რომ თამარი გაგზავნილ იქნა შარვანის დედოფლად. დავით აღმაშენებელიც, რომელიც ამ ქორწინებას დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობას ანიჭებდა, საეჭვოა, რომ დათანხმებულიყო თავისი ქალის შარვანშაჰის მხოლოდ უბრალო ნათესავზე დაქორწინების ამბავს. უფრო მოსალოდნელია, რომ დავითმა თავისი ქალი დააქორწინა შარვანშაჰის მემკვიდრეზე. ასეთად კი მანუჩეჰრ II შეიძლებოდა ჩათვლილიყო მხოლოდ მაშინ, როდესაც შარვანშაჰის ტახტზე უკვე მისი მამა აფრიდუნი იჯდებოდა. სავსებით შესაძლებლად მიგვაჩნია წამოვაყენოთ მოსაზრება, რომ მანუჩეჰრ II აფრიდუნის ძე თამარის საქმროდ არჩეულ იქნა მაშინ, როცა შარვანშაჰად უკვე მისი მამა აფრიდუნ ფარიბურზის ძე იყო. ქორწინების თარიღი დავითის ისტორიკოსს მითითებული არა აქვს. იგი მხოლოდ აღნიშნავს, რომ ეს ამბავი მოხდა 1116 წელზე ადრე. თ. ჟორდანიას გამოქვეყნებული აქვს აფხაზ მეფეთა ქრონიკიდან ერთი დაზიანებული წარწერა, რომელიც დათარიღებულია დასაბამიდან „ხღივ“ (6716) და ქორონიკონის „ტლბ“ (332) წლით, რაც ჩვ. წ. 1112 წელს უდრის. დაზიანების გამო მთლიანად წარწერის წაკითხვა ძნელდება. მაგრამ გარკვევით იკითხება ფრაზა: „თამარ შირვანით გამოვიდა“. როგორც თ. ჟორდანია ვარაუდობს, თამარი ამ დროს უკვე შარვანში იყო გათხოვილი და ამ მინაწერში აღნიშნულია მისი საქართველოში ჩამოსვლა თავისი პაპის, გიორგი II გარდაცვალების გამო[3]. მაშასადამე, თამარის შარვანში გათხოვება 1112 წელზე ადრე მომხდარა. აღნიშნული ვარაუდი სავსებით შესაძლებლად მიგვაჩნია. ამას მხარს უჭერს ხაყანის ერთი ცნობაც, რომელსაც ყურადღება მიაქცია ჯერ კიდევ ი. ხანიკოვმა. ახსიტან შარვანშაჰისადმი მიძღვნილ ერთერთ ოდაში ხაყანის მოეპოვება ასეთი ადგილი

پانصد هجرت از جهان هیچ خلف چون زاد

از خلفای سلطنت تا خلفای راستین

[1] აკად. მარი ბროსე მიაჩნდა, რომ დავითის ასულის თამარის ქმარი იყო შარვანშაჰი ახსიტან I (Hist. de la Géorgie, I, გვ. 360). იგივე აზრი გაიმეორეს უფრო გვიან სხვა ისტორიკოსებმაც, მაგ., დ. ბაქრაძემ. იხ. მის მიერ გამოცემული ვახუშტის „საქართველოს ისტორია“, ნაწ. I, ტფ. 1885 წ., გვ. 178, შენ. 3. მაგრამ, როგორც ეს აღნიშნა ჯერ კიდევ ე. პახომოვმა (იხ. მისი Очерк истории ширваншахов-кесранидов, გვ. 33), მ. ბროსეს მოსაზრება არავითარ საფუძველს არ ემყარებოდა და მომდინარეობდა ალბათ შარვან-შაჰთა დორნისეული მცდარი გენეალოგიური სქემიდან. ახსიტანი (ქართული წყაროების აღსართანი) იყო შვილი თამარისა და არა ქმარი. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანში“ პირდაპირაა მითითებული, რომ აღსართანი იყო გიორგი III „მამის დის წული“ (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 17).

[2] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 334.

[3] თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, გვ. 239—240.

„ჰიჯრით 500 წლიდან ამ ქვეყანაზე არ გაუჩენია ასეთი მემკვიდრე არც ერთ მპყრობელს (მეფეს) და არც ჭეშმარიტ ხალიფას“. ამაზე დამყარებით ხანიკოვი შენიშნავდა, რომ ახსიტანი დაბადებული უნდა იყოს 1106 წ. (ჰიჯრით 500 წელს)[1]. უსაფუძვლო ჩანს ხანიკოვის ამ მოსაზრების პახომოვისეული კრიტიკა[2]. ამრიგად, თუ თამარისა და მანუჩეჰრის ვაჟი ახსიტანი დაიბადა 1106 წ., ქორწინება თამარსა და მანუჩეჰრს შორის უნდა მომხდარიყო 1105 წელს ან 1106 წლის დასაწყისში (ჰიჯრით 500 წელი იწყებოდა 1106 წლის აგვისტოში). მაშასადამე, რადგანაც 1105 წელს შარვანშაჰად ჩანს მანუჩეჰრ I, აფრიდუნი შარვანშაჰად შექმნილა 1105 წ., ე. ი. აფრიდუნის შარვანშაჰობა უნდა განისაზღვროს 1105—1120 წლებით.

აფრიდუნის შარვანშაჰობის პერიოდზე ცნობები მეტისმეტად მცირეა, მაგრამ არსებული მონაცემებით მაინც ჩანს, რომ თურქებთან ურთიერთობის საკითხში იგი მამამისის (ფარიბურზის) პოლიტიკას აგრძელებს. მისი დროისათვის თურქ-სელჩუკებმა უკვე დიდი ცვლილება განიცადეს. მათში ფართოდ მოიკიდა ფეხი ფეოდალიზაციის პროცესმა და თურქი არისტოკრატია უკვე ნაკლებად განსხვავდებოდა ადგილობრივი ფეოდალებისაგან. შარვანშაჰისათვის სარწმუნოებით ერთიან თურქ არისტოკრატიასთან საერთო ენის გამონახვა უფრო ადვილი გახდა. მით უმეტეს, რომ ამიერკავკასიაში თურქების ბრძოლა გარეგნულად სულ უფრო და უფრო ურწმუნოთა (ე. ი. ქრისტიან ქართველთა და სომეხთა) წინააღმდეგ ბრძოლის ხასიათს იღებდა. თურქი მთავრეშეები შარვანს შედარებით ნაკლებად აწუხებდნენ. ისინი ჩამოსასახლებლად უფრო მტკვრის სამხრეთით მდებარე ველებს ეტანებოდნენ. საქართველოსთან უკომპრომისო ბრძოლების ვითარებაში სელჩუკიანი სულტნები შარვანშაჰის მიმართ დათმობაზეც წავიდნენ და ხარკის რაოდენობა შეუმცირეს[3].

დავითის მიერ თავისი პირმშო ასულის შარვანშაჰის მემკვიდრეზე დაქორწინების ფაქტი გვიჩვენებს, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა საქართველოს მეფე შარვანთან კეთილ ურთიერთობას და მოკავშირეობას თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში. როგორც სამართლიანად შენიშნავს აკად. ნ. ბერძენიშვილი, „ამ ნაბიჯით ქართველთა მეფე შარვანშაჰთან შეთანხმებას და სელჩუკიან თურქთა წინააღმდეგ ბრძოლაში მის გადმობირებას ცდილობდა“[4]. მაგრამ ეს ნაბიჯი საკმარისი არ აღმოჩნდა. აფრიდუნი კვლავ თურქული ორიენტაციის გზაზე დარჩა და მათთან კავშირში ყოფნას არჩევდა. ამის შემდეგ დავითი შარვანშაჰის წინააღმდეგ აქტიური პოლიტიკის წარმოებას იწყებს. ...და შეიერთა წელსა

[1] Lettre de Khanykov à m. Dorn. Mélanges asiatiques. t. III, St.—Pb., 1859, გვ. 123.

[2] Е. А. Пахомов, Очерк истории ширваншахов..., გვ. 34—35. [illegible] 1193—6 წლებში [illegible] 1158-59 წწ.-ში [illegible] 1106 [illegible] 14 წლის მაინც [illegible]

[3] [illegible] 100.000 [illegible] 70.000 დინარამდე. ხოლო XII საუკუნის [illegible] 40.000 დინარამდე. იხ. Р. Гусейнов, Сирийские источники XII—XIII вв. об Азербайджане. Баку, 1960, გვ. 107.

[4] ნ. ბერძენიშვილი, აღმოსავლეთ [illegible], გვ. 65

(ქ. ი. 1117 წ.) დაიპყრნა გრიგოლის ძენი, ასათ და შოთა, და აიღო ციხე გიში"[1]. ამ უკიდურესი აღმოსავლური ქართული პროვინციის მფლობელებს დამოუკიდებლობა შენარჩუნებული ჰქონდათ თურქებთან კავშირის მეოხებით. ზემოთ ჩვენ მოვიტანეთ ალ-ჰუსაინის თხზულებიდან ადგილი, სადაც მოთხრობილი იყო, რომ როდესაც ალფ-არსლანი „შაქში“ (ჰერეთ-კახეთში) შემოიჭრა, მას უბრძოლველად დაემორჩილა და გამაჰმადიანდა ერთერთი ადგილობრივი ფეოდალი, რომელიც ორი გამაგრებული ციხის პატრონი იყო და, როგორც არაბი ავტორი შენიშნავს, იგი „შაქის“ (ჰერეთ-კახეთის) მეფესთან ოდითგანვე დიდ შურსა და მტრობაში ყოფილა. სრული უფლება გვაქვს ამ ფეოდალში დავინახოთ იგივე გრიგოლის ძენი, მფლობელნი გიშის ციხისა, რომლებსაც, როგორც ჩანს, თურქებთან დაკავშირების მეოხებით ქართველ მეფეთაგან დამოუკიდებლობა შეუნარჩუნებიათ თვით 1117 წლამდე.

გრიგოლის ძეთა დამორჩილების შემდეგ ქართველთა ჯარმა უშუალოდ შარვანი დალაშქრა: „და გაგზავნა ძე თჳსი დემეტრე შარვანს სპითა ძლიერითა ლაშქრად. ხოლო მან ქმნნა ომნი საკჳრველნი, რომლითა განაკჳრვნა მნახველნი და მსმენელნი; გამოიღო ციხე ქალაძორი დაუძლევამემოსილი მოვიდა წინაშე მამისა თჳსისა, სავსე ალაფითა და ტყუჳთა ურიცხჳთა"[2].

შარვანის წინააღმდეგ მოქმედებას საქართველოს მეფე განსაკუთრებით აძლიერებს ყივჩაყთა ჩამოსახლების[7] შემდეგ: „იწყო რბევად სპარსეთისა, შარვანისა და სომხეთისა დიდისა. რამეთუ არა დაშურებოდა, არცა მოეწყინებოდა. არამედ ჟამიერად და წესიერად ალაშქრებდა მათ"[3].

თურქებთან ბრძოლაში ახალ-ახალი წარმატებების მოპოვების შემდეგ, დავითი დაუყოვნებლივ იწყებს შარვანში მოქმედებას. 1120 წ. ზამთარში დავითმა თავისი ჩვეულებრივი ხერხით „ჩამოიტყუვნნის თურქმანნი საზამთროთა ადგილთა მტკვრის პირისათა, არამედ გარდამოიფრინვა თებერვალსა ათოთხმეტსა და უცნაურად დაესხა ზედა, და ძლით ვინმე შეესწრა ცხენსა და გარდაიხუეწა. აღიღეს ტყუე და ალაფი ურიცხჳ"[4]. ამ გამარჯვებით თურქთა ძალები შესუსტდნენ და დავითს თავისი მოქმედება გადააქვს შარვანში. ეს არის თურქების საწინააღმდეგო შეტევის გაგრძელება და დარტყმა მათი და მათი მომხრეების პოზიციებზე. დავითი თვითონვე ხელმძღვანელობს თავისი ჯარის ოპერაციებს. „და მასვე ჟამსა პირმარხვასა დღესა (ქ. ი. 1120 წ. თებერვლის შუა რიცხვებში) აიღო შარვანს ქალაქი ყაბალა, და აღავსო სამეფო თჳსი ოქროთა და ვერცხლითა და ყოვლითა სიმდიდრითა"[5] (ამ ლაშქრობის შესახებ მოიპოვება კვინკლოსური ცნობაც: „ქჳნს: ტმ: (1120 წ.) 14 თებერვალს დავით მეფემ აიღო შარვანს ქალაქი ყაბალა")[6].

[1] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 334.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 337.

[4] იქვე, გვ. 338.

[5] იქვე, გვ. 339.

[6] თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, გვ. 243.

[7] საქართველოში ყივჩაყთა ჩამოსახლების შესახებ იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. II, გვ. 199—200; შ. მესხია, დიდგორის ბრძოლა, თბ., 1965, გვ. 33—35, 86—88; რ. მეტრეველი, დავით აღმაშენებელი, თბ., 1965, გვ. 62—75 და სხვა.

ყაბალის აღების შემდეგ შარვანში შეტევის გაგრძელებისათვის დავითს ახალი ძალების შეკრება დასჭირდა: „წარმოვიდა ქართლს და მცირედ შეკრიბა სპა, და ჩავიდა შარვანს მაისსა შჳდსა“. ამჯერად მისი მოქმედება უკვე შარვანის შიდა ტერიტორიებს (ლაიზანი[1], ქურდევანი, ხიშტალანი) წვდება: „არბია ლიყათით ვიდრე ქურდევანამდე და ხიშტალანთამდე, და სავსენი ალაფითა მოვიდეს ქართლს“. ამ ამბების გადმოცემას უშუალოდ მოსდევს მემატიანეს განცხადება, რომ „მასვე დღეთა შეიბნეს შარვანელი და დარუბანდელი, მოკლეს აფრიდონ, და მოსწყჳდნეს შარვანელნი“[2].

შარვანში საქართველოს შემოტევის მომენტში დარუბანდის მფლობელის (დარუბანდელის) გამოსვლა შემთხვევითი არ უნდა იყოს. ეს ბრძოლა შეიძლება მისი საკუთარი ინიციატივით არც იყო წამოწყებული. საგულისხმოა, რომ აფრიდონის მოკვლისთანავე როგორც საქართველო, ისე დარუბანდიც წყვეტს ბრძოლებს შარვანის წინააღმდეგ[3], ხოლო შარვანის ტახტზე ახალი, ჩვენთვის უცნობი შარვანშაჰი ადის, რომლის სახელსაც წყაროები არ ასახელებენ. ჩვეულებრივ მიღებულია, რომ აფრიდონის დაღუპვის შემდეგ შარვანშაჰის ტახტი დაიკავა მისმა ძემ მანუჩეჰრმა[4], მაგრამ ეს მოსაზრება გადასინჯვას მოითხოვს. მანუჩეჰრი შარვანშაჰად შეიქმნა გაცილებით უფრო გვიან, რის შესახებაც ჩვენ ქვემოთ გვექნება მსჯელობა. აფრიდონზე გამარჯვებული დავით მეფე ბუნებრივია არც მის მემკვიდრეზე და თავის სიძეზე — მანუჩეჰრზე იქნებოდა გულმო-

[1] ამ გეოგრაფიული ტერმინის დადგენის [illegible] ვ. თოფურია. იხ. მისი წერილი „დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულების ერთი ადგილის დაზუსტება“, [illegible] (V), 1965 წ. [illegible], ტ. 116, [illegible] ქართველი ისტორიკოსის თხზულებაში მოტანილი ფორმა „[illegible]“ ([illegible]), [illegible] „[illegible]“ [illegible] გვ. 268; ქურდევანი მდ. [illegible] და სხვ. В. Минорский, История Ширвана и Дербенда, გვ. 107; [illegible]

[2] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 339.

[3] აღსანიშნავია, რომ პოეტი ხაყანი აფრიდუნს „შაჰიდ[?]“ (فريدن شهيد). [illegible] «Дербенд в то время был воротами, через которые не раз прорывались отряды немусульманских кочевников, как половцы, кипчаки и др., являвшиеся, конечно, союзниками дербендских эмиров в их борьбе с ширванскими владетелями и потому Афридун, убитый в бою с такими «неверными», без натяжки мог считаться шехидом». [illegible]

[illegible]

[4] Е. А. Пахомов, Очерк истории ширваншахов-кесранидов..., გვ. 22, 45; История Азербайджана, I, გვ. 141; ჯ. [illegible], გვ. 23—25; [illegible], გვ. 71—73 და სხვა.

ბრუნებული, მით უმეტეს, რომ უკვე ათ წელზე მეტი იყო, რაც შარვანშაჰი და საქართველოს მეფე დამოყვრებულნი იყვნენ და ამ დანათესავებამ სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. ჩვენ არაფერი ვიცით აფრიდუნის შარვანშაჰობის პერიოდში მანუჩეჰრის პოზიციაზე საქართველოსთან დამოკიდებულების საკითხში. მართალია, უფრო გვიან იგი ერთგული ყმადნაფიცია საქართველოსი, მაგრამ იგი ალბათ ასეთად იქცა მხოლოდ მას შემდეგ, როცა დარწმუნდა, რომ საწინააღმდეგო პოლიტიკამ მისთვის სასურველი შედეგი ვერ გამოიღო და მხოლოდ საქართველოს ყმადნაფიცობით დაიმკვიდრა შარვანშაჰობა.

როგორც აღვნიშნეთ, წყაროები არ ასახელებენ, თუ ვინ შექმნა შარვანშაჰად აფრიდუნის მოკვლის შემდეგ. მის შესახებ ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს არ იყო მანუჩეჰრ აფრიდუნის ძე[1], რომ იგი ტახტს იკავებს საქართველოს ხელშეწყობით, წყვეტს თურქებისადმი დამოკიდებულებას და საქართველოს ყმადნაფიცი ხდება.

შარვანშაჰის თურქთა სულტნის მორჩილებიდან გამოსვლა და საქართველოსადმი მორჩილება კიდევ უფრო განამტკიცა ქართველთა მიერ დიდგორის ომში მოპოვებულმა ბრწყინვალე გამარჯვებამ. როგორც ცნობილია, 1121 წლის 12 აგვისტოს დავით აღმაშენებელმა თრიალეთში, დიდგორის ველზე სასტიკად დაამარცხა თურქ-სელჩუკთა კოალიციური ლაშქარი[2]. 1122 წელს ქართველებმა აიღეს თბილისი, ხოლო 1123 წ. მარტში—ქ. დმანისიც. „თბილისისა და დმანისის დამორჩილებით საქართველოს სამეფო ხელისუფლებამ დაასრულა ხანგრძლივი ბრძოლა ქართული მიწა-წყლის შემოსაერთებლად და შემოსამტკიცებლად"[3]. ამის შემდეგ დავით მეფეს მეტი საშუალება მიეცა უფრო აქტიური პოლიტიკა ეწარმოებინა საქართველოს საზღვრებს გარეთაც.

საქართველოს წინააღმდეგ თურქებისა და სხვა მაჰმადიანი მფლობელების ამ წარუმატებელი ბრძოლების დროს ახალი შარვანშაჰი საქართველოს მხარეზე დგას. ეს უნდა იყოს მიზეზი იმისა, რომ საქართველოზე შურისძიებლად წამოსული სულტანი მაჰმუდი პირველ რიგში შარვანში შემოიჭრა და შარვანშაჰის დასჯა დაისახა მიზნად. სულტნის ამ ლაშქრობას აღწერენ როგორც ქართული, ისე არაბული წყაროები.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი გადმოგვცემს: თბილისის აღებიდან „მეორესა წელსა მოვიდა სულტანი შარვანს, შეიპყრა შარვანშა, აიღო შამახია და მოგზავნა მოციქული მეფისა წინაშე, და მიუწერა წიგნი და ჰორქუა, ვითარმედ: „შენ ტყეთა მეფე ხარ და ვერა ოდეს გამოხვალ ველთა; ხოლო მე ესე-რა შარვანშა შევიპყარ ქელთა და ხარაჯასა ვითხოვ: შენ თუ გენებოს, ძღუენი ჯეროვანი გამოგზავნე, და თუ გინდა სამალავთათ გამოვედ და მნახე". ხოლო ესმა რა ესე მეფესა, მსწრაფლ ჰმა უყო ყოველთა სპათა მისთა, და ბრძანებასავე მისსა თანა მოვიდეს წინაშე მისსა ყოველნი სამეფოსა მისისანი"[1].

არაბი ისტორიკოსი იბნ ალ-ასირი[2] სულტან მაჰმუდის შარვანში გამოლაშქრებას საკმაოდ დაწვრილებით აგვიწერს. მოგვაქვს იბნ ალ-ასირის „თარიხ ალ-ქამილის" სათანადო ადგილები: დიდგორის ომში დამარცხებისა და საქართველოს მეფის მიერ თბილისის აღების შემდეგ საქართველოდან განდევნილმა თურქებმა თავიანთ უზენაეს მბრძანებელს სულტან მუღის ად-დინ მაჰმუდ ბენ მუჰამედს მიაშურეს.

„516 წელს გაქცეულებმა მიაღწიეს ბაღდადს. ითხოვდნენ დახმარებას და დაცვას. გაიგეს რა რომ სულტანი მაჰმუდი ჰამადანში იმყოფებოდა, ისინი მასთან გაემართნენ დახმარების სათხოვნელად და იგიც (სულტანი) გაემართა აზერბაიჯანში და გაჩერდა თავრიზში რამადანის თვეში (ე. ი. 1122 წ. ნოემბერში), საიდანაც ქართველების წინააღმდეგ მან გაგზავნა ჯარი. რის შესახებაც ქვემოთ იქნება ლაპარაკი". შემდეგ ცალკე თავში გადმოცემულია ამ ლაშქრობის ამბავიც, მაგრამ აქ უკვე შარვანში ლაშქრობის მიზეზად დარუბანდ-შარვანის მაჰმადიანი მცხოვრებლების ქართველთა მიერ შევიწროება არის დასახელებული: „ამ წელს (ჰიჯრით 517 წელს—1123 წ.) ერთობ გაძლიერდა ქართველთა ბოროტმოქმედება ისლამის ქვეყანაში და ხალხი, განსაკუთრებით დერბენდ-შირვანის მოსახლეობა, დიდ გაჭირვებაში ჩავარდა, (ამიტომ) მათი საზოგადოების ბევრი დიდებული (წარმომადგენელი) სულტანთან წავიდა და შესჩივლეს (თავიანთი გაჭირვება), რასაც განიცდიდნენ მათგან (ქართველებისაგან) და (თან) აცნობეს, რომ სუსტნი არიან და მათ თავიანთი ქვეყნის დაცვა არ შეუძლიათ. სულტანი გაემგზავრა მათკენ (ქართველებისაკენ)"[3].

როგორც ვხედავთ, იბნ ალ-ასირი სულტნის შარვანში გამოლაშქრებას ორ შემთხვევაში ორი სხვადასხვა მიზეზით ხსნის (ერთია — საქართველოში თურქთა დამარცხება და მეორე — შარვან-დარუბანდის საკითხი). ორივე მიზეზი

---

[1] შარვანშაჰის ტახტზე სათანადო კანდიდატის გამონახვა არ გაძნელებულა. აფრიდუნის ტახტი დაიკავა თავისი ძმის მანუჩეჰრ I შემდეგ (რამდენად კანონიერი იყო ეს, ჩვენ არ ვიცით). გამორიცხული არ არის, რომ მანუჩეჰრს თავისი შვილები ჰყოლოდა და ერთ-ერთ მათგანს აფრიდუნის დაღუპვის შემდეგ საქართველოს ხელშეწყობით ეღირსებინოს თავისი კუთვნილი უფლებები. აქვე უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ დარუბანდის ჩრდილოეთის მფლობელები იყვნენ შარვანშაჰთა დინასტიური კონკურენტებისა.

[2] შ. მესხია, დიდგორის ბრძოლა, თბ., 1965 წ.

[3] შ. მესხია, დასახ. შრომა, გვ. 80.

[1] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 343.

[2] იზზ-ად-დინ ალი იბნ მუჰამედ იბნ ალ-ასირი (1160—1234), ცნობილი არაბი ლიტერატორი და ისტორიკოსი, ავტორი 12 ტომიანი საისტორიო შრომისა „თარიხ ალ-ქამილი". ამ თხზულებიდან ცნობები საქართველოს შესახებ ფრანგულად თარგმნა და გამოაქვეყნა ჯერ კიდევ 1849 წ. მ. დეფრემერიმ (M. Defrémery, Fragments de géorgraphes et d'historiens arabes et persans inedits. „Journal asiatique", Paris, 1848—49, t. XIII—XIV); გვიანდელ საუკუნის ბოლოს ჟურნ. „მოამბეში" გამოქვეყნდა მ. დეფრემერის მიერ შეკრებილი ცნობების ქართული თარგმანიც, შესრულებული ივ. მაჭავარიანის მიერ (1898 წ. 1. 2). 1940 წ. ბაქოში დაიბეჭდა აზერბაიჯანის შესახებ იბნ-ალ-ასირის ცნობების რუსული თარგმანი: „Материалы по истории Азербайджана из Тарих-ал-камиль Ибн-ал-Асира" (пер. П. Жузе). საქართველოს შესახებ იბნ ალ-ასირის ცნობები ქართულ თარგმანში აქვეყნებს ნ. სიხარულიძე. ქვემოთ მოტანილი ნაწყვეტების თარგმანები მის მიერაა შესრულებული.

[3] „في هذه السنة اشتدت نكاية الكرج في بلد الاسلام و عظم الأمر على الناس لاسيا أهل دربند شروان فسار منهم جماعة كثيرة من اعيانهم السلطان و شكوا اليه ما يلقون منهم و اعلموه بما هم عليه من الضيق و العجز عن حفظ بلادهم فسار اليهم"

تاريخ الكامل للعلامات أبي الحسن علي بن أبي الكرم محمد بن محمد بن عبد الكريم ابن عبد الواحد الشيباني المعروف با بن الاثير الجزري، الطبعة الاولى با لمطبعة الازهرية المصرية سنة ١٣٥١ — حز، جلد ١٥ ص — ٢٦٢

ავტორი სწორად მიუთითებს: სულტნის ეს ლაშქრობა გამოიწვია როგორც საქართველოში თურქთა დამარცხებამ, ისე შარვანის საკითხმაც.

მეორე არაბი ისტორიკოსი იმად-ად-დინ ისფაჰანი, რომლის თხზულებამაც ჩვენამდე ალ-ბონდარის მიერ შემოკლებული ვერსიის სახით მოაღწია, შემდეგნაირად გადმოგვცემს სულტან მაჰმუდის შარვანში გამოლაშქრების მიზეზს: აქამდეო, აღნიშნულია ამ ავტორთან, სულტნის ხაზინაში შირვანის ოლქიდან ყოველწლიურად შემოდიოდა 40 000 დინარი, მაგრამ შარვანშაჰის უკანონო მოქმედების გამო სულტანმა გადასახადების მიღების უფლება დაკარგა[1].

როგორც ვხედავთ, დიდგორის ბრძოლაში განცდილი მარცხის სამაგიეროდ სელჩუკიანმა სულტანმა საქართველოზე ახალი დარტყმა მოამზადა. ამას სთხოვენ მას საქართველოდან გამოძევებული თურქები. დარტყმის ობიექტად მან შარვანი აირჩია.

მისი ასეთი მოქმედება მიგვითითებს, რომ სწორია დებულება ამ პერიოდის შარვანის საქართველოს ქვეშევრდომად ყოფნის შესახებ. შარვანიდან და დარუბანდიდან სულტნის კარზე ჩამოსული მაჰმადიანი მცხოვრებლების წარმომადგენლები სულტანს აცნობებენ, რომ საქართველოსაგან ისინი მძიმე მდგომარეობაში არიან ჩავარდნილი, რომ ამ უკანასკნელ წლებში გაძლიერდა მათზე ქართველთა „ბოროტმოქმედება", ე. ი. ქრისტიან ქართველთა მხრივ მათი შევიწროება. ჩვენ ვიცით, რომ 1120 წლის შემდეგ საქართველოს შეტევითი ბრძოლები აღარ უწარმოებია შარვანში. შარვანშაჰიც ქართველთა მეფის ერთგული ჩანს, ამდენად ამ „ბოროტმოქმედებაში" არ შეიძლება ქართველთა ჯარის დამარბეველი მოქმედება იგულისხმებოდეს. შარვანის მაჰმადიანთა თავკაცები, საფიქრებელია, სულტანს თავიანთ ქვეყანაში ქრისტიანი საქართველოს პოლიტიკური გავლენის ზრდას მოახსენებდნენ. როგორც იბნ ალ-ასირი აღნიშნავს, ისინი ეუბნებოდნენ სულტანს თავიანთ სისუსტეზე და იმაზე, რომ მათ აღარ შეეძლოთ თავიანთი ქვეყნის შენარჩუნება. სულტანი ალბათ განსაკუთრებით აღაშფოთა იმ „უკანონო" აქტმა, რომ აქამდე მისთვის სასარგებლო ხარკი ახლა საქართველოს მიჰქონდა (ამაზე მიგვითითებს საქართველოს მეფისადმი გამოგზავნილი წერილის ის ადგილიც, სადაც სულტანი საქართველოს მეფეს აცნობებს შარვანშაჰის შეპყრობას და ნიშნის მოგებით ეუბნება, რომ ხარკს ამის შემდეგ თვითონ აიღებს)[2].

სულტანი თავისი ჯარით უშუალოდ საქართველოში კი არ შემოიჭრა, არამედ შარვანში მოვიდა და აქ დაიწყო მოქმედება. ამ ამბების შესახებ დავითის ისტორიკოსსა და იბნ ალ-ასირთან დაცული ცნობები დაწვრილებით აქვს განხილული და ერთმანეთთან შედარებული აკად. ი. ჯავახიშვილს. განსვენებული მეცნიერი აღნიშნავს და ხსნის ზოგიერთ იმ შეუსაბამობას, რომელიც არაბულ წყაროშია დაშვებული და სამართლიანად [illegible], რომ დავითის ისტორიკოსს (1123 წლის) ქართველთა მიერ მოწყობილი რამდენიმე ლაშქრობა დაწვრილებით აქვს მოთხრობილი, ხოლო „არაბ მემატიანეს თავის მოთხრობაში ორ-სამ ლაშქრობის ამბავი აქვს შეერთებული და გადახლართული"[3]. ამ ბრძო-

[1] Р. Гусейнов, Сирийские источники XII—XIII вв. об Азербайджане, Баку, 1960, გვ. 107.

[2] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 343.

[3] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 206.

ლების ფაქტთა გადმოცემისას ქართული წყარო უფრო ზუსტია, ვიდრე არაბული.

მეორე არაბულ წყაროში იმად ად-დინ ისფაჰანის „თარიხ დავლათ ალ-სელჯუკ"-ში (ალ-ბონდარის შემოკლებით) მოთხრობილია შარვანში სულტან მაჰმუდის შემოჭრა და ის დიდი წინააღმდეგობა, რაც მას ადგილობრივმა მოსახლეობამ გაუწია. მან დაიკავა ქალაქი შამახია და შარვანშაჰი თავისთან დაიბარა, ვითომცდა მოსალაპარაკებლად. როდესაც შარვანშაჰი მასთან გამოცხადდა, მან იგი შეიპყრო. შამახიის მცხოვრებლებმა თხოვნით მიმართეს მას, რომ შარვანშაჰი გაეთავისუფლებინა, მაგრამ სულტანმა მათი თხოვნა არ დააკმაყოფილა[1].

ქართველი მემატიანის მიხედვითაც ვიცით, რომ დავითმა გამოილაშქრა შარვანში მას შემდეგ, რაც სულტანმა აიღო ქ. შამახია და შარვანშაჰიც დაატყვევა.

შარვანში შემოჭრილი სულტნის წინააღმდეგ წამოსული საქართველოს მეფის ჯარში იყვნენ როგორც ქართველები („ბრძანებისაებრ მისისა თანა მოვიდეს წინაშე მისსა ყოველნი (სპანი) სამეფოსა მისისანი"), ისე ყივჩაყებიც („და ყივჩაყნი ოდენ ალთუალულ იყვნეს მაშინ და იყო შემზმელი კაცი ორმოცდაათი ათასი"). იბნ-ალ-ასირი კი გადმოგვცემს, რომ სულტანი მაშინ გამოემართა ქართველთა წინააღმდეგ, როდესაც ქართველები ქალაქ შამახიამდე მოვიდნენ. ეს ეწინააღმდეგება როგორც ქართველი მემატიანის, ისე ალ-ბონდარის თხრობას. იბნ ალ-ასირი ამ შემთხვევაში აშკარად არ არის სწორი. ქართველი მემატიანე უფრო ზუსტად გადმოგვცემს მოვლენების თანმიმდევრობას[2].

ქართული წყაროს თხრობიდან ჩანს, რომ ქართველებსა და თურქებს შორის პირველი შეხვედრა მოხდა მაისის თვეში. იბნ ალ-ასირის კი [illegible] მიუთითებს [illegible] არ მოეპოვება. ქართველიცა და არაბი მემატიანეც ერთნაირად აღნიშნავენ, რომ ქართველთა ლაშქრის სიძლიერეს თურქთა ჯარისათვის თავზარი დაუცია. „ეუწყა რა სულტანსა ზედა-მისლვა და ძალი და სიმრავლე სპათა მისთა, და განკვირდა [illegible] ველთათ, სადა დგა, და მსწრაფლ შევიდა ქალაქად და გარემოიზღუდა [illegible] სხრტითა და ხანდაკებითა, და [illegible] ზღუდეთა ქალაქისა შამახიისა"[3].

იბნ ალ-ასირის მიხედვით, როდესაც ქართველები შამახიას მიუახლოვდნენ, სულტანი გაჩერებული იყო რომელიღაც ბაღში შამახიის მახლობლად. ქართველების მოახლოებამ სულტნის ჯარი ძლიერ შეაშინა და მისმა ვეზირმა შამს ად-დინ ოსმანმა სულტანს ურჩია უკან დაბრუნება. ეს რომ შარვანის მცხოვრებლებმა გაიგეს, მაშინვე სულტანს მიაშურეს და მოახსენეს: ჩვენ ვიბრძოლებთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შენც ჩვენთან ერთად იქნები, [illegible], თუ ჩვენ[illegible]

[1] И. П. Петрушевский, Совместная борьба народов Закавказья против иноземных захватчиков в XI—XII вв., Известия Азерб. ФАН СССР, № 10, 1942, გვ. 30.

[2] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 206. შდრ. Histoire des Seldjoucides de l'Irâq, par al-Bondârî, texte arabe publiée par M. Th. Houtsma, Leide, 1889, გვ. 140–141; ი. პეტრუშევსკის [illegible]

ი. პეტრუშევსკი [illegible]

[3] ქართლის ცხოვრება, I, გვ. [illegible]

წახვალ, მუსულმანები სულიერად გატყდებიან და დაიღუპებიან. სულტანმა შეასრულა მათი თხოვნა და ადგილზე დარჩა[1].

როგორც თვით არაბული წყაროს მონაცემებით ვხედავთ, შარვანის მოსახლეობაში შეიმჩნევა ორი ერთმანეთის საპირისპირო ტენდენცია: ერთნი ებრძვიან სულტანს, არ ემორჩილებიან მას და მათ მიმართ სულტანი რეპრესიულ ზომებს მიმართავს (ამათთან ჩანს შარვანშაჰიც), მეორენი, პირიქით, ჩივიან თავიანთ შევიწროებას ქრისტიან ქართველთაგან და მოუწოდებენ სულტანს, როგორც მუსულმანთა დამცველს, შარვანში გამოსალაშქრებლად, როდესაც ქართველთა ძალით შეშინებული სულტანი უკან აპირებს დაბრუნებას, ამ წრის წარმომადგენლები კვლავ ეახლებიან მას და სთხოვენ შარვანში დარჩენას ქართველებთან საბრძოლველად, რათა არ დაიღუპოს მუსულმანური სარწმუნოება შარვანში.

ასეთი საწინააღმდეგო ტენდენციები სათანადოდ იყო გათვალისწინებული ქართველი პოლიტიკოსების მიერ. ცნობილია, რომ ქართულმა სამეფო კარმა გარკვეული დამოკიდებულება გამოიმუშავა კავკასიის არაქრისტიან ხალხებთან ურთიერთობაში. ქართველი პოლიტიკოსები რეალურად აფასებდნენ ამიერკავკასიის ვითარებას, სადაც მუსულმანობას ძველთაგანვე მნიშვნელოვანი პოზიციები ეკავა. თვით საქართველოში მუსულმანობა არ იყო შეზღუდული, პირიქით, მაჰმადიან მოსახლეობას გარკვეული უპირატესობანიც ჰქონდა მინიჭებული და, როგორც თვით არაბი ავტორები აღნიშნავდნენ, მუსულმანებს საქართველოში უარესად არ ეცხოვრებოდათ, ვიდრე მუსულმანურ ქვეყნებში. ეს საკმაოდ ცნობილი ფაქტია და სათანადო მაგალითებსა და მსჯელობაზე აქ არ შევჩერდებით[2]. ქართველი პოლიტიკოსები შარვანში მუსულმანობას კი არ ებრძოდნენ, არამედ თურქ-დამპყრობლებს ერეკებოდნენ და ცდილობდნენ ეს ქვეყანა შეენარჩუნებინათ. ქართველთა და სხვა კავკასიელ ხალხთა ძალების გაერთიანება აუცილებელი იყო თურქთა მოსალოდნელი საფრთხის თავიდან ასაცილებლად. შარვანის მოსახლეობის გარკვეული წრეებიც ასე უყურებდნენ შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციას და ბრძოლებში საქართველოს მხარეზე იდგნენ. მაგრამ იყვნენ ამის მოწინააღმდეგენიც — ძირითადად ფანატიკურად განწყობილი მუსულმანები. მაგრამ მათ პირველებთან შედარებით სუსტი პოზიციები ეკავათ და „ღონედ უძლურებისა თვისისა" თურქთა სულტანს მოუხმობდნენ.

ბრძოლა ქართველთა ჯარსა და სულტანს შორის შამახიასთან პირველი შეხვედრისას არ მომხდარა. ამის მიზეზად ქართველი მემატიანე იმას ასახელებს, რომ „ცნა რა ესე (სულტნის ჯარების „ველით აყრა" და ქალაქსა და ციხე-სიმაგრეებში გამაგრება) მეფემან, აღარა ჯერ უჩნდა ზედა მისლვა მლტოლვარისა.

---

¹ „الكرج قد وصلوا الى شماخى فنزل السلطان فى بستان هناك و تقدم الكرج اليه فخافهم العسكر خوفا شديدا و اشار الوزير شمس الملك عثمان بن نظام الملك على السلطان بالعود من هناك فلما سمع اهل شروان بذلك قصدوا السلطان و قالوا له نحن نقاتل مهما انت عندنا و ان تاخرت عنا ضعفت نفوس المسلمين و هلكوا فقبل قولهم واقام بمكانه".
იბნ-ალ-ასირი, თარიხ ალ-ქამილი, ზემოაღნიშნული გამოცემა, გვ. 262.

² იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 211, 217, 218; მისივე, საქართველოს ისტორია (XI—XV სს.), თბ., 1949, გვ. 87—89; საქართველოს ისტორია (სახელმძღვანელო), თბ., 1958, გვ. 166; შ. მესხია, დიდგორის ბრძოლა, გვ. 90—[illegible], და სხვ.

არამედ დავარდა მიწასა ზედა და მადლობა შეწირა ღმრთისა სახიერისა და კაცთ-მოყუარისა, და ადგილობანსა დადგა". და არაფერი აქვს აღნიშნული იმ წინააღმდეგობის შესახებ, რომელსაც მის ბანაკში ჰქონდა ადგილი. სამაგიეროდ ამაზე ლაპარაკობს იბნ ალ-ასირი: თურქთა მხედრობას მთელი ღამე დიდ შიშში გაუტარებია, ისინი მომავალ ბრძოლაზე ფიქრობდნენ, მაგრამ ღმერთმა მოულოდნელად მათ შვება მოუვლინა: ქართველებსა და ყივჩაყებს შორის მტრობა ჩამოვარდნილა და ერთმანეთს დაერივნენო. შემდეგ კი წავიდნენ ვითარცა ლტოლვილნი. და ამ ამბავს ისტორიკოსი სულტნის გამარჯვებად თვლის.

იბნ ალ-ასირის მოთხრობა, რომ ქართველთა ჯარში ყივჩაყებსა და ქართველებს შორის უთანხმოება ჩამოვარდნილა, მართალი უნდა იყოს. ალბათ ამით აიხსნება, რომ საკმაოდ დიდი ძალის მქონე ქართველებმა ომს თავი აარიდეს. აკად. ივ. ჯავახიშვილი შენიშნავს: „ცხადია მხოლოდ, რომ ქართველთ-ყივჩაყთა უთანხმოება იმდენად დიდი არ ყოფილა, რომ შეშინებული სულტანი და მისი ლაშქარი გაემხნევებინა და გამბედაობა ჩაენერგა"[1]. თურქებმა სიამოვნებით თქვეს უარი შებრძოლებაზე და ქართველებთან მოლაპარაკების გამართვა ამჯობინეს: „მაშინ სულტანმან მრავალთა მიერ ვედრებითა და ძღუენითა და მუდარითა შეთუღლილებათა, ვითარცა მონამან ჰირვეულმან, არა ძღუენი ანუ ომნი ითხოვნა, არამედ გზა სამლტოლვარო, ფრიად რამე სიმდაბლით და არა სულტანურად, შეიწრებულმან შიმშილითა და წყურვილითა მრავალ დღე". ქართველი ისტორიკოსი ამ მოლაპარაკებას გვიხატავს როგორც სულტანის ვედრებას მშვიდობის ჩამოგდების შესახებ და არაფერს ამბობს ქართველთა მეფის გაჭირვებაზე საშინაო უთანხმოების გამო. როგორც ჩანს, ამ განხეთქილებით თურქთა სულტანს ვერ უსარგებლია. პირიქით, იგი იძულებული გამხდარა გასცლოდა შამახიას, რადგან „მასვე ღამესა სულტანსა წინაშე მიმავალი ათაბაგი რანისა აღსუნღული, ძალითა მრავლითა, მოსრეს მონათა მეფისათა ვითარ ოთხი ათასი კაცი, და იგი ოდენ მარტო მეოტი ძლით მივიდა სულტანსა წინაშე. იხილა რა ესე სულტანმან, მასვე ღამესა გაიპარა, და სასდუნით მეოტი სხჳთ გზით წარვიდა სოფლად თჳსად"[2].

იბნ ალ-ასირი ცდილობს საქმე ისე დაგვიხატოს, რომ სულტანი გამარჯვებულად წარმოგვიდგინოს, მაგრამ იძულებულია აღიაროს, როგორც ღვთის წყალობა, ყურანიდან სათანადო ადგილის მოტანით, რომ „ღმერთმა თვითონ იხსნა მორწმუნენი ამ ბრძოლისაგან" (ყურანი, XXXIII, 25). ამრიგად, ორივე მხარის ძირითად ძალებს შორის შებრძოლებას ამჯერად ადგილი არა ჰქონია. დავით მეფემ, მიუხედავად იმისა, რომ დაამარცხა სულტნის დასახმარებლად მომავალი განძის ათაბაგი, მაინც საჭიროდ ჩათვალა შარვანის მთავარ ქალაქს, შამახიას გასცლოდა. შამახიას გაეცალა თურქთა სულტანიც თავისი ძირითადი სამხედრო ძალით, მაგრამ, როგორც ჩანს, შამახია მისი მიმდგომი ციხე გულისტანით და შარვანის სხვა მნიშვნელოვანი ციხეები თურქებისა და მის მომხრეთა ხელში დარჩენილა. ალბათ, ამის გამოა, რომ არაბი ისტორიკოსები — იბნ ალ-ასირი, იმად ად-დინი და მათზე დამყარებული სხვა ისტორიკოსებიც — ერთხმად სულტნის

---

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 20[illegible].

² ქართლის ცხოვრება, I, გვ. 344.

წარმატებას ამტკიცებენ[1]. მაგრამ შემდეგისათვის მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. საქართველოში დაბრუნებულმა მეფემ სათანადო სამზადისი ჩაატარა და ახალი ძალით შარვანში შეტევითი ბრძოლები განაახლა. ამ უკანასკნელი ამბების შესახებ იბნ ალ-ასირი არაფერს აღარ ლაპარაკობს. იგი მხოლოდ აღნიშნავს, რომ სულტანმა შარვანში დაჰყო მრავალი დღე და იქიდან დაბრუნდა ჰამადანში მეორე ჯუმადას თვეში (ე. ი. ივლისში). ქართველთა ამ მეორე შემოტევის წინააღმდეგ ბრძოლისას სულტანს რაიმე წარმატება რომ ჰქონოდა, არაბი ისტორიკოსი აღუნიშნავს არ დატოვებდა; ვ. მინორსკი შენიშნავს, რომ საბოლოო შედეგში სულტნის ამ საომარი კამპანიის წარუმატებლად დამთავრებას და შარვანში წარმოებული პოლიტიკის კრახს ადასტურებს იბნ ალ-ასირისა და იმად ად-დინის ერთობლივი მოწმობა, რომ შარვანიდან დაბრუნებულმა სულტანმა ზაილაქანში სიკვდილით დასაჯა თავისი ვაზირი[2]. არაბი ავტორები ვერ ხსნიან, თუ რით იყო გამოწვეული სულტნის შარვანიდან ასე სასწრაფოდ წასვლა, რომელიც ძალიან ჰგავდა გაქცევას[3]. 1123 წ. სულტნის შარვანში დამარცხებაზე და იქიდან გაქცევაზე ლაპარაკობენ სომეხი ისტორიკოსები ვარდანი და მათე ურჰაელი[4]. ამრიგად, სრული უფლება გვაქვს ვენდოთ დავითის ისტორიკოსის თხრობას, რომ საქართველოს მეფეს შარვანში ბრძოლების ამ მეორე ეტაპზე უკვე აშკარად დიდი წარმატებები ჰქონდა: „და მეორესა თუესა, ივნისსა, კუალად წარვიდა შარვანს (დავით), აღიღო გულისტანი, სახლი თავადი შარვანისა, სიცხეთა მათ საშინელთა, მოირთო შარვანი და აღავსნა კეთილითა ყოველნი მორჩილნი ბრძანებათა მისთანი“[5].

დავით IV შარვანიდან თურქების განდევნასთან ერთად ქვეყნის დაპყრობასაც შეუდგა. ჩვენთვის უცნობია სულტნის მიერ შეპყრობილი შარვანშაჰის ბედი. არ არის არავითარი საფუძველი ვამტკიცოთ, რომ შარვანში ქართველთა გამარჯვების გამო თურქებმა გაათავისუფლეს ეს შარვანშაჰი[6]. ამის შესახებ არავითარი პირდაპირი ან არაპირდაპირი მითითება წყაროებში არ მოიპოვება. საქართველოს მეფე არც ცდილა შარვანშაჰის განთავისუფლებას ან მის ტახტზე დაბრუნებას. როგორც ჩანს, დავით აღმაშენებლისათვის ნათელი გახდა, რომ

[1] M. Brosset, Additions et éclaircissements à l'histoire de la Géorgie (depuis l'antiquité jusqu'en 1469), St-Pb., 1851, გვ. 238—240.

[2] В. Ф. Минорский, История Ширвана и Дербенда, გვ. 177.

[3] И. П. Петрушевский, დასახ. წერილი, გვ. 30.

[4] M. Brosset, Addit. et éclairc., 230. 243. მათე ურჰაელი [illegible] 572 (1123) წელს ქართველთა მეფე დავითმა [illegible] 60.000 კაცი მოსპო. რამდენიც მრავალი ჯარით მოვიდა განძის ხელთანი, მაგრამ [illegible] ხალხით ხიდი გასტეხა და 60.000 კაცი [illegible] ქვეყანაში. [illegible] მეფემ შეუტია, გაუზავნა ჯარები, ჩაანგრევინა ხიდი და [illegible] ჯარი. [illegible] გადმოიყვანა, [illegible] თვითონ სულთანი სპარსეთში გაიქცა და [illegible] ი. დ ო ლ ი ძ ე, მათე ურჰაელის ცნობები [illegible] შესახებ, კრებული „საქართველო რუსთაველის ხანაში“, საქ. სსრ მეცნ. [illegible] ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, თბ., 196[illegible] გვ. 247.

[5] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 344.

[6] [illegible] ავტორების ზემოთ [illegible] შრომებში.

მხოლოდ ყმადნაფიცობით საქართველოს სამეფო კარი შარვანს ვერ შეინარჩუნებდა. საქართველოს, მართალია, შარვანში ბევრი მომხრე ჰყავდა, მაგრამ მოწინააღმდეგენიც არ იყვნენ მცირერიცხოვანნი. ისინი ყოველ წუთს მზად იყვნენ მოეწვიათ თურქები და ხელი შეეწყოთ შარვანში ამ უკანასკნელთა გაბატონებისათვის. შექმნილი პოლიტიკური ვითარება მოითხოვდა ქვეყნის მტკიცედ დაპყრობას.

საქართველოს მეფე იწყებს შარვანში თანმიმდევრული ღონისძიებების გატარებას: ციხეების დაკავებას, თავის მომხრეთა სათანადოდ დაფასებას, ხოლო მოწინააღმდეგეთა — დათრგუნვას. ივნისის კამპანიის დროს დავითმა „აღიღო გულისტანი[1], სახლი თავადი შარვანისა“. ისტორიკოსის პირდაპირი მითითება, რომ დავითმა „მოირთო შარვანი“, ამოწმებს დავითის მტკიცე განზრახვას, რომ შარვანი საქართველოსათვის შემოეერთებინა. მაგრამ ამჯერად მეფე იძულებული ხდება ყურადღება სხვა მიმართულებით წარმართოს, თუმცა შარვანი მის ერთერთ მთავარ საზრუნავს მაინც წარმოადგენს[2].

1124 წ. დავითი აგრძელებს შეტევას აღმოსავლეთის მიმართულებით არა მხოლოდ შარვანში, არამედ დარუბანდის სამთავროშიც: „და აპრილსა დაესხნეს შაბურანს, დარუბანდელსა, და მოსწყჳდნეს ქურდნი, ლეკნი და ყივჩაყნი დარუბანდელისანი“. იგი განაგრძობს აგრეთვე შარვანის ციხეების დაკავებას „და აღიხუნეს შარვანისა ციხენი ლასანნი და ხაზანნნდი და მიმდგომი მათი ქვეყანა“[3].

ამის შემდეგ საქართველოს მეფე ლაშქრობს სომხეთზე, თრიალეთზე, ბასიანზე, ყველგან ამარცხებს თურქებს და კავკასიის საზღვრებიდან მიერეკება. აგვისტოს თვეში მას გალაშქრება მოუხდა სომხეთში, რის შემდეგაც აიღო ქალაქი ანისი, „და მცირედთა დღეთა მოუსუენა სპათა თჳსთა. და მერმე წარემართა შარვანს, და აღიღო ქალაქი შამახია და ციხე ბირიტი, სრულად ყოველი შარვანი, და დაუტევნა ციხეთა და ქალაქთა შინა ლაშქარნი დიდნი, ჰერნი და კახნი“[4].

სრული საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ სწორედ ამ დროიდან ატარებენ ქართველი მეფეები „შარვანშაჰის“ ტიტულს. შარვანის დაკავების შემდეგ დავითსა და მის მემკვიდრეებს სრული უფლება ჰქონდათ ეტარებინათ ეს ტიტული.

ამრიგად, შარვანისათვის ბრძოლა თურქების სულტანსა და საქართველოს მეფეს შორის დავით აღმაშენებლის საბოლოო გამარჯვებით დამთავრდა. ქვეყანა მთლიანად („სრულად ყოველი შარვანი“) საქართველოს ჯარებმა დაიკავა-

[1] გულისტანი მდებარეობდა შამახიის [illegible] აღმოსავლეთით [illegible] ერთ [illegible] მიემართებოდა ხეობა „მაქა- ალ-იზზ“ (განდიდების ადგილი). ეს [illegible] დედაქალაქის მთავარი დამცველი ციხე და [illegible] ერთერთი [illegible]. იხ. В. Ф. Минорский, История Ширвана и Дербенда, გვ. 107.

[2] თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა დავითი შარვანზე ლაშქრობას, [illegible] ანდერძი შიო-მღვიმის მონასტრისადმი (იხ. თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ისტორიული საბუთები შიო-მღვიმის მონასტრისა, თბ., 1896, გვ. 15; [illegible] Завещание грузинского царя Давида Возобновителя, Т., 1895).

[3] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 344.

[4] იქვე, გვ. 345.

დავითი შეუდგა შარვანის ადმინისტრაციულ მოწყობას: „განმგებელად და ზედამხედველად ყოველთა საქმეთა მანდაურთა აჩინა მწიგნობართ-უხუცესი თჳსი სჳმონ, ჭყონდიდელი მთავარეპისკოპოსი, მაშინ ბედიელ-ალავერდელი, მიმსგავსებული გიორგი დედის ძმისა თჳსისა, კაცი ყოვლითურთ სრული და ბრძენი. და განაგო მეფემან ყოველი საქმე შარვანისა, ალავსნა კეთილითა და საბოძვარითა ქურდნი, ლეკნი და თარასნი"[1].

შემდეგი წლისთვის დავით IV თურქების წინააღმდეგ უფრო დიდი ოპერაციების წარმოებას აპირებდა: „და ეგულებოდა გაზაფხულ ქმნა დიდთა საქმეთა და უფროსთა ლაშქრობათა, ვინათგან არავინ წინააღუდგა მას. რამეთუ თჳთ სულტანი მუნ, სადა იყო, ძრწოდა შიშისაგან მისისა, და არცა და თჳთ ძუელად ქონებულთა ქალაქთა და ქუეყანათა ჰგონებდა თჳსად ქონებად, არამედ რაოდენცა შორს იყო, ეგრეცა ეოცებოდა მძინარესა შიში და მღჳძარესა სიკუდილი"[2]. მაგრამ დავითს არ დასცალდა ამ „დიდ საქმეთა" განხორციელება. იგი 1125 წ. 24 იანვარს გარდაიცვალა.

* * *

დავით IV უშუალო მემკვიდრის დემეტრე I მეფობის დროს შარვანში შექმნილი პოლიტიკური ვითარებისა და საქართველო-შარვანის ურთიერთობის განვითარების შესახებ ცნობები მეტად მცირეა. ამ დროის შესახებ არ გვაქვს ისეთი მდიდარი ფაქტიური მასალის შემცველი საისტორიო თხზულება, როგორიცაა „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი", ამიტომ დემეტრე I დროინდელი საქართველოს პოლიტიკური ისტორიის აღდგენა ხერხდება მხოლოდ ზოგადი სახით და ძირითადად არაქართული წყაროების დახმარებით[3].

როგორც ზემოთ იყო მითითებული, დემეტრე ჯერ კიდევ უფლისწულობის პერიოდში უშუალოდ მონაწილეობდა შარვანის ამბებში. მისი სარდლობით მოეწყო 1117 წ. ლაშქრობა შარვანში, რომლის დროსაც „მან ქმნა ომნი საკვირველნი, რომლითა განაკვირვნა მხილველნი და მსმენელნი". ამ ლაშქრობის დროს საქართველოს ჯარმა მისი ხელმძღვანელობით დაიკავა ქ. ქალაძორი და სხვა. ამ ფაქტს აღნიშნავს როგორც დავითის ისტორიკოსი, ისე ლაშა-გიორგის დროინდელი ანონიმი ისტორიკოსი, რომელმაც დაგვიტოვა დემეტრეს მეფობის მეტად მოკლე და ზოგადი აღწერილობა[4]. ანონიმი ავტორი დემეტრეს შესახებ აღნიშნავს, რომ მან „დაიპყრა სამეფო ტახტი და საჯდომი მკლავითა ლომებრივითა მისათხრობელად ბრძენთა ქების-მოყუარეთათვის"[5]. თამარის პირველი ისტორიკოსი „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის" ავტორი დემეტრე I ახასიათებს როგორც „ქელმწიფესა დიდსა და სახელგანთქმულსა, ჭაბუკსა გორგასლიანსა"[6].

[1] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 345; დავითის მიერ შარვანის დაპყრობას ამოწმებენ სომეხი ისტორიკოსებიც — მათე ურჰაელი, ვარდანი და სხვ. იხ. **M. Brosset, Addit. et eclairc.,** გვ. 230, 232.

[2] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 346.

[3] ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 221—228.

[4] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 365—367.

[5] იქვე, გვ. 365.

[6] იქვე, II, გვ. 43.

მას გულად და სახელოვან მხედართმთავრად გვიხატავენ აგრეთვე სომეხი ისტორიკოსებიც.

საქართველო დემეტრეს დროს ისევ ძლიერია პოლიტიკურად და გარეგული წარმატებებიც გააჩნია მეზობელ მაჰმადიან მფლობელებთან ურთიერთობაში. მაგალითად, ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე აღნიშნავს, რომ დემეტრე მეფემ „გააქცივნა სულტანთნი . . . . თავი ყოვლისა სპარსეთისა, და რომ დახოცნა და ამოსწყვიდნა, და ალავსნა საჭურჭლენი და ლაშქარნი მისნი". ივ. ჯავახიშვილი ფიქრობს, რომ ეს მოხდა ქორონიკონს 350 (ე. ი. 1130 წ.). აქედ. [illegible] შეიძლება აქ ხლათის მფლობელი შაჰ-არმენი ნასირ-ად-დინ სუქმან II იგულისხმებოდეს, რომელიც მართლაც მმართველობდა 1128—1138 წწ.[1] სამწუხაროდ არც ერთ სხვა წყაროში ამ ფაქტის შესახებ არაფერია ნათქვამი.

რაც შეეხება არან-შარვანის საკითხს, აქაური ამბების შესახებ ყველაზე ვრცელი ცნობებია დემეტრეს მიერ 1139 წ. ქ. განძის აღებისა და აქედან ცნობილი რკინის კარების წაღების შესახებ[2]. უშუალოდ შარვანთან ურთიერთობი-

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 222.

[2] 1139 წ. დიდი მიწისძვრის შედეგად ქ. განძა დაინგრა, ამით ისარგებლა დემეტრე I და განძა დალაშქრა. განძიდან დემეტრემ დიდძალი სიმდიდრე და ქალაქის კარები წამოიღო. 1139 წ. მიწისძვრისაგან ქ. განძის დანგრევას ერთხმად ადასტურებენ არაბი და სომეხი ისტორიკოსები. ამ მიწისძვრისა და ქართველთა მიერ განძის აღების შესახებ [illegible] საქართველოში [illegible] ალ-ფარიკსაც (იგი საქართველოში იმყოფებოდა 1153/4 წ., ხოლო თავისი თხზულება [illegible] 1176 წ.), მაგრამ, როგორც ჩანს, მას სწორად არ ჩაუწერია ქართველთა ამ ლაშქრობის თარიღი და დემეტრეს დროინდელი ამბავი დავით აღმაშენებლისათვის მიუწერია (ან შეიძლება [illegible] ზუსტ ინფორმაციას გვაძლევს, რაც ზეპირი გადმოცემისათვის ჩვეულებრივია). წინააღმდეგ შემთხვევაში [illegible] თხზულებაში ჩვენ უნდა დავუშვათ, რომ განძა ორი წლის მანძილზე მიწისძვრის შედეგად ორჯერ დაინგრა, პირველად — 1122/3 წ., როგორც ამას ალ-ფარიკი უთითებს (იხ. — من تاريخ ميافارقين لابن الازرق الفارقي გ. წერეთელი, არაბული ქრესტომათია, თბ., 1949, გვ. ٧٢;), და მეორედ — 1139 წ. (სხვა წყაროების ერთხმივი ჩვენებით), რომ ორივეჯერ ქართველებმა ისარგებლეს ამ მდგომარეობით და განძა ორჯერ დალაშქრეს. არც არაბულ, არც სომხურ წყაროებში 1122/3 წ. მიწისძვრით განძის დანგრევის ან ამ წელს განძაზე ქართველთა ლაშქრობის შესახებ [illegible] ცნობა არ მოგვეპოვება. დავითის ისტორიკოსიც, რომელიც საკმაოდ ვრცლად და [illegible] ბით აღწერს ამ წლების ამბებს, ამის შესახებ არაფერს ამბობს, ამიტომ ბუნებრივია [illegible], რომ აქ მართლაც იგივე 1139 წ. ამბავია აღწერილი. მხოლოდ [illegible] ალბათ ალ-ფარიკმა დავითის მიერ უფრო ადრე (1109/10 წ.) განძაზე მოწყობილი [illegible] ფაქტი აურია დემეტრეს მიერ განძის აღების ამბავში. [illegible] რიკის მიერ მოთხრობილი დეტალები, რომლებიც ალბათ დემეტრეს მიერ განძის [illegible] შეეხება. ქართველებს განძიდან დიდძალი ტყვეები წამოუყვანიათ, რომელთა [illegible] ტფილისის მცხოვრებლებს გამოსყიდვით და სამშობლოში გამოუშვიათ. „История Азербайджана"-ს I ტ-ში უკრიტიკოდ არის გაზიარებული დავითის მიერ 1122/3 წ. განძის აღების ცნობა, თანაც სათანადო [illegible] შეცდომით არის მოტანილი, რაც ამ [illegible] ბა, მაგიერად, რომ იყოს **„И жители Тбилиси выкупили большинство из них и отпустили на свободу"**—დაბეჭდილია **„и жители Тбилиси выступили"** (?), გვ. 142.

იმად ად-დინ ისფაჰანი ამტკიცებს, რომ განძის [illegible] საქართველოს [illegible] სპასეხო ლაშქრობა [illegible] წაიღო განძის რკინის კარები. მაგრამ როგორც [illegible] ტოლდიც შენიშნავდა, არაბი ისტორიკოსის ეს ცნობა სინამდვილეს არ შეეფერება [illegible] აღნიშნული კარები ამჟამადაც დაცულია გელათის მონასტერში (**В. В. Бартольд, Сочинения, т. I, ч. 1,** გვ. 690). დემეტრეს ბრძანებით რკინის კარზე ამოკვეთილი [illegible] ლი წარწერა, რომელიც მ. ბროსეს მიერ გადმოღებული [illegible] თხება: „...მეფემან დემეტრე... [illegible] (რაზმი?) [illegible] (მოიტანა) [illegible]

შესახებ ცნობები შედარებით მცირეა, მაგრამ მაინც ხერხდება შარვანის პოლიტიკური მდგომარეობის განვითარების ისტორიული სურათის აღდგენა.

დემეტრეს მეფობის დასაწყისისათვის შარვანში ადგილობრივი შარვანშაჰის ხელისუფლება გაუქმებულია და ქვეყანა („სრულიად ყოველი შარვანი“) უშუალოდ საქართველოსთანაა შემოერთებული. მის საქმეებს განაგებს საქართველოს სამეფო კარის პირველი ვაზირი მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი. საგულისხმო ფაქტია, რომ ამ ქვეყნის „განმგებლად და ზედამხედველად“ დაინიშნა არა სამხედრო პირი, ვთქვათ, ერისთავი ან ამირსპასალარი, არამედ სასულიერო პირი, რომელსაც მეფის შემდეგ უმაღლესი სამოქალაქო თანამდებობა ეკავა, იგი იყო „საჯო კარის“ მეთაურიც და სხვა. მაშასადამე, შარვანში საქართველოს სამეფო ხელისუფლების პოლიტიკა გულისხმობდა არა შიშველი სამხედრო ოკუპაციის რეჟიმს, არამედ ქვეყანაში სამოქალაქო-ადმინისტრაციული ღონისძიებების გატარებას. რამდენიმე ხნის შემდეგ ვხედავთ, რომ შარვანის აღმოსავლეთ ნაწილში აღდგენილია შარვანშაჰთა ხელისუფლება, ხოლო დასავლეთი რაიონები საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებშია დატოვებული.

აკად. ნ. ბერძენიშვილი შემდეგნაირად ახასიათებს ამ პერიოდის შარვანში პოლიტიკური მოვლენების განვითარებას: „XII საუკუნეში, დავითის მემკვიდრეების დროს ამიერკავკასიის ამ ნაწილში (იგულისხმება შარვანი, ნ. ა.) შემდეგი ვითარება დამყარდა. შარვანის ქვეყანა ორად გაყვეს. აღმოსავლეთ ნაწილში შარვანშაჰის უფლება აღადგინეს და ეს ქვეყანა ამიერიდან, ისევე როგორც დარუბანდის ქვეყანა, საქართველოს მეფის მიმართ ყმადნაფიცის მდგომარეობაში იმყოფებოდა. შარვანის დასავლეთი ნაწილი კი საარიშიანოს შემოუერთეს, ე. ი. საკუთრივ საქართველოს საზღვრებში შემოიტანეს. ასე რომ, ამიერიდან საკუთ-

---

ბისა [illegible] იგი: ხოლო დასავლეთითგან (ხლ) მ (ბ)“ (თ. ჟორდანია, ქრონიკები, ტ. I, გვ. 248). კარზე მოთავსებული არაბული წარწერა:

„بسم الله الرحمن الرحيم امربا تخاذ هذا الباب مولانا الامير الاجل شاور بن الفضل ادام الله سلطانه على (؟) يدى القاضى ابى الفرج محمد بن عبد الله ادام الله توفيقه عمل ابرهيم بن عثمان بن عنكويه الحداد سنة خمسة و خمسين و اربعمائة“

სახელითა ღვთისათა [illegible] მოწყალისა და შემწყალებლისა! ამ კარების დამზადება ბრძანა ჩვენმა ბატონმა, ამირამ, სახელოვანმა სიდ შავირ ჰაზლას-ძემ — ღმერთმა ახანგრძლივოს მისი ძლიერება! — კადი აბულ-ფარაჯ მუჰამედის, აბდ-ალაჰის ძის ხელმძღვანელობით. ღმერთმა ახანგრძლივოს მისი წარმატებები. ნამუშევარი იბრაჰიმისა, ძისა ოსმანისა, ძისა მჭედლის [illegible]ისა, წელსა 455-სა (1063 წ.). იხ. А. А. Алексер-заде, Надписи архитектурных памятников Азербайджана эпохи Низами, წიგნში: „Архитектура Азербайджана. Эпоха Низами“, Москва-Баку, 1947, გვ. 369—370). ამ შავურ ფადლონის მიერ 1063 წ. ქ. განჯისათვის [illegible] შემოწირული და მტკიცე კარებების დაყენების შესახებ ლაპარაკია „თარიხ ალბაბ ვა შირვან“-ში (იხ. Труды инст. ист. АН Аз. ССР, XII, გვ. 218), რაც ერთხელ კიდევ ადასტურებს ამ წყაროს ღირსებას და ცნობების დიდ სიზუსტეს.

„განჯის კარების“ შესახებ საკმაოდ ვრცელი ლიტერატურა არსებობს. იხ. მაგ. Френ Х. М.—Железные (ганджинские) ворота, Изв. Азерб. археологич. ком. в. II, Баку, 1926; М. Броссе, „Археология“. газ. „Кавказ“, 1847, № 16; ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II; თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, გვ. 248—249; M. Defrémery, Fragments de géographes et d'historiens arabes et persans inédits. Journal asiatique, XIII, 1849, გვ. 470; М. М. Альтман, Исторический очерк города Ганджи, в. I, Баку, 1949 და სხვ.

რივ საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთის საზღვარი ქ. შამახიის ახლოს, მისგან ოდნავ დასავლეთით მდინარე თეთრ წყალზედ (აწინდელი აქსუ) გადიოდა“[1].

საწინააღმდეგო თვალსაზრისია გატარებული აზერბაიჯანელი ისტორიკოსების შრომებში. იქ საერთოდ უგულებელყოფილია შარვანის ტერიტორიის საქართველოს სამეფო კარისადმი უშუალო დაქვემდებარების ფაქტი და ვითარება ისეა წარმოდგენილი, თითქოს შარვანშაჰის ხელისუფლების აღდგენა მოხდა [illegible]ვე 1123 წელს, შარვანიდან თურქთა განდევნისთანავე[2]. ამ არასწორი შეხედულების სათავე იქიდან მომდინარეობს, რომ სულტან მაჰმუდის მიერ დატყვევებულ შარვანშაჰად მიჩნეულია მანუჩეჰრ II აფრიდუნის ძე, რომლის შარვანშაჰად ყოფნასაც აღნიშნული ავტორები იწყებენ 1120 წლიდან. ეს მოსაზრება ემყარება დავითის ისტორიკოსის ჩვენებას აფრიდუნის 1120 წ. დაღუპვის შესახებ. მანუჩეჰრ II იყო აფრიდუნის ვაჟიშვილი, რომელიც ნუმიზმატიკური მონაცემებით შარვანშაჰად ჩანს XII ს. 30—50-იან წლებში, ე. ი. მანუჩეჰრს უშუალოდ შეუცვლია თავისი მამა აფრიდუნი, — ასკვნიან აღნიშნული ავტორები. მაგრამ აქ გათვალისწინებული არ არის ქართული და სპარსულ-არაბული წყაროების სხვა მონაცემები. როგორც აღვნიშნეთ, არც ქართულ და არც არაბულ წყაროებში, სადაც ლაპარაკია სულტნის შარვანში ლაშქრობაზე და შარვანშაჰის შეპყრობაზე, მითითებული არ არის შარვანშაჰის სახელი[3]. ეს შარვანშაჰი რომ მანუჩეჰრ II ყოფილიყო, რომელსაც მეფე დავითის ქალი თამარი ჰყავდა ცოლად, შეუძლებელია ქართველ მემატიანეს არ აღენიშნა, რომ დავითი შარვანში გაემართა თავისი სიძის დასახმარებლად. ქართველი მემატიანის მიერ შარვანშაჰის სახელის ან დავითთან ნათესაობის მოუხსენებლობა გვაფიქრებინებს, რომ ეს არ იყო მანუჩეჰრი.

წყაროებში არ არის მითითებული, თუ რა ბედი ეწია ამ შარვანშაჰს სულტნის მიერ დატყვევების შემდეგ, მაგრამ მიუხედავად ამისა, ზემოთ აღნიშნულ შრომებში ისეა წარმოდგენილი ვითარება, თითქოს ქართველებთან მარცხის შემდეგ სულტანს გაეთავისუფლებინოს იგი და შარვანშაჰსაც თავისი ტახტი დაებრუნებინოს. ქართველი მემატიანე კი გადმოგვცემს, რომ შარვანიდან თურქთა განდევნის შემდეგ ქართველებს აქ შარვანშაჰის ხელისუფლება რამდენიმე ხანს არ აღუდგენიათ და რომ ქართველი პოლიტიკოსები იწყებენ ამ ქვეყნის საქართველოსთან საბოლოო შემოსაერთებლად სათანადო ღონისძიებების გატარებას. ქართული წყაროს ამ მონაცემის სისწორის შესამოწმებლად გარკვეული მნიშვნელობა აქვს შარვანშაჰ მანუჩეჰრ II გამეფების თარიღის დაზუსტებას.

ჯერ კიდევ 1935 წ. მკვლევარმა კ. ჩაიკინმა თავის წერილში „К установ-

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, აღმოსავლეთ [illegible] წარსულიდან, მიმომხილველი, III, 1953 წ., გვ. 73.

[2] Е. Пахомов, Очерк истории ширваншахов-кесранидов, გვ. 32—34; [illegible] აზერბაიჯანი XI—XII სს. (აზერბაიჯანულ ენაზე); [illegible] სახელმწიფოს (1027—1382) ისტორიისათვის (აზერ. ენაზე); История Азербайджана, I [illegible] სხვა.

[3] В. В. Бартольд, Место прикаспийских областей в истории мусульманского мира. Сочинения, т. II, ч. I, გვ. 692.

ლению некоторых дат биографии Хакани“[1] დაადგინა შარვანშაჰ მანუჩეჰრ II გარდაცვალების ახალი თარიღი და სხვ. რატომღაც კ. ჩაიკინის ეს მეტად საყურადღებო დასკვნები აზერბაიჯანელი ისტორიკოსების მიერ უკანასკნელ ხანებამდე სათანადოდ გათვალისწინებული არ არის. ხაყანის ლექსებში თარიღები პირდაპირ არ არის მითითებული, მაგრამ მისი ამა თუ იმ ცნობის დათარიღება მაინც ხერხდება. კ. ჩაიკინმა ყურადღება მიაქცია შემდეგ საინტერესო ფაქტს.

IX საუკუნიდან (შეიძლება უფრო ადრეც) მაჰმადიანური ქვეყნების ასტროლოგები ამტკიცებდნენ, რომ როდესაც მზის სისტემის ციომილები გარკვეული წყობით განლაგდებიან ე. წ. სასწორთა ზოდიაქში, ქვეყნიერებას თავს დაატყდება დიდი სტიქიური უბედურება: გრიგალი და წყალი წალეკავს ყველაფერს. ასტროლოგები წინასწარმეტყველებდნენ, რომ ასეთი რამ უნდა მომხდარიყო ჰიჯრით 582 წელს (ზოგის მტკიცებით 581 წ.). ამ მოსალოდნელი სტიქიური უბედურების შესახებ ცნობები მოეპოვებათ მაჰმადიან ისტორიკოსებს და სხვა ავტორებს. მაგალითად, იბნ ალ-ასირი ჰიჯრით 582 წლის ამბებთან დაკავშირებით მოგვითხრობს, რომ ძველი და ახალი დროის ასტრონომები წინასწარმეტყველებდნენ, რომ ამ წლის ჯუმადა-ულ-აჰირეს თვის 29 რიცხვში ხუთი პლანეტა შეერთდება რა სასწორთა ზოდიაქში, მათი შეერთებით ამოვარდება დიდი ქარი. მაგრამ ეს არ გამართლდა და აღნიშნულ დღეს სულ მცირე ნიავიც კი არა ყოფილა. ანალოგიური ცნობები აქვს ჰამდალაჰ ყაზვინს და სხვა ისტორიკოსებს[2].

ამ მოსალოდნელი სტიქიური კატასტროფის შესახებ წინასწარმეტყველების ახდენას იმ დროის აღმოსავლეთის ქვეყნებში დიდის შეშფოთებითა და შიშით მოელოდნენ. ისტორიკოსებთან ერთად ბევრი პოეტიც ახსენებდა ამ წინასწარმეტყველებას. მაგალითად, ასეთი ცნობა აქვს ნიზამის „ხოსროვ და შირინში“. ხაყანიმაც იცოდა ეს წინასწარმეტყველება და, როგორც ჩანს, მას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. იგი არაერთ თავის ლექსში ახსენებს ამ მოსალოდნელ უბედურებას და ხშირად მიუთითებს ხოლმე, რომ ამ უბედურებამდე დარჩა ამდენი და ამდენი წელიო.

კ. ჩაიკინის აღნიშნულ წერილში დადგენილია. რომ ხაყანი მოსალოდნელ კატასტროფას გულისხმობდა ჰიჯრით 582 წელს. ამავე წელზე მიუთითებდა მაჰმადიან ავტორთა უმრავლესობა. ასტრონომმა პ. დობრონრავინმა გამოიანგარიშა (იხ. მისი წერილი „Одновременное расположение семи светил в знаке весов“), რომ 1186 წლის (ე. ი. ჰიჯრით 582 წ.) სექტემბრის თვეში პლანეტებს მართლაც უნდა მიეღოთ ისეთი განლაგება, რომელიც მაჰმადიან ასტროლოგთა შრომებშია აღნიშნული და რაც მიღებული იყო თითქოს მოსალოდნელი უბედურების ნიშნად[3]. როგორც აღვნიშნეთ, ხაყანისაც იგივე წელი ჰქონდა ნაგულისხმევი.

ამრიგად, ჰიჯრით 582 წ. (ჩვ. წ. 1186 წ.) თუ ავიღებთ ამოსავალ თარიღად, მის მიხედვით შეიძლება დათარიღდეს ხაყანის მიერ დაწერილი მთელი რიგი ლექსები, რომლებშიც აღნიშნული წინასწარმეტყველებაა ნახსენები. კ. ჩაიკინი

[1] იხ. კრებული — „Хакани—Незами—Руставели“. I, М.-Л., 1935.
[2] К. И. Чайкин. К установлению некоторых дат биографии Хакани, გვ. 26.
[3] იხ. კრებული — „Хакани—Незами—Руставели“, გვ. 33—34.

ასახელებს ხუთ ასეთ ლექსს, რომელთა შორის ყველაზე ადრინდელია და ჩვენთვისაც ყველაზე უფრო საინტერესო — ოდა მიძღვნილი მანუჩეჰრისადმი ბაქალანის კაშხალის განახლებასთან დაკავშირებით. კერძოდ, იქ ვკითხულობთ:

بود در احکام خسرو کز پی سی و دو سال
خسف آب و باد خواهد بود در اقلیم ما

„ხოსროვის წინასწარმეტყველებანში“ (აღნიშნული) იყო, რომ 32 წლის შემდეგ
ჩვენთან (ჩვენს იკლიმში, ჩვენს კლიმატურ ზონაში) მოხდება უბედურება წყლისა და ქარისაგან.

„ხოსროვის წინასწარმეტყველებანში“ (احکام خسرو) ნაგულისხმევია რაღაც თხზულება, სადაც მოცემული ყოფილა აღნიშნული ასტროლოგიური წინასწარმეტყველება. ძნელი არ არის მანუჩეჰრისადმი მიძღვნილი ამ ოდის დაწერის თარიღის განსაზღვრა, რადგან იქ მითითებულია, რომ „უბედურება წყლისა და ქარისაგან“ უნდა მოხდეს 32 წლის შემდეგ. ე. ი. ოდა დაწერილი უნდა იყოს ჰიჯრით 550 წ. (582—32), რაც ჩვ. წ. 1155/56 წ. უდრის. მაშასადამე, შარვანშაჰი მანუჩეჰრ II ამ წელს ჯერ კიდევ ცოცხალი ყოფილა.

ხაყანის დივანის უკანასკნელ (1959 წ.) კრიტიკულ გამოცემაში[1], რომლის ტექსტიც 6 ძირითადი ნუსხის მიხედვით არის დაზუსტებული. აღნიშნული ნაწყვეტი განსხვავებულად არის წარმოდგენილი. „سی و دو سال“-ის მაგივრად უპირატესობა მინიჭებული აქვს მეორე ვარიანტს, რომელიც ნუსხების უმრავლესობაშია (6-დან 4-ში) „سی کم دو سال“, რაც ნიშნავს „ოცდაათი ორით ნაკლები წელი“ ანუ 28 წელი. გამოდის, რომ აღნიშნული ოდა დაწერილია 582—28 ანუ ჰიჯრით 554 წ. (ჩვ. წ. 1159 წ.), ე. ი. შარვანშაჰ მანუჩეჰრ II გარდაცვალების თარიღი არ შეიძლება ამ წელზე ადრე გადავიტანოთ. ე. პახომოვის მიერ შემოთავაზებული თარიღი მანუჩეჰრის გარდაცვალებისა (1149/50)[2], რომელსაც უყოყმანოდ იზიარებენ აზერბაიჯანელი ისტორიკოსები უკანასკნელ გამოკვლევებშიც[3], შესწორებას მოითხოვს. მანუჩეჰრ II გარდაცვალების ახალ თარიღს მხარს უჭერს სხვა მონაცემებიც. მაგალითად, კ. ჩაიკინი მიუთითებს, რომ ჰიჯრით 553 წ. (ე. ი. 1158 წ.) დაწერილ თავის პანეგირიკულ ლექსში დერბენდის მმართველისადმი ხაყანი ახსენებს შარვანშაჰს (სახელდების გარეშე) და აღნიშნავს, რომ ეს შარვანშაჰი მეფობს უკვე 30 წელია[4]. ვ. მინორსკის მოტანილი აქვს შემდეგი საყურადღებო ცნობაც:

[1] دیوان افضل الدین بدیل بن علی نجار خاقانی شروانی با مقابله قدیم ترین نسخ تصحیح و مقدمه و تعلیقات بکوشش دکتر ضـ الدین سجادی از انتشارات کتاب فروشی زوار — تهران. ۲۱ [illegible]
[2] Е. Пахомов. Очерк истории ширваншахов..., გვ. 34.
[3] История Азербайджана, I. გვ. 141; მ. შ. [illegible] დასახ. შრომა, გვ. 71; [illegible] დასახ. შრომა, გვ. 22, 25 და სხვ.
[4] К. И. Чайкин, დასახ. შრომა, გვ. 30. შდრ. دیوان خاقانی شروانی აღნიშნული გამოცემა, გვ. 190.

«В одной Мадрасской рукописи проф. Х. Хасан недавно нашел интересную оду, в которой Фалаки выражает соболезнование Минучихру и его грузинской жене Тамаре по поводу смерти брата последней царя Димитрия, по-видимому, в 556 г, х/ 1160»[1].

ყოველივე აღნიშნულის მიხედვით, მანუჩეჰრი შარვანშაჰად ჩანს 1159/1160 წლებშიც. 1161 წელს კი იგი უკვე გარდაცვლილი უნდა იყოს, რადგან ამ წელს თამარი საქართველოშია. როგორც ცნობილია, გიორგი III ანისის აღების (1161 წ.) შემდეგ პირველ რიგში თავის მამიდას — თამარს ეახლა და გამარჯვება მიულოცა[2].

ამრიგად, მანუჩეჰრის გარდაცვალების თარიღად მიღებულ უნდა იქნეს არა 1150, არამედ 1159/1160 წლები.

ამ თარიღის დაზუსტება გვეხმარება მანუჩეჰრის გამეფების თარიღის განსაზღვრაში. თავისი მბრძანებლის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ხაყანმა დაწერა ცნობილი ელეგია, სადაც აღნიშნავს, რომ მანუჩეჰრ II მეფობდა 30 წელიწადს. პოეტი შემდეგი სიტყვებით მიმართავს გარდაცვლილ შარვანშაჰს:

شاها سریر و تاج کیان چون گذاشتی

سی ساله مُلک و مِلک جهان چون گذاشتی[3].

„მეფეო, სამეფო ტახტი და გვირგვინი რისთვის დატოვე,
ოცდაათი წლის მბრძანებლობა ქვეყნიერებაზე რისთვის დატოვე“.

მაშასადამე, მანუჩეჰრ II შარვანშაჰად შექმნილა 1129/30 წლებში და არა 1120 წელს, როგორც ეს დღემდეა მიღებული. ამ თარიღის დადგენა მრავალმხრივ არის მნიშვნელოვანი. ჯერ ერთი, მტკიცდება, რომ 1120 წელს, აფრიდუნის მოკვლის შემდეგ შარვანშაჰთა ტახტზე ასული არა მანუჩეჰრ II, არამედ ერთი ჩვენთვის უცნობი პიროვნება, რომელიც, როგორც [illegible], განსაკუთრებით აფრიდუნისაგან თავს საქართველოს მორჩილად აღიარებდა. 1123 წლიდან, როდესაც სულტანმა მაჰმუდმა ეს შარვანშაჰი შეიპყრო, ვიდრე 1129/30 წლამდე შარვანში ქართველთა უშუალო მფლობელობაა დამყარებული. 1129 თუ 1130 წელს კი გარკვეული პოლიტიკური პირობების გამო დემეტრემ შარვანის [illegible] ნაწილში კვლავ აღადგინა შარვანშაჰობა და ამ ხელისუფლებით [illegible] თავისი სიძე (დის ქმარი), 1120 წელს დაღუპული შარვანშაჰის [illegible] მანუჩეჰრი. ამრიგად, შარვანშაჰობის ხელისუფლების აღდგენა, რომელიც [illegible] მებული ყოფილა 6-7 წლის მანძილზე, მანუჩეჰრის სახელთან არის [illegible] ბული. მისი ამ დამსახურების გამო ალბათ, რომ გვიანდელი [illegible] მანუჩეჰრ II განსაკუთრებული პატივით მოიხსენიებენ. [illegible] შარვანშაჰები ხაზგასმით აღნიშნავენ თავიანთ ჩამომავლობას [illegible] ჩეჰრ II-დან. როგორც ე. პახომოვი შენიშნავს, «После его смерти, около полустолетия, ширваншахи держатся обычая указывать на монетах свое происхождение именно от него. Так поступают: Ахситан I, Ферибурз II, Ферухзад I, Гершасп и Ферибурз III»[1].

ე. პახომოვი ფიქრობს, რომ ასეთი წესი იმის გამო შემუშავდა, რომ მანუჩეჰრი იყო დიდი პოლიტიკური მოღვაწე, მაგრამ აქ უნდა იყოს უფრო [illegible] მული მანუჩეჰრის მიერ შარვანშაჰთა დინასტიისა და ხელისუფლების აღდგენა [illegible] თორემ როგორც პოლიტიკური მოღვაწენი მასზე ნაკლებნი არ იყვნენ არც [illegible] ბურზ I და არც ახსიტან I. როგორც ზემოთ აღვნიშნავდით, გვიანდელი [illegible] ციით მანუჩეჰრ II ითვლება ახალი დინასტიის ფუძემდებლადაც. ეს [illegible] მანუჩეჰრის აღნიშნული დამსახურების შედეგად უნდა იყოს შემუშავებული.

[illegible] საისტორიო წყაროები არ იძლევიან პირდაპირ ცნობებს ამ მიზეზების [illegible] სახებ, რამაც შეაცვლევინა დემეტრე I პოლიტიკა შარვანის მიმართ. [illegible] ვიცით, რა პოლიტიკურ ვითარებაში მოხდა შარვანში, სადაც საქართველოს [illegible] ლო მფლობელობა იყო დამყარებული, შარვანშაჰთა ხელისუფლების აღდგენა. აქ შეიძლება გამოგვადგეს ანისის მაგალითი. როგორც ცნობილია, [illegible] შენებლის გარდაცვალების შემდეგ მეზობელმა მაჰმადიანმა მფლობელებმა გააძლიერეს ბრძოლები ანისის ხელში ჩასაგდებად. „იერიში იერიშს [illegible] და ქალაქ ანისის ხელში ჩასაგდებად გაფთრებული ბრძოლა წარმოებდა. [illegible] ყოფილ ამირას აბულ-სუვარის ხორასანში გაქცეული ერთი შვილთაგანი [illegible] ლობდა ყოველნაირად, რომ ანისი კვლავ საბრძანებლად მიეღო. დემეტრე [illegible] მტერი იერიშს ხანგრძლივ წინააღმდეგობას უწევდა, მაგრამ ბოლოს მან [illegible] ლეული გახდა ხანგრძლივი ბრძოლით შექმნილი დაძაბულობის [illegible] მშვიდობიანი შეთანხმებით დაეცხრო: აბულ-სუვარის შვილს ქალაქი [illegible] ბრუნა, მაგრამ როგორც დამოუკიდებელ მმართველს-კი არა, არამედ [illegible] საქართველოს ყმადნაფიცს. ეს პირობა მან მთელი თავისი სიცოცხლის [illegible] მავლობაში პირნათლად აასრულა კიდეც“[2].

1 В. Ф. Минорский, История Ширвана и Дербенда, გვ. 180. აღნიშნული ოდა გამოაქვეყნა რუსთაველისადმი მიძღვნილ კრებულში ზ. ბუნიატოვმა. იხ. М. Буниятов, Грузия и Ширван в первой половине XII века“, კრებული „საქართველო რუსთაველის ხანაში“. ჩვენთვის უცნობია, თუ რას ემყარება პროფ. ჰილ-ჰასანი, როდესაც დემეტრე მეფის გარდაცვალების გამო მანუჩეჰრისადმი მიძღვნილ ფალაკის სამძიმრის ოდას 1160 წლით ათარიღებს. სამწუხაროდ ამ ოდის დათარიღების შესახებ არაფერს ლაპარაკობს ზ. ბუნიატოვიც. აღნიშნული ოდა დაიწერებოდა დემეტრეს გარდაცვალების შემდეგ, ალბათ, უახლოეს ხანებში. ამიტომ, თუ ეს თარიღი სწორია, შეიძლება დაზუსტდეს დემეტრეს გარდაცვალების წელიც. როგორც ცნობილია, წყაროები დემეტრეს გარდაცვალების თარიღის შესახებ მეტად განსხვავებულ ცნობებს იძლევიან. ამის მიზეზი იყო ალბათ ის, რომ სიცოცხლის უკანასკნელი დღეები დემეტრე მეფემ მონაზონობაში გაატარა. 1155 წელს იგი ტახტიდან გადააყენა მისმა უფროსმა ვაჟმა დავითმა, ხოლო ამ უკანასკნელის სიკვდილის შემდეგ დემეტრე დაბრუნდა სამეფო კარზე და ტახტზე აიყვანა თავისი მეორე ვაჟი — გიორგი III. ივ. ჯავახიშვილი ვარაუდობდა, რომ დემეტრე I გარდაცვლილი უნდა ყოფილიყო 1156 წელს, ვინაიდან ამ წლიდან საქართველოს მეფედ იხსენიება მხოლოდ გიორგი III (ქართ. ერის ისტ., II, გვ. 227). მაგრამ გამორიცხული არ არის, რომ მეორედ აღკვეცილ დემეტრეს თავისი სახელოვანი შვილის გამეფების შემდეგ ისევ მონასტრისათვის მიეშურებინოს და თავისი სიცოცხლის უკანასკნელი წლები მონაზვნად გაეტარებინოს. XIII ს. ისტორიკოსი სტეფანოზ ორბელიანიც დემეტრეს გარდაცვალებას 1156 წელზე რამდენადმე გვიან—1158 წელს გულისხმობს. შდრ. О. Вильчевский, Ода Хакани грузинскому царю Димитрию I. იხ. კრებული—Исследования по истории культуры народов Востока, М.—Л., 1960.

2 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 10.

3 دیوان خاقانی شروانی-ის აღნიშნული გამოცემა, გვ. 530.

1 Е. Пахомов, Очерк истории ширваншахов, გვ. 33.

2 ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ისტორია (XI—XV სს.), თბ. 1948, გვ. 22 [illegible]

ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 222-23.

1129/30 წლებისათვის, ან ამაზე ადრე, შარვანისათვის საქართველოს წინააღმდეგ თურქთა ბრძოლების შესახებ წყაროები არაფერს გვეუბნებიან, მაგრამ ეს მაინც არ ნიშნავს იმას, რომ ასეთ ბრძოლებს (საფიქრებელია, შედარებით მცირე მასშტაბისას, ვიდრე 1123 წლის კამპანია იყო) ადგილი არ ჰქონდა. ქართული წყაროები, როგორც აღვნიშნავდით, ამ დროის შესახებ მეტად ნაკლულია (სომეხი ისტორიკოსები უმთავრესად მათი მოსაზღვრე არანის (განძის) შესახებ მოგვითხრობდნენ). მაჰმადიანური წყაროების დუმილი ამ ბრძოლებში თურქთა წარუმატებლობას უფრო მოწმობენ, ვიდრე საწინააღმდეგოს. განძის მაგალითით ვიცით, რომ დემეტრეს მნიშვნელოვანი წარმატებებიც ჰქონდა აზერბაიჯანის ამ მეორე ქვეყანაში — არანში. ეს წარმატება, მართალია, ისეთი არ იყო, რომ განძის საკითხი საბოლოოდ გადაეწყვიტა, მაგრამ იგი აშკარად მოწმობს აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში თურქ-მაჰმადიანებთან ბრძოლაში საქართველოს უპირატესობას. მიუხედავად ყოველივე ამისა, საქართველოს სამეფო კარმა მაინც განახორციელა აღნიშნული ღონისძიება (შარვანშაჰთა ხელისუფლების აღდგენა). შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს იყო თვით შარვანში შექმნილი ვითარების რეალური შეფასებისა და ადგილობრივ წრეებთან გარკვეული შეთანხმების შედეგი.

შარვანში საქართველოს უშუალო მფლობელობის პერიოდში (1123—1129/30 წწ.), როგორც მივუთითებდით, გატარდა მთელი რიგი ღონისძიებანი ამ ქვეყნის საქართველოსთან შემოსაერთებლად. ამ ღონისძიებებს შარვანის ყველა ნაწილში ერთნაირი შედეგები ვერ ექნებოდა. მაგალითად, შარვანის დასავლეთ ოლქებში, სადაც მოსახლეობა ძირითადად ქრისტიანი იყო და ძველთაგანვე ქართულ კულტურულ-სარწმუნოებრივ გავლენას განიცდიდა[1], საქართველოსთან უშუალო დაკავშირების მეტი მომხრე იქნებოდა და აღნიშნული ღონისძიებებიც შედარებით უმტკივნეულოდ განხორციელდებოდა, ხოლო აღმოსავლეთ ნაწილში, სადაც მოსახლეობის უმრავლესობას მაჰმადიანობა ჰქმნიდა, თანაც თურქული გავლენა აქ საკმაოდ დიდი იყო, რა თქმა უნდა, ამ საქმეს სერიოზული მოწინააღმდეგენი ეყოლებოდა და აღნიშნული ღონისძიებების გატარება დიდ სიძნელეებთან იქნებოდა დაკავშირებული[1].

ამ წრეების წინააღმდეგობის დათრგუნვა საქართველოს სამეფო კარისაგან მოითხოვდა ხანგრძლივი მტკიცე პოლიტიკის გატარებას, მაგრამ საქართველოში შექმნილი საშინაო პოლიტიკური ვითარება ამის საშუალებას არ იძლეოდა. როგორც ცნობილია, დემეტრეს დროს ბრძოლამ დიდაზნაურებსა და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის განსაკუთრებით დიდ სიმძაფრეს მიაღწია. შინაკლასობრივი ბრძოლის გამწვავება იწვევდა გავლენიან ფეოდალთა დაჯგუფებებს სამეფო ტახტის ცალკეული პრეტენდენტების (ვახტანგ დავითის ძე, დავით დემეტრეს ძე) ირგვლივ. დემეტრეს არაერთი ბრძოლის გადახდა მოუხდა სამეფო ტახტის ამ პრეტენდენტთა წინააღმდეგ. ასეთი მდგომარეობა საქართველოს საგარეო პოლიტიკურ აქტივობას ასუსტებდა. ამ ვითარების გათვალისწინებით უნდა გვებია საქართველოს სამეფო კარის ახალი ღონისძიებანი შარვანში: ქვეყნის ორ ნაწილად გაყოფა, დასავლეთი ნაწილის უშუალო შემოერთება საქართველოსთან[2], ხოლო აღმოსავლეთ ნაწილში შარვანშაჰის ხელისუფლების აღდგენა და მისი ყმადნაფიცობის წესით დამორჩილება. ამ შემთხვევაში გარკვეული როლი უნდა შეესრულებინა იმ გარემოებასაც, რომ ახალი შარვანშაჰი დემეტრე მეფის სიძე იყო და ალბათ მასთან ახლო ურთიერთობაში იმყოფებოდა. ასეთივე ურთიერთობა დამყარდა დარუბანდის მმართველთანაც. აბულ-მუზაფერ დარუბანდელს დემეტრემ თავისი ქალი შერთო ცოლად[3].

როგორც დასაწყისში იყო აღნიშნული, XII საუკუნის შარვანის ისტორიის შესახებ არსებულ ლიტერატურაში, გარდა იმისა, რომ უარყოფილია შარვანში საქართველოს უშუალო მფლობელობის ფაქტი, განსხვავებული აზრია გატარებული შარვანშაჰის აღდგენილი ხელისუფლების პოლიტიკური მდგომარეობის, კერძოდ კი, საქართველოს სამეფო კართან დამოკიდებულების შესახებაც. ამ საწინააღმდეგო მოსაზრებას ერთგვარ გასაქანს აძლევს უკვე არა ერთხელ აღნიშნული გარემოება, რომ დემეტრეს დროიდან ქართული წყაროები მეტად ძუ-

[1] შარვანის დასავლეთი ოლქების (ყაბალა-შაქი) მოსახლეობის ქრისტიანობის შესახებ მრავალი საყურადღებო ცნობაა დაცული ძველ ავტორებთან. ეს ქრისტიანობა ძირითადად ქართულ-ბიზანტიური (ქალკედონური) ხასიათის იყო. ამ საკითხებს დაწვრილებით ეხება ა. ე. კრიმსკი თავის შრომებში: Страницы из истории северного или кавказского Азербайджана (Албании), იხ. Сборник „С. ф. Ольденбургу, к 50-летию научно-общ. деятельности", Л., 1934; მისივე წერილი შაქის შესახებ კრებულში „Памяти акад. Н. Я. Марра (1864—1934)". М.-Л., 1938; უკვე VII საუკუნეში ალბანეთში ქალკედონური ქრისტიანობის დიდ გავლენას მოწმობს ის ცნობილი ფაქტი, რომ სომეხ-ალბანეთის საეკლესიო კრებამ დაახ. 700 წ. შეაჩვენა და გადააყენა ალბანეთის პატრიარქ-კათალიკოსი ნერსეს-ბაკური, ქალკედონური ქრისტიანობის დამცველი, რომელსაც მხარს უჭერდნენ ადგილობრივი დიდებულები (იხ. მოსე კალანკატუელის „ალბანეთის ისტორია", წ. II, თ. 3-10, რუსული თარგ. გვ. 247; Рассказ Иоанна Католикоса X в. в его „Истории", М, 1853). VIII ს. ყაბალას ოლქში ქალკედონურ ქრისტიანობას უკვე მყარი პოზიციები აქვს. ქ. ყაბალის ეპისკოპოსი მოიხსენიება კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ეპისკოპოსთა სიაში „Notitae episcopatuum" v. 44. ეს სია გამოცემულია de Boor-ის მიერ „Zeitschrift für Kirchengschichte", ტ. XII, 1891, გვ. 519—534. ყაბალის საეპისკოპოსო შედიოდა გოთთა მიტროპოლიაში („'Επαρχία Γοτθίας"), რომლის ცენტრიც იყო სამხრეთ ყირიმის ქ. დორასი. X საუკუნის არაბი ავტორი მას'უდი შაქის მოსახლეობის შესახებ აღნიშნავს, რომ „შაქში მაჰმადიანებია მხოლოდ ვაჭრები და ხელოსნები", ხოლო ყაბალაში მაჰმადიანური მოსახლეობა მხოლოდ ქალაქშია, ხოლო ისინი, ვინც სოფლებში ცხოვრობენ ქრისტიანები არიან (იხ. А. Е. Крымский, Страницы из истории Азербайджана. Шеки, сб. Памяти акад. Н. Я. Марра, 1938, გვ. 372; В. Ф. Минорский История Ширвана и Дербенда, გვ. 211). როგორც აკად. ნ. ბერძენიშვილი შენიშნავს, შარვანის დასავლეთ რაიონებში „ქართული" ქრისტიანობის დიდ გავლენას მოწმობს შამახიის ახლოს და დასავლეთით რიგი „ქართული მონასტრის" და ეკლესიის მიერ ჩვენს დრომდე შემონახული „ქართული" ქრისტიანობა. ყოველივე ამან საფუძველი მისცა აკად. ნ. ბერძენიშვილს ხაზგასმით აღენიშნა, რომ „ეს მხარე პერეთ-კახეთთან ერთად [illegible] ქართველ ხალხში შემოდიოდა" (მემატიანე, III, გვ. 71). გავიხსენოთ შარვანშაჰ ფარიბურზის წინააღმდეგ ყაბალის რაიონის (კუნის) მოსახლეობის გამოსვლა და შარვანშაჰის [illegible] ექსპედიცია 1068 წ.

[1] გავიხსენოთ, რომ ამ წრეების წარმომადგენლები მოწვევით მოიყვა 1123 წელს შარვანში სულტანი მაჰმუდი და შემდეგ სულტანთან ერთად იბრძოდნენ ისინი საქართველოს [illegible] წინააღმდეგ.

[2] საქართველოს აღმოსავლეთ საზღვარი ამის შემდეგ შამახიის [illegible] მდ. თეთრ წყალზე (აქსუ-ზე) გადიოდა. საქართველოს პოლიტიკური დაქვემდებარებას [illegible] მონღოლთა ბატონობის დროს ნ. [illegible]-ხაზ-საქართველო. [illegible] საზღვარი [illegible] (მონღოლთა [illegible] ჩალან ესუნი) [illegible] (იხ. ქართლის ცხოვრება, II, გვ. 207-8, 251). [illegible] 1310 წლის დოკუმენტი, რომელიც [illegible] საქართველოს [illegible] XIV საუკუნეში (იხ. [illegible] II, გვ. 314—365).

[3] В. Ф. Минорский, История Ширвана и Дербенда, გვ. 223.

ტად ცოტაა ჩვენამდე მოღწეული და რაც არის, მათში სათანადოდ არ ასახულა
საქართველო-შარვანის ურთიერთდამოკიდებულების ფაქტები. მაგრამ აღნიშ-
ნული მკვლევარნი რატომღაც არ ითვალისწინებენ იმ ფაქტიურ მდგომარეობას,
რომ ამ საკითხზე ბევრია ცნობები XII საუკუნის მეორე ნახევრიდან (გიორ-
გი III, თამარის მეფობის პერიოდიდან), რომელთა მიხედვითაც უდავოდ ჩანს,
რომ შარვანშაჰი საქართველოს მეფის ყმად ითვლებოდა და ჰყავდა „ვითარცა
ერთი დიდებულთა მისთაგანი“ [1], რომ „შარვანის სახლი“ მოვალე იყო გამოეყვა-
ნა საქართველოს მეფის განკარგულებით „რაოდენი ათასი კაცი უბრძანის“ [2],
ხოლო საქართველო, თავის მხრივ, მფარველობდა თავის ხელდებულ ქვეყანას
და მის უშიშროებას იცავდა და რომ ეს დასტურდება არა მხოლოდ ქართული,
არამედ სპარსულ-არაბული წყაროებითაც [3]. არავითარი საფუძველი არა გვაქვს
წარმოვიდგინოთ, თითქოს ასეთი ურთიერთდამოკიდებულება მხოლოდ გიორ-
გი III დროს შექმნილიყოს. მოვლენების განვითარების ლოგიკა უსათუოდ ასეთ
ურთიერთდამოკიდებულებას დემეტრეს დროიდანვე მომდინარედ გვაფიქრები-
ნებს. ჩვენ მიერ განხილული ისტორიული სიტუაცია ფაქტების მხოლოდ ასეთი
სახით წარმოდგენას უჭერს მხარს.

მაშ, რა საფუძველი არსებობს საწინააღმდეგო მტკიცებისათვის?

ამ მხრივ ყველაზე უფრო ანგარიშგასაწევია ე. პახომოვის მიერ გამოყენე-
ბული არგუმენტაცია, რომელიც ძირითადად ნუმიზმატიკურ მონაცემებს ემ-
ყარება.

მანუჩეჰრ II დროიდან მოღწეულია მთელი რიგი დაბალი სინჯადობის
ვერცხლის მონეტები, რომლებსაც ცალ მხარეს აწერია: الملك منوچهر بن افریدون
(ელ-მელიქ მენუჩეჰრ ბენ აფრიდუნ), ხოლო ზურგზე — ხალიფა ელ-მუკთაფი-
ლიამრ-ალლაჰის (المقتفى لامر الله) სახელი. აქვეა სულტნის ხსენება. მხო-
ლოდ უკანასკნელის სახელი არც ერთ ცნობილ მონეტაზე შემორჩენილი არ
არის. აწერია მხოლოდ ...السلطان —სულტანი... იყო თუ არა სულტნის სახე-
ლი მონეტაზე, ძნელი დასადგენია. ამ მონაცემებზე დაყრდნობით ე. პახომოვს
უდავოდ მიაჩნია, რომ ამ დროს შარვანშაჰი მანუჩეჰრი თურქთა სულტნის ქვე-
შევრდომია. უფრო მეტიც, იგი თურქთა სულტნის მორჩილად აცხადებს საქარ-
თველოს მეფე დემეტრესაც. მოგვაქვს მისი მსჯელობა:

«Зависимость ширваншахов от сельджуков, как показывают моне-
ты, сохраняется и при Менучехре, но неизвестно — непосредственно ли
от главной ветви, в лице султана Синджара (511—552-1118—1157) или
от иракской, номинальное главенство которой признала и Грузия по
смерти Давида Строителя» [4]. მოსაზრება, რომ თითქოს საქართველო დემეტრეს
დროს ნომინალურად აღიარებდა სელჩუკთა ბატონობას, გამოთქვა ე. პახო-

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 222.

[2] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 267.

[3] მოვიტანთ მხოლოდ ერთ ცნობას ალ-ჰუსაინის თხზულებიდან. შამქორის ომის წინა პე-
რიოდის ამბების გადმოცემისას ეს არაბი ავტორი პირდაპირ მიუთითებს, რომ შარვანშაჰი ქართ-
ველების მორჩილებაში იყო შესული. იხ. Sadr ud-Din al-Husaini, Akhbar ud-dawlat is-
Saljuqiyya, გვ. 186. ამ ცნობებს ჩვენ სპეციალურად მეორე წერილში განვიხილავთ.

[4] Е. А. Пахомов, Очерк истории ширваншахов..., გვ. 32.

მოვმა ჯერ კიდევ 1910 წ. თავის შრომაში „Монеты Грузии“ [1]. აკად. ი. ჯა-
ვახიშვილმა აღნიშნული შრომის რეცენზიაში მკაცრად გააკრიტიკა პროფ.
პახომოვის ასეთი დასკვნა და ხაზგასმით მიუთითა, რომ მეთოდოლოგიუ-
რად სავსებით გაუმართლებელია მარტო ნუმიზმატიკურ ფაქტებზე დაყრდნო-
ბით, წყაროების და ლიტერატურის მონაცემებისა და ისტორიული პერსპექტივის
სწორად გათვალისწინების გარეშე ასეთი კატეგორიული დასკვნის გამოტანა [2].
მონეტები მათზე მოთავსებული ლეგენდებით ყოველთვის სწორად არ ასახავენ
პოლიტიკურ ვითარებას. მაგალითად, გიორგი II მონეტაზე არსად არ არის
მოხსენიებული თურქთა სულტნის სახელი, თუმცა ცნობილია, რომ გიორგი II
მელიქ-შაჰის მოხარკე იყო. გიორგი III ზოგიერთ მონეტაზე, დემეტრეს მონე-
ტების მსგავსად, აღნიშნულია ბაღდადის ხალიფასი და სულტნის სახელები [3].
მაგრამ არავინ (მათ შორის თვით ე. პახომოვიც) არ ამტკიცებს იმას, რომ გიორ-
გი III მაჰმადიანურ ქვეყნებზე დამოკიდებული ხელისუფალი ყოფილიყოს.
სავსებით სწორია აკად. ი. ჯავახიშვილის მოსაზრება, რომ აღნიშნულ მონეტებზე
ხალიფასი და სულტნის სახელების მოხსენიება გარკვეულ ეკონომიურ და პო-
ლიტიკურ მიზნებს ემსახურებოდა, კერძოდ, ასეთი ლონისძიებით ქართული
ფული თავისუფალ მიმოქცევაში იქნებოდა მაჰმადიანურ ქვეყნებში და მისაღები
იქნებოდა თვით საქართველოს ფარგლებში იმ მრავალრიცხოვანი ნაწილისათვის,
რომელნიც მაჰმადიანნი იყვნენ და უშუალოდ იყვნენ დაკავშირებული სავაჭრო
ოპერაციებით აღმოსავლეთის მაჰმადიანურ ქვეყნებთან [4]. ამჟამად ჩვენ ახალი
მონაცემებით ვიცით, რომ ქართულ ფულზე ხალიფასი და სულტნის სახელების
აღნიშვნა დავით აღმაშენებლის დროიდან იქნა შემოღებული, თანაც მას შემდეგ,
რაც თურქები საქართველოდან საბოლოოდ განიდევნენ და თბილისიც დავითის
მიერ იყო დაკავებული. კერძოდ, ალ-ფარიკი სპეციალურად მიუთითებს, რომ
მეფე დავითმა თბილისის მაჰმადიანებისათვის გამოუშვა მონეტები ხალიფასი
და სულტნის სახელებით [5]. ამ პერიოდში სელჩუკთა სულტნისადმი საქართვე-
ლოს რაიმე დამოკიდებულებაზე ლაპარაკი, რა თქმა უნდა, ყოვლად საფუძ-
ველს მოკლებულია. ამრიგად, ქართულ მონეტებზე ბაღდადის ხალიფასი და
სელჩუკი სულტნის სახელის მოხსენიება სრულიად არ ნიშნავდა საქართველოს
პოლიტიკურ დამოკიდებულებას სელჩუკებისადმი. ეს იყო ქართველ პოლიტი-
კოსთა სპეციალურად გატარებული საფინანსო-ეკონომიური ღონისძიების
შედეგი [6].

---

[1] Е. А. Пахомов, Монеты Грузии ч. I (домусульманский период), „Зап. Ну-
мизм. отд. Имп. Русск. Археол. общества“, вып. IV, I тома, СПб, 1910, გვ. 81.

[2] Христианский Восток, т. I, 1912, გვ. 111-112.

[3] დ. კაპანაძე, ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1950, გვ. 46—47.

[4] ამავე აზრს ავითარებს ა. ბიკოვი წერილში „Грузинские монеты XII—XIII вв.“ იხ. კრე-
ბული „Памятники эпохи Руставели“, Л., 1938, გვ. 79.

[5] გ. წერეთელი, არაბული ქრესტომათია, გვ. 71; რუსული თარგმანი — „Из истории
Майяфарикина“, Ибн. ал-Азрака ал-Фарики, перевод с арабского А. Дж. Мамедова.
Тр. Инс-та истории АН Аз. ССР, т. XII, Баку, 1957, 223.

[6] ვ. ფუთურიძე, არაბი ისტორიკოსი XII ს. თბილისის შესახებ, ენიმკის მოამბე,
XIII, 1943, გვ. 141; შ. მესხია, დიდგორის ბრძოლა, გვ. 91—92; ა. [illegible]
დავით აღმაშენებელი, თბ., 1965, გვ. 91. პახომოვის მტკიცებას უკანასკნელ ხანს მხარი დაუჭი-
რა ო. ვილჩევსკიმ თავის წერილში „Ода Хакани грузинскому царю Димитрию I“ (გვ. 60).

ამის შემდეგ უკვე გასაგებია, რომ მხოლოდ ხალიფა-სულტნის სახელების მოხსენიება მონეტებზე არ გამოდგება არც შარვანის მფლობელთა სულტნისადმი დამოკიდებულების დასამტკიცებლად. მონეტაზე ბაღდადის ხალიფას სახელის მოხსენიება ჩვეულებრივ მიღებული იყო იმ დროის მაჰმადიანური ქვეყნების მოხსენიება ჩვეულებრივ მიღებული იყო იმ დროის მაჰმადიანური ქვეყნების მომჭრელი ხელისუფლებაში. ხალიფას სახელის აღნიშვნით მონეტის მომჭრელი ხელისუმრავლესობაში. ხალიფას სახელის აღნიშვნით მონეტის მომჭრელი ხელისუფალნი მხოლოდ აღნიშნავდნენ თავიანთ კუთვნილებას თეორიულად ერთიანი მაჰმადიანური სამყაროსადმი და აგრეთვე გამოხატავდნენ თავიანთ სუნიტურ მაჰმადიანობას. ხალიფას შემდეგ, შუა საუკუნეების მაჰმადიანური სქემის მიხედვით, სულტანი მოდიოდა. ამიტომ მისი ხსენებაც შარვანშაჰთა მონეტაზე ამ თეორიული ნორმისადმი ხარკის მოხდა იყო. საქართველოს სამეფო კარსაც არ შეეძლო ეს პრაქტიკა დაეშალა თავისი ხელდებული მაჰმადიანი მფლობელისათვის, მით უმეტეს, რომ თვითონ საქართველოში იჭრებოდა ასეთი ზედწერილის მონეტები, ყოველგვარი პოლიტიკური შინაარსის გარეშე.

აზერბაიჯანელ ავტორთა ზემოაღნიშნულ შრომებში სხვაგვარად არის ვითარება დასახული. იქ საერთოდ უარყოფილია როგორც სულტნისადმი, ისე საქართველოს სამეფო კარისადმი შარვანშაჰთა პოლიტიკურად დამოკიდებულ მდგომარეობაში ყოფნა. მაგალითად, ჯ. იბრაჰიმოვი ამტკიცებს (ყოველგვარი საბუთიანობის გარეშე), რომ 1123 წ. შამახიის მახლობლად ქართველთა და შარვანელთა გაერთიანებული ლაშქრის მიერ (?) სელჩუკებისადმი სასიკვდილო დარტყმის მიყენების (?) შემდეგ, სელჩუკები იძულებულნი გახდნენ დაეტოვებინათ შარვანის მიწები და ამ დღიდან შარვანმა სრული დამოუკიდებლობა მოიპოვა და საერთაშორისო ასპარეზზე მნიშვნელოვანი როლის შესრულება იწყო[1], და რომ ასე იყო მანუჩეჰრ II მეფობის ბოლომდე და სხვა. იგივე აზრია

ვას ამ მოსაზრების შესამაგრებლად მოაქვს ადგილი ფალაკის მიერ დემეტრეს სიკვდილთან დაკავშირებით დაწერილი ოდიდან: شاهنشه ابخاز و شکی ...کو باج بخاور همی از باختر آورد دیمطری داؤد سر تخمهٔ بقراط... شمشر مسیح

„აფხაზეთისა და შაქის შაჰინშაჰი..., რომელმაც ბაჟი აღმოსავლეთში დასავლეთიდან მოიტანა, დიმიტრი ძე დავითისა, ბაგრატიონთა გვარიდან... მესიის მახვილი". მაგრამ მოტანილი ნაწყვეტი ტენდენციურად არის შემოკლებული. გამოტოვებულია ადგილი, სადაც ფალაკი დემეტრეს خسرو آفاق-ს, ე. ი. „ჰორიზონტთა ანუ ქვეყნის ოთხივე მხარეთა მბრძანებელს" უწოდებს (იხ. قصیده — برای ملک دیمطری تا بجرگ گریه بکن გამოქვეყნებული ზ. ბუნიატოვის ზემოდასახელებულ წერილში). ასევე არაფრიდან არ ჩანს, რომ باختر-ში საქართველო და خاور-ში სელჩუკები იგულისხმებოდეს (ამ დროისთვის საქართველო სელჩუკებისთვის დასავლეთით არ მდებარეობდა). მოტანილი ფრაზა გადატანითი მნიშვნელობის უნდა იყოს და მასში შეიძლება სხვადასხვა შინაარსი ჩადოს. ამდენად, ო. ვილჩევსკის მსჯელობას იგი საბუთად ვერ გამოადგება. პირიქით, როგორც აღვნიშნეთ, ფალაკი დემეტრეს خسرو آفاق-ად თვლიდა და არა სელჩუკთა მოხარკედ.

[1] 1123-чү илин икинчи јарысында Шамахынын јахынлығында Күрҹүстанын вә Ширванын бирләшмиш гошун һиссәләри илә сәлҹуг гошунлары арасында давам едән кәскин дөјүшләрдә сәлҹугиләрә өлумҹүл зәрбә вурулур. Сәлҹугиләр Ширван торпагларыны тәрк етмәјә мәҹбур олурлар. Бу күндән сонра, Ширван өз там истиглалијјәтини әлдә едир вә бејнәлхалг саһәдә көркәмли рол ојнамаға башлајыр" (Ҹ. Ибраһимов, Азәрбајҹанын ширваншаһлар дөвләти тарихинә даир (1027—1382). Ученые записки Аз. гос. университета, № 4. 1964, გვ. 24).

მ. შარიფლის შრომაშიც (აქაც ყოველგვარი კონკრეტული მსჯელობისა და საბუთიანობის გარეშე)[1]. მაგრამ ყველაზე უფრო კატეგორიული „მტკიცება" მოცემულია პროფ. ა. ა. ალი-ზადეს მიერ ზემოგანხილულ „წინასიტყვაობაში". როგორც აღვნიშნავდით, მისი მთავარი „საბუთიანობა" ისაა, რომ საქართველოსადმი შარვანის პოლიტიკურად დამოკიდებულ მდგომარეობაში ყოფნა თითქოს მხოლოდ ქართული წყაროებით მტკიცდება და ამის შესახებ არაფერია ნათქვამი აღმოსავლურ (არაბულ-სპარსულ) საისტორიო თხზულებებში. მაგრამ ჩვენ აქ უნდა მოვიტანოთ თვით ა. ა. ალი-ზადეს მიერ რედაქტირებული წიგნიდან არაბი ავტორის ალ-ფარიკის ერთი ცნობა, რომელიც ა. ა. ალი-ზადეს ასეთ საბუთიანობასაც საფუძველს აცლის. პროფ. ვ. მინორსკიმ „თარიხ ალბაბ ვა შირვანის" ტექსტს დამატების სახით დაურთო ახალი ნაწყვეტი იბნ ალ-აზრაკ ალ-ფარიკის „მაიაფარიკინის ისტორიიდან"[2], რომელიც აქამდე გამოქვეყნებული არ ყოფილა. ამ ნაწყვეტშიც მოთხრობილია ალ-ფარიკის ყოფნა საქართველოს მეფე დემეტრესთან (1153/4 წ.) და მასთან ერთად მოგზაურობა მის სამფლობელოებში. მოგვაქვს თვითონ წყაროს სათანადო ადგილის რუსული თარგმანი (შესრულებული ვ. მინორსკის მიერ): «Царь передвигался с одного края до другого и с одного места до другого в пределах своих владений (ხაზგასმა ჩვენია, ნ. ა.). И я был с царем, и мы провели несколько дней в области Дарбанд-и Хазаран, который говорят, был впервые построен Хосровом, сыном Кубада. Царь остановил свое войско в долине около горы. И малик Дербенда эмир Абу-л-Музаффар вышел, чтобы выразить свое почтение абхазскому царю и привел ему слуг (с вещами, необходимыми для), его пребывания и пиров, так как он был зятем абхазского царя будучи женат на его дочери. А абхазским царем был Дмитрий, сын Давида, Давидид, имеющий титул Хусам-ал-Масих («Меч Мессии»)»[3].

იგივე მოგზაურობის შესახებ ალ-ფარიკი თავისი თხზულების სხვა ადგილასაც ჩერდება, კერძოდ, აღწერს რა დიდგორის ბრძოლაში თურქთა დამარცხებას, აღნიშნავს, რომ ქართველების მიერ ტყვედ წაყვანილ მაჰმადიანთაგან ზოგიერთნი ახლაც მათთან არიან და მაგალითად მოაქვს თავისი მოგზაურობა დემეტრესთან ერთად შარვან-დარუბანდში, რომლის დროსაც ისინი დარუბანდში ყოფნისას გაჩერებულან ერთ ციხესთან, სადაც, როგორც ეს მისთვის საქართველოს მეფეს, დემეტრეს უთქვამს, ჩამწყვდეული ყოფილა იღაზის ლაშქრიდან დიდგორის ბრძოლის დროს დატყვევებული ერთი მუსულმანთაგანი. დემეტრე მეფეს ალ-ფარიკისათვის უთქვამს, რომ მეორე დღეს იგი შეხვედრია ამ ტყვესთან და ეკითხა, თუ საიდან იყო იგი, მაგრამ იმ დამით მეფე დემეტრემ მიიღო

[1] М. Х. Шарифли, Азербайджан в XI — XII вв. (на азерб. языке). Труды Института истории АН Азерб. ССР, т. XII, გვ. 72—73.

[2] ალ-ფარიკის „მაიაფარიკინის ისტორიის" შესახებ იხ.: V. Minorsky, Caucasica in the history of Mayyāfāriqīn.—BSOAS, 1949, XIII/1; მისივე, Studies in Caucasian history, London, 1953, გვ. 79—106; ვ. ფუთურიძე, არაბი ისტორიკოსი XII ს. თბილისის შესახებ, ენიმკის მოამბე, XIII, თბ., 1943 წ., გვ. 12[illegible]—143; ა. [illegible] [illegible] ნაწყვეტი ალ-ფარიკის თხზულებიდან, რომელიც [illegible] მოგზაურობას შეეხება.

[3] В. Ф. Минорский. История Ширвана и Дербенда, გვ. 222—223.

ცნობა, რომ საქართველოში რაღაც არეულობას ჰქონია ადგილი და ამიტომ მეფე თავისი ამალით სასწრაფოდ დაბრუნდა უკან[1].

ამრიგად, ამ არაბი ავტორის აღწერილობით ვხედავთ, რომ დემეტრე მოგზაურობს შარვან-დარუბანდის ტერიტორიაზე, როგორც თავის სამფლობელოებში; დარუბანდში ჩასულ საქართველოს მეფეს ადგილობრივი მფლობელი მოწიწებით ეახლა და სათანადოდ მოემსახურა კიდეც; დიდგორის ბრძოლაში ქართველთა მიერ დატყვევებული რომელიღაც მუსულმანი გამოკეტილია დარუბანდის ერთერთ ციხეში და სხვ. ამრიგად, ამ აღწერილობიდან აშკარად ჩანს, რომ საქართველოს მეფე კონტროლს უწევს აღმოსავლეთ ამიერკავკასიის აღნიშნულ ტერიტორიას — დარუბანდსა და შარვანს.

ვფიქრობთ, განხილული მონაცემები სრულ უფლებას გვაძლევს დავამტკიცოთ, რომ დემეტრეს დროსვე (და არა მხოლოდ უფრო გვიან) შარვანიცა და დარუბანდიც საქართველოს ყმადნაფიცი ქვეყნები იყო, რომ სწორია ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებული დებულება დემეტრეს დროს შარვანში აღდგენილი შარვანშაჰთა ხელისუფლების საქართველოს მეფისადმი ვასალურ დამოკიდებულებაში ყოფნის შესახებ.

---

[1] „وسرنا فى ولاية مقدار نيف و سبعين يوما (واجتاز الى) البلان وطرف الدربند و لقد
و صلنا بعض الايام الى مرج و اسع تحت جبل و فى لحف الجبل قلعة منيفة فنزل الملك
هنالك فقل لى ملك الابخاز: يا فلان (فى)هذه القلعة (رجل) مستغرب وهو أسير من نوبة
ايلغازى فذا كان الغد امعد اليه و ابصره واسئله من أين هو. فعولت على ذلك فلما كن الليل
وصل الملك خبر ان بعض الولايات قد مجت عليه فضرب بوق الرحيل من و قته و سار
الملك ولم يقدر الله ان نجتمع نه".

გ. წერეთელი, არაბული ქრესტომათია, გვ. 73.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 125, 1968
ТРУДЫ ТБИЛИССКОГО ГОСУДАРСТВЕННОГО УНИВЕРСИТЕТА, т. 125, 1968

ვ. გაბაშვილი

საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიიდან (XI-XII სს.)

საქართველოს ურთიერთობა წინა აზიის ქვეყნებთან XI—XII საუკუნეებში კარგადაა ცნობილი. ამასთან აღნიშნულია ამ ურთიერთობის არა მარტო პოლიტიკური, არამედ კულტურული და სავაჭრო-ეკონომიური მხარეც.

გამორკვეულია და დადგენილი ქართულ-აღმოსავლურ ურთიერთობათა არაერთი საგულისხმო მოვლენა, არაერთი მნიშვნელოვანი ფაქტი (ს. კაკაბაძე, ივ. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი...).

საამისო ცნობებს საკმაო რაოდენობით ვპოულობთ XI—XII სს. ქართულ საისტორიო ნაწარმოებებში. მაგრამ ზოგიერთი მეტად საყურადღებო ცნობა მხოლოდ აღმოსავლურ წყაროებშია დამოწმებული.

ასე, მაგალითად, მხოლოდ აღმოსავლური (არაბული, სპარსული...) თხზულებებიდან ვგებულობთ საქართველოს ურთიერთობის ფაქტებს შორეულ ეგვიპტესთან XI—XII საუკუნეებში.

საკუთრივ ქართულ წყაროში ამ მხრივ შემონახულია ერთადერთი ცნობა, რომლის შინაარსი ეხება საქართველოს სავაჭრო ურთიერთობას ქ. ალექსანდრიასთან.

ეს ცნობა მოთავსებულია „ისტორიანსა და აზმანში" და განეკუთვნება XII ს. დამლევს, მაშინ როდესაც აღმოსავლური წყაროების მიხედვით უკვე XI ს-ის პირველ ნახევარში არსებობს საკმაოდ ინტენსიური პოლიტიკურ-დიპლომატიური ურთიერთობა საქართველოსა და ეგვიპტეს შორის.

ისე კი, რა თქმა უნდა, ქართველი ისტორიკოსები და მწერლები კარგად იცნობდნენ როგორც ძველ, ისე მუსლიმანურ ეგვიპტეს (მისრს, მისრეთს).

ეგვიპტეს ახსენებენ უძველესი ქართული წყაროები, ახსენებენ მას XI—XII სს. ქართველი ისტორიკოსებიც.

აღსანიშნავია, რომ აღებული ხანის ყველა ისტორიკოსი (ლეონტი მროველიდან დაწყებული და ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანით დამთავრებული) იყენებს ამ ქვეყნის ძველ სახელწოდებას — „ეგვიპტე".

ლეონტი მროველს ეგვიპტე დასახელებული აქვს ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობათა აღწერასთან დაკავშირებით: „და ვითარ წარვიდა ალექსანდრე ეგვიპტედ, აღაშენა ქალაქი ალექსანდრია"[1].

---

[1] ლეონტი მროველი, გვ. 19. ქართველი ისტორიკოსები აქაც და ყველგან დამოწმებულია „ქართლის ცხოვრების" ახალი გამოცემის მიხედვით: ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, 1955, ტ. II, 1959.